

ლიტერატურული გზეუტი

№ 6 24 ივლისი - 6 აგვისტო 2009 გამომდის ორ კვირაში ერთხელ, პარასკეობით

ფასი 50 თეთრი

რეკავი ინანიშვილი:

უფრო ზუსტი პორტრეტია ჩემი უჯარმელი მეზობელი პატარა ბიჭისა ბიბო. სომ გახსოვს მოთხრობა „ბიბო!“. ამ ბიჭს ბადრი ჰქვია. რომ ვკითხავდი, - როგორა ხარ, ბადრი, კაცო-მეთქი, - ყოველთვის თავის გაქნევით მიპასუხებდა, - გული დარდიანი მაქვსო.

VI-VII

თამაზ პარპარიძე:


პატარა ქვეყანაში ამდენი კარგი მწერალი რომ გვყავს, უკვე სიმდიდრეა.

XIV-XV

გურამ ღოჩანაშვილი:

იცოცხლე, ეგ ვინ არის? გაკეთებული პოეტია. ყველაფერს ისე წერს, რომ არაფერი შეეშალოს, შეცდომა არ მოუვიდეს. მაგან რა იცის. ის მწერალი რა მწერალია, თუ შეცდომა არ დაუშვა, თუ შეცდომაზე შეგნებულად არ წავიდა.

X





ლადო კილასონია
როგორ
წავიკითხე
ბანძის
კუნძული

არ მიყვარს თევზაობა, არადა მდინარის პირას გავიზარდე, სოფელში. მიყვარს ცურვა, წყლის ხმაურის მოსმენა და თოლიების ყურება, რომლებიც მართალია იშვიათად, მაგრამ ხანდახან მაინც გამოჩნდებიან ხოლმე ჩვენი მდინარის თავზე. თევზიც მიყვარს. აი, თევზაობა კი არა, და ალბათ იმიტომ, რომ არასოდეს მითევზავია წესიერად. სულ დინამიტი და ვერბოდით ბიჭები. ერთხელ კიდეც დენით თევზაობასაც შევესწარი და მაგის მერე მთლიანად დავეკარგე ინტერესი.

„თევზაობის მთელი მულამი ხომ ანკესია, რომელზედაც მდინარის ვინრო ხეობაში დიდი ხნის ხეტიალისა და ხავს-მოდებულ კლდეებზე ცოცვის შემდეგ, ნოტიო მინიდან შენი ხელით ამოთხრილ ჭიანჭველას ნაშთსაც ვაძინებ, მერე წყალში ჩააგდებ, ლოდინს დაინყებ და როდესაც ძუა შეირხვევა და შენც იგრძნობ, რომ თევზმა სატყუარა ჩაყლაპა, ერთი სწრაფი მოძრაობით აისვრი ანკესს ჰაერში და წყლიდან, აფართხალეულ, უცხო სხეულს ამოიყვან. ამ დროს, სულ რაღაც წამის მეასედით, რაღაცნაირი შეგრძნება გეუფლება — სიხარული, სიამაყე, ყველაფერი ერთად და ძალიან მაგარია, მართლა ძალიან მაგარია“.

ასე აღწერდა ჯერ კიდევ ჩემს ბავშობაში ნამდვილ თევზაობას, ის უცნაური კაცი, რომელსაც სოფელში ყარას ეძახდნენ და რომელიც ჩვენს მეზობლად, ერთ პატარა ხის სახლში ცხოვრობდა მოხუც დედასთან ერთად.

ყარა ნახევრად ყრუ იყო. მარცხენა ყურში არაფერი ესმოდა. სოფელში ჭორად დადიოდა — მამამისი კომუნისტების დროს ეკლესიებს ანგრევდა და ღმერთმა დასაჯა, თვითონ ხომ მარა გზაზე იპოვნეს შუბლგახვრეტილი და შვილიც უცნაური გამოდგაო.

ყარა მართლაც უცნაური იყო. მეგობრები არ ჰყავდა, არც ლაპარაკი უყვარდა, ჩაფიქრებული, დიდი შავი წვერით, ნაცრისფერი შელახული შარვლით, დახეული ბოტასებით, განუყრელი ანკესითა და ბადით. აი, ეგრე დაიარებოდა. ტანით პატარა იყო, მაგრამ ხმელი და საოცრად მოქნილი, ისე აცოცდებოდა ხოლმე ერთი შეხედვით ციკაბო და მიუვალ კლდეზე, რომ გამოცდილ ალპინისტსაც შემურდებოდა. ცურვა მაინც და მაინც არ უყვარდა, უფრო თევზაობა იზიდავდა. სისხამ დილით, როდესაც მზე ის ის იყო ამოსვლას დააპირებდა, გამოვიდოდა ხომლმე თავისი სახლიდან და მალა სათავეები-საკენ აუყვებოდა მდინარის ვინრო ხეობას. ზეპირად იცოდა ყოველი გოჯი, მორევი, ყოველი კლდე, ყოველი კენჭი თუ ხე. ნავი-დოდა და შებინდებისას გრძელი აცმით დაბრუნდებოდა, რომელზედაც უსწორ-მასწორად ბზინავდნენ ნაირ-ნაირი თევზები. ჩემი ძმა მიყვებოდა, რომ რამდენიმეჯერ ენახათ მდინარის დინებას მალე-იდან დაყოლილ ბიჭებს, რომელიდაც მი-

უვალ ადგილზე მარტო მჯდომი და თავის-თვის ჩუმად მოთევზავე. ამბობდნენ, რომ მხოლოდ ყარამ იცოდა ის მალა კლდე, რომლის შესახებაც ყველა ლაპარაკობდა, მაგრამ თვალთ არავის ენახა, კლდე რომლის თავზეც ველურ ფუტკრებს ედოთ ბინა და რომლიდანაც დაბლა, მდინარის ვინრო ხეობაში წვეთ-წვეთობით იღვრებოდა ველური თავლი.

მასხოვს სექტემბრის თბილი საღამო იდგა. ჩვენს ეზოში დიდი კაკლის ძირში მდგომ ქვის ძველ მაგიდასთან ვიჯექი და ალტაცებული ვათვალთვლებდი, მამაჩემის მიერ ჩემთვის, თბილისიდან ჩამოტანილ სათამაშო კაცუნებს, როდესაც ჩვენმა და-ჟანგულმა ჭიშკარმა გაიჭრაჭუნა და ეზოში ყარა შემოვიდა.

— მაყვალა დეიდა სახლშია? — მკითხა ხმამალა.

კი მეთქი თავი დავექნიე, თან მაგრად მეშინოდა.

— გავიგე, მამაშენი ჩამოსულა, აი, თე-ვზი მოგიტანეთ, ჩვენი მდინარისაა, მალ-ლა გოჭიფეში დავიჭირე. ეგ რა არის, სათა-მაშო კაცუნებია?

— ხო, მამამ ჩამომიტანა, — ცოტა ხას-იათზე მოვედი. — ნახე რა მაგარი თოფები და ხმლები აქვთ. ესენი ქართველები არი-ან, აი ესენი კი ყიზილბაშები.

— რატომ ყიზილბაშები? — გაეცინა ყარას, გვერდზე მომიჯდა, თევზის აცმა კი იქვე ხესთან მიაცუდა.

— იმიტომ რომ თავზე, ნითელი ნაჭ-ერი აქვთ ნაკრული. ეს ნახე რა მაგარია? — დავწვი ყველაზე ჯანიან „ყიზილბაშს“, უზარმაზარი ხმალი რომ უმშვენიერბდა ხელს.

— არა, ეგ ყველაზე მაგარი არ არის, — მითხრა ყარამ. — ყველაზე მაგარი, აი, ეს არის, — და ცალფეხა, ყავარჯენს დაყრდ-ნობილ დიპიან, მოხუცი დადა ხელი, ჩიბუხის მეტი რომ არაფერი მოუჩანდა ხელში.

— ეეს? — გამიკვირდა მე.

— ეგ სილვერია, ყველაზე საშიში და ჭკვიანი ამთ შორის, ხოლო ესენი ყიზილ-ბაშები კი არა მეკობრეები არიან. აი, ეს ხელჯოხიანი — პიუა, ეს ლოყანითელა მო-ხუცი კიდეც ტომ მორგანი, ესენი ფლინტ-ის დამარხულ განძს ეძებენ.

— და ესენი? — ვკითხე გაოცებულმა და მერე ჯგუფზე მივანიშნე.

— აი, ის გამხდარი, პატარა ბიჭი — ჯიმ ჰოკინზია, ეს ექიმი ლივსი, ეს კაპიტანი სმოლეტი, ეს კიდეც ბენ განი, ესენიც გან-ძს ეძებენ, ოლონდ კარგები არიან.

— მერე? — ველარ მოვითმინე.

— განძი კუნძულზეა დამარხული, ამთ კიდეც ერთი ქალაქი აქვთ, რომელზედაც წერილი, როგორ უნდა იპოვონ, იმ კუნძუ-ლზე მიდიან და....

— ყარა შვილო, გარეთ რომ დაჯექი, შიგნით რატომ არ შემოხვალ, — ბებიაჩემი იყო, მაყვალა.

— არა მაყვალა დეიდა, თევზი მოგი-ტანეთ, — უბასუსხ ყარამ და ფეხზე წამოდ-გა.

— დიდი მადლობა, შვილო, რატომ წუ-ხდებოდი? შემოდი, არაყს დაგაღვივინებ.

— არა, მადლობთ, მეჩქარება, სხვა დროს იყოს. — თქვა ყარამ, დაგვემშვიდო-ბა და წავიდა.

ღამის ორი საათი იქნებოდა, შეძახილ-მა გამომალდიდა, ნუკრი ბიძია იყო, მამა-ჩემს ეძახდა — ფანარი წამოიღე, ყარა ახ-ალი ხიდისკენ წავიდა რამოდენიმე საათის წინ ბადით სათევზაოდ და აქამდე არ დაბ-რუნებულაო. მთელი ღამე ეძებდნენ თურ-მე და მხოლოდ გამთენიისას ამოიყვანეს, ყველაზე დიდი და ღრმად, წყლის სიღრმე-ში მიმავალი კლდის ქვეშიდან, საკუთარ ბადეში გახლართული. ეტყობა ფეხი დაუსხლტა და თავი დაარტყა.

როგორც შემდეგში ყვებოდნენ, ყარას დედას შვილის ცხედრის დანახვაზე ხმა ჩაწყდომია, ჩამომჯდარა მათ ეზოში მდგომ პატარა ხის კუნძულ, მდინარის მიმ-ართულებით დაუწყია ყურება და ასე გაუნ-ძრევლად მჯდარა გათენებამდე, თითქოს სათევზაოდ წასული შვილის დაბრუნებას ელოდებოდა. ბევრს ეცადენი თურმე მე-ზობლები, მაგრამ ვერაფერი გააგონეს, ხე-ლის შეხება კი ვერავის გაუბედავს. არც პა-ნაშვილებზე და არც შემდეგში დედამისს ცრემლი არ დასცდენია, თავისთვის იჯდა კუთხეში და ირგვლივ მყოფთ ათვალთვლებ-და.

ყარა ჩვენი სახლის მალა, სოფლის

ძველ სასაფლაოზე დაასაფლავეს, მამამისის გვერდით. გასვენებაში მეც ვიყავი. გრძელი პროცესია შავი გველივ-ით ასრიალდა მწვანე აღმართზე, მღვდელმა ლოცვები წაიკითხა, ნათესავ-ებმა და მეგობრებმა თითო მუჭა მინა მი-აყარეს საფლავს, მხოლოდ ყარას დედა იდგა გაუნძრევლად, როგორც გარდავ-ცლილის ქანდაკება, ქარი ჭალარა თმას უწენავდა და მე დღემდე მასხოვს მისი სახე, რაღაცნაირი უცხო და გაფითრე-ბული, საფლავის სიღრმეში რომ იყურე-ბოდა, რაღაცას ეძებდა და ვერ პოულობ-და.

უკანა გზაზე მე და ბებია ერთად მოვ-დიოდით ჩვენ წინ კი ორი ქალი მიაბიჯებ-და. პირველი სოფლის მენისქვილის ცო-ლი, ლოყანითელა და ჩამრგვალებული თამრიკო, ხოლო მეორე, ჭორიკანა და თარსი მზია, რომლის დანახვაზეც საქმეზე გასული გლახი, ისევე სახლში ბრუნდებოდა, არაფერი დამემართოსო და რომელსაც მარცხენა თვალი მოჭუ-ტოდა მუდამ გასაკილავის ძიებაში.

— დინახე, დედამისს ერთი ცრემლი არ გადმოვარდნია, — ამბობდა მზია. — ქორიძეების ქვრივი კიდევ, ჰო, ის, ლამაზი რომაა, ეივსო, ცრემლებით.

— ისე, მაგი მეც შევამჩნიე, რაცხა ძაან შეიცხადა მაგან ყარაია უბედური, — აყვა თამრიკო.

— მეც მაგას არაა, რომ ვამბობ... — მოგეცათ არა სალაპარაკო? თქვე ასინეთებო, თქვენა. აბა, ეხლა ორივე და-მეკარგეთ აქედან, — შეუძახა უეცრად ბებია, ქალები გაჩუმდნენ, შემდეგ მოი-ხედეს და უხმოდ აუჩქარეს ნაბიჯს. აბა, ბებიას შემპასუხებელი ვინ იყო?!

მეორე დილას კი ჩვენ სახლთან ყარას დედა მოვიდა, დამიძახა და რაღაც ლურ-ვი წიგნი მომცა, რომლის ყდაზეც იალ-ქნებაშვებული გემი მიაპობდა ზღვის ტალღებს.

— სათევზაოდ წასვლის წინ თქვა, უნ-და ვაჩუქო, — მითხრა დედამისმა და მე პირველად დავინახე როგორ მოანვა თვალსაშუშო ცრემლი.

„მომავალ განძის მაძიებელსა და მე-კობრეს, მდინარის ბებერი მგლისაგან“. გაკრული ხელით ეწერა პირველ გვერ-დზე.

მადლობა გადავიხადე, სახლში შევ-ვარდი და ასე წავიკითხე „განძის კუნძუ-ლი“.

ლელა

ბებიაჩემის ნახევარდა პაჭო, ოპერის პირდაპირ, იმ ვინრო და მოკირწყლული ქუჩის ბოლოში ცხოვრობდა, რუსთავე-ლის გამზირიდან, მალა, მთანმინდის მთისაკენ რომ იჭრება და ორ რიგად ყოფს მობერებულ, ერთმანეთზე ჩახუტე-ბულ სახლებსა, თუ პატარა იტალიურ ეზოებს.

მე ძალიან მიყვარდა პაჭოსთან სია-რული, რადგან ყოველთვის მოეძებნებო-და, საგულდაგულოდ, მხოლოდ ჩემთვის, გადამალული ტკბილეულობა და მაგარი პიტნის ჩაი. კვირაში ერთხელ, სკოლის შემდეგ, გადავიკიდებდი ხოლმე, ჩემს

მძიმე, წიგნებით გამოტენილ, მოხუხეშავ ჩანთას და ხვნიშა ხვნიშვით ავუყვებოდი იმ აღმართს, რომლის ბოლოშიც ნაირ ნაი-რი გემრიელობები და მხიარული სიტყვე-ბი: „მოხვედი შე ტიკჭორა, შენა“ — მელო-დებოდა.

პაჭოს მეზობლად ერთი ოჯახი ცხო-ვრობდა, გვარად ბაბუცაშვილები. უბრა-ლო ოჯახი იყო. მამა, ძია გოგი, რომელი-ღაცა ქარხანაში მუშაობდა, მუშად. მალა-ლი კაცი იყო, ძალიან ჩუმი და წესიერი, ერთი ზედმეტი კაპიკი, რომ არ აქვთ ხო-ლმე, მაგის ხმამალალი ნათქვამი არავის გაეგონა. დილას გავიდოდა სახლიდან და შებინდებისას ბრუნდებოდა, ღონიერ, მუშაობისაგან ჩაშავებულ დიდ ხელებში კი აუცილებლად რაიმე გემრიელი, სახა-მთრო, წესვი ან შედარებით იაფასიანი ტკბილეულობა უბზინავდა. დედა მეტრო-ში მუშაობდა — მოლარედ. ჰყავდათ ორი შვილი, უფროსი სოფო, რომელიც გათხ-ოვილი იყო და სულ რამოდენიმეჯერ მენახა და უმცროსი — ლელა.

ლელა ჩემი ტოლი იყო, იქვე, 58-ე სკო-ლაში სწავლობდა, ქაჯეთის ციხესავით რომ აზიდულყოფი მათი ქუჩის თავზე და კარგ გოგოდ ითვლებოდა. ახლა, რომ გათხრათ, მზეთუნახავი იყო-მეთქი, არა, უფრო ისეთი იყო, კარმენივით, გემრიელი და გულმისავალი, აი, ყველას რომ მოს-წონს. პატარა მაგრამ შეკრული და კოხტა ტანი, დიდი ლურჯი თვალები, შავი თმა, სქელი ტუჩები და ულამაზესი ნუშის გულივით მომრგვალებული და თეთრად მოელვარე კბილები, სითეთრისაგან ცის-ფერს რომ დაიკრავენ. შემოგხედავდა, შე-მოგანათებდა, შავ თმაში ჩამალული თე-ვლებითა და კბილებით, როგორც მიტოვე-ბულ და ხავსმოკიდებულ სამრეკლოს წყე-დიადში სარკმელიდან უეცრად შემოჭ-რილი მთვარის შუქი და ვინც არ უნდა ყოფილიყავი, რამდენი წლის, ან რა გე-მოვნების, აუცილებლად შეამჩნევდა.

რაღაცნაირად, ისე მოხდა, რომ დავემე-გობრდით. მე მაინც და მაინც კონტაქ-ტური არასოდეს ვყოფილვარ, პირიქით ჩემთვის დავბორიალობდი ხოლმე თავ-ჩალუნული და კედლებზე დაჯლბნილ ნარწერებს ვაკვირდებოდი, რის გამოც უბანში „მუღო“-ს მეძახდნენ, მაგრამ ლე-ლასთან ხშირად ვლაპარაკობდი. თუ ხის მორყეულ სკამზე მჯდომს მოვკრავდი თვალს, მყისვე ჩავუყვებოდი პაჭოს სახ-ლიდან, დაბლა, ეზოსაკენ მიმავალ ძველე-ბურ, ხვეულ კიბეს და გვერდზე მიუფუდე-ბოდი. ლელა მხიარული გოგო იყო, მხი-არული და ბავშვივით ალალი, უყვარდა ყვავილები, ლექსები და გაზაფხული:

„დრო როცა მღერის თხემლის ტოტები თუ მოგენატრო ისევ აქა ვარ, ისევ მარტო ვარ და გელოდები“.

იმეორებდა სულ. ლელას თავყანისმცემლები არასოდეს აკლდა, მაგრამ სიყვარულით თავისი კლა-სელი, რეზო ფიფია უყვარდა, რომელიც ხშირად მოდიოდა ხოლმე. მე ვიცნობდი რეზოს და ისიც ვიცოდი, რომ მორფინის-ტი იყო, ერთი ორჯერ გაჩხერილიც მოვი-და და თქვა, მთვრალი ვარო, ამას ყველა



ხვდებოდა, ლელაც, მაგრამ არ იმჩნევდა. არ მახსოვს, რაიმე დასცდენოდეს.

რეზოსთან მეც ვმეგობრობდი. სხვანაირი ბიჭი იყო, მორფინისტი, მაგრამ საერთოდ რომ არ გვანან ეგეთებს, გულიანი და მხიარული (თუმცა ბოლოს მაინც ნახდა). სწორედ მაგან მიშველა, ერთხელ, როდესაც 58-ე სკოლასთან მდგომს, ორი, ჩემზე უფროსი ბიჭი საათს მართმევდა და ნაღდად ნამართმევდნენ კიდევ, ეგ რომ არ გამოჩენილიყო საიდანღაც. ისე დააშინა, რომ მაგის მერე, თუ სადმე ჩაცუცქულები მომკრავდნენ თვალს, ფეხზე წამოდგომით მესალმებოდნენ.

ჩვიდმეტი წლის ვიქნებოდი, როდესაც რეზო დაიჭირეს. ვილაცა დააყარა და ცხრა წლით უკრეს თავი ციხეში. იქიდან გრძელ-გრძელ წერილებს წერდა ლელას, ერთი ორი მეც მაქვს წაკითხული. კარგი წერილები იყო, გულით დაწერილი, თავს მიხედო, ცუდად თუ მოიქცევი, ისევე შენ ივებ და ამიტომ გაფრთხილდი, მე არაფერი მიჭირს, კარგად ვარო.

მერე გავიზარდეთ. მე უნივერსიტეტში ჩავაბარე, ტკბილეულობა თუ პიტნის ჩაი, არაყზე და ხინკალზე გავცვალე და პაჭოსთანაც მოვუკელი სიარულს. ლელაზე კი ცუდი ხმები მომდიოდა (ეს ხომ თბილისია, სადაც არაფერი იმალება), ნახდაო, ხან ვისთან დაეთრევა და ხან ვისთან, ნახევარმა უბანმა იხმარა, ნახევარმა სცემიაო.

მახსოვს, როგორ ვნახე ბოლოს. ღამე იყო, თორმეტს კარგა გადასცილებოდა, ქრატუნა კიბეს რომ დავუყევი და ქუჩაში გამოვედი. გრილოდა, ცივი ჰაერი სახეში მცემდა და ძალიან მსიამოვნებდა, რადგან მთელი დღე პაჭოსთან გავატარე, რომელიც უკვე ვეღარ იყო ძველებურად ჯანზე, სულ ამცივებდა და ამიტომ არასოდეს აქრობდა თავის ვეება, თუჯის ლუმელს. ლამპიონები კარგად ანათებდნენ დაბნარულ კედლებს და მოძველებულ, საღებავგრომეცვნილ ხის დარბაზებს. იმ ადგილს რომ ჩავუარე, რომლის წინაც ადრე წრეში ბურთს ვთამაშობდით, კედელზე რამდენიმე ნაცნობი წარწერა შევაძინე, შევჩერდი და ყურადღებით დავუწყე თვალთვლიერება.

ბავშობის უდარდელმა წლებმა, წამებში, გუგუნით, როგორც ჩქაროსნულმა მატარებელმა ჩამიქროლა თვალწინ, თან ჩამოატარა უმარავი, თითქოს მივიწყებული სურნელი და მის ფანჯრებში მე კიდევ ერთხელ დავინახე ძველი და ასე ნაცნობი სახეები. დავინახე ძია გოგი, ლელას მამა, რაღაც უცნაურმა სენმა რომ დახრა შიგნიდან, როგორც ჩრჩილმა მიტოვებული ხის სახლის კედლები, დავინახე რეზო, სკოლის წინ რომ ჩაცუცქულიყო ლელას მოლოდინში, პაჭოც დავინახე, მამაჩემიც და ის ორი ბიჭიც, საათს რომ მართმევდნენ, მაგრამ რაც მთავარია, დავინახე საკუთარი თავი, არა ისეთი, როგოსაც სხვები მიცნობდნენ, თუ ვეგონე. არა, ამ უცნაური მატარებლის სარკეებში ის ისეთი დამანახა, რომლის შესახებაც მარტო მე ვიცოდი — ჩუმი, ჩასუქებული და უღრან ტყეში უდებოდ დარჩენილი შეშინებული შველივით აქეთ-იქეთ მომზირალი პატარა ბიჭი, ხვნიშახვნიშვით რომ მიუყვებოდა აღმართს ნანატრი ტკბილეულობისაკენ.

ქუსლიანი ფეხსაცმლის ხმამ გამომაფხიზლა. მეც კედელს თვალი მოვაშორე, ქუჩის ბოლოსაკენ გავიხედე და ლელა დავინახე, სახლისაკენ მოდიოდა. ისეთი მოვრალი იყო, ფეხზე ძლივს იდგა და რომ არ წაქცეულიყო, შიგა და შიგ კედელს ეყუდებოდა. თმები რაღაც უცნაურად დაეყენებინა, თვალები შავი ტუშით შეეღება, ტუჩებზე თეთრი პომადა წაესვა, ეცვა ძალიან გამომწვევად და ისე თხლად, რომ გამიკვირდა კიდევ, გზაში, როგორ არ გაიყინა-თქო. როდესაც მომიახლოვდა ფეხი აუცდა და ნაიქცა, წამოყენება ვცადე.

— განი ხელები, შენი დედა მოვტყან! — ამიკრა ხელი. — ლელა მე ვარ. — ვუთხარი და წამოვყევი. მიცნო, ჩამეხუტა, საშინელი არყის სუნი ასდიოდა, თვალები ამღვრეოდა, მაგრამ მაინც ლამაზი იყო. სახლისაკენ წავიყვანე. გზაში რაღაცეებს მიყვებოდა, აღარავინ მესალმებო, რეზოც აღარ მწერს, მაგისი ნაბოზარი ძმაკაცები მიუტანდნენ ენასო. დედაჩემი დაბერდა, ვეღარ მუშაობს, ზის სახლში და მწყევლისო. ეზოს რომ მივუახლოვდით, გამაჩერა, აქედან მარტო წავალო. — თუ მოგეწონა ისევე აქა ვარ, ისევე მარტო ვარ და გელოდები. — მითხრა, ლოყაზე მაკოცა და ეზოში შევიდა.

ლელა 1981 წლის 8 თებერვალს იპოვეს აეროპორტის ტრასაზე, მკვდარი, მანქანას გაეტანა. ამბობდნენ, რაღაც ცუდ ისტორიაში გაება და ძალით დააჯახესო, არ ვიცი.

იმ წელს ზამთარი ძალიან თბილი გამოდგა და ფუნქიკულიორზე ნუშმა იფეთქა, მე კი უკვე ვვარჯიშობდი და ყოველ დილას დავრბოდი. ჰოდა, დასაფლავების დღეს, ავდექი, ერთ დიდ ხეს ტოტები დავამტვრიე, უზარმაზარი თაიგული შევკარი და სახლში მივუტანე.

როდესაც შევედი, დედამისმა მოთქმით წაიტირა: ჩემს შვილს გაზაფხული უყვარდა და აგე, სახლში ესტუმრაო. გასვენება იყო გოიმური. გოიმური იყო კუბოცა და თეთრი, სადედოფლო კაბაც. აღარც ლელას ავარიისაგან დამახინჯებული სახე იყო ისეთი, როგორც ადრე, მაგრამ მიცვალებულს პირი ჰქონდა ოდნავ ღია და იქიდან, როგორც ზღვის ტალღის მიერ გამოორიყული ნიჟარის სიღრმეში ნაპოვნი მარგალიტები, ისე ელავდნენ ის ნუშის გულივით მომგრვალებული და თეთრი კბილები, სითეთრისაგან ცისფერს რომ დაიკრავდნენ.

ზაალ სამადაშვილი

კინო „ოქტომბერში“ წასვლა



მეოთხე კლასში ვარ ალბათ, ანდა მეხუთეში. მაცვია ბუკლეს გაქეჩილი, დამოკლებული პალტო, მუხლებამდე ძლივს რომ მწვდება. მახურავს სასკოლო ფორმის ქუდი, სამხედროებისა და მილიციონრების ქუდების მსგავსი, ოღონდ მათგან განსხვავებით, ნითელი არშიის გარეშე. დეკემბერია. თან თოვს, თან ქარი უბერავს. ფანტელები სახეში მუხლებს, ლანჩებდამდნარ ფეხსაცმელებში წყალი შემდის, ჯიბეებში ჩაყოფილი ხელები მეყინება. არაფრად ვაგდებ ამ უსიამოვნებებს, რადგან კინოში მივდივარ, თან მამასთან ერთად. მამას არც ქუდი ახურავს და არც პალტოს ღილები აქვს ბოლომდე შეკრული. მიუხედავად ამისა, ჩემზე ყოჩაღად მიაბიჯებს. დედაც რომ მოდიოდეს ჩვენთან ერთად, სულ მთლად კარგი იქნებოდა... მაგრამ არ წამოგვეყვა, შინ დარჩა. არ წამოგვეყვა კი არა, არც უთქვამს, მეც წამოვალო. მამასთან ხმამაღალი ლაპარაკის შემდეგ სამზარეულოში შევიდა და ისე გამოვიხურეთ კარი, რომ არც გამოუხედავს ჩვენსკენ.

ტრამვაიში ავდივართ. ვაგონში ცოტა ხალხია, სამი თუ ოთხი მგზავრი და კონდუქტორი, სქელ, დალიანდაგებულ ქურთუკში ჩაფუთული ხნიერი ქალი, რომელსაც გულზე ჩამოკიდებული ტყავის ჩანთიდან მოსახვევად გამზადებული ბილეთები აქვს ამოჩრილი. ვსხდებით. მე, რა თქმა უნდა, ფანჯარასთან. ტრამვაიში ფანჯარასთან ჯდომას კარგი და ახლადნაყიდი ბილეთების გულდასმით ნახვა — შეიძლება, ბედნიერი შეგხვდეს. ბედნიერად ის ბილეთი ითვლება, რომლის ექვსნიშნა ნომერში პირველი და ბოლო ციფრი ერთმანეთს ემთხვევა. მერგო თუ არა ბედნიერი ბილეთი, ვეღარ ვისხენებ, მაგონდება ის, რომ კონსტიტუციის ქუჩის კუთხეში ჩამოვდივართ და კარგარეთელის ქუჩას მივუყვებით პლუხანოვისკენ.

კინო „ოქტომბრის“ სვეტებიანი შესასვლელი კარგარეთელის და პლუხანოვის კუთხეშია, საბილეთო სალაროები კი ცოტა მოშორებით, ამ ძველისძველი, გუმბათიანი შენობის ნახევარსარდაფში. სალაროების, კედელში გამოჭრილი გისოსებიანი ფანჯრის წინ არავინ არ დგას. იშვიათად ხდება ასე, აქ ყოველთვის ხმაური და ხალხმრავლობაა. ვფიქრობ, ვაითუ ბილეთები აღარ არის-მეთქი, მაგრამ ვცდები. ბილეთები არის და თანაც ასარჩევად. ჩვენც ვირჩევთ — ორ ადგილს ეკრანთან ახლოს, ოღონდ რიგის შუაში კი არა, განაპირას. სულ განაპირა სკამი კედელს ებჯინება და ფილმის იქიდან ყურებას არაფერი მიჩვენია. ჩამოყვრდნობი სკამის სახელურს იდაყვით, მიადებ თავს კედელს და გგონია, ასე უფრო იოლად გახდები იმ თავგადასავლების მონაწილე, რომლებსაც ეკრანზე იხილავ. დარბაზშიც ხალვათობაა. დიდი-დიდი, ორმოცი-ორმოცდაათი კაცი იჯდეს ოც რიგად ჩამწკრივებულ, ასაკეც სკამებზე. ამ ორმოცდაათ კაცში, მამაჩემის ჩათვლით, ნაყინს მარტო მე შევეცევი. ეს კინოთეატრი ამიტომაც მიყვარს, აქ ნაყინს ზამთარ-ზაფხულ ჰყიდიან. სხვაგან, აქაურობიდან ორასი მეტრით დაშორებულ „ამირანში“, ანდა კიდევ უფრო შორს, მარჯანიშვილის მოედანთან მდებარე

„კომკავშირელში“ მარტო ფენოვანები და „კორჟიკები“ აქვთ, სკოლის ბუფეტში გეგონება თავი.

არ მახსოვს, ფილმის ნახვის შემდეგ დავინტერესდები, რაც არაერთხელ მომხდარა ჩემს ბავშვობაში, თუ უკვე წაკითხული მქონდა „სამი გოდორა“. არ მახსოვს, უკვე არსებობდნენ ჩემს წარმოსახვაში მეიარაღე პროსპერო, გიმნასტი ტიბული, დოქტორი გასპარ არნერი, ტახტის მემკვიდრე ტუტი, მოცეკვავე გოგონა სუოკი, თუ ფილმში მონაწილე მსახიობებმა დაიდეს ბინა ამ სახელებით თერთმეტი წლის ბიჭის მესხიერებაში. სამაგიეროდ, მახსოვს, და თან კარგად, წიგნის გარეკანი, რომელზედაც სამი ლაყლაყა, უმსუქნესი არსება იყო დახატული და ნახატის თავზე ბეჭდური ასოებით ეწერა — ოლეშა. ისიც მახსოვს, რა თქვა მამამ, კინოდან რომ გამოვედით და კვლავ კარგარეთელის ქუჩას რომ დავადექით ტრამვაის გაჩერებისკენ. მან თქვა, — ამ ზღაპრის ავტორს დალევა უყვარდაო...

გაჩერებაზე დიდხანს გვიწევს დგომა, გვიანი საღამოა და ამ დროს იშვიათად დადის ტრამვაი. როდის-როდის მორახრახდება ერთმანეთზე გადაბმული ორი ვაგონი, ორივე თითქმის ცარიელი. მე და მამა ტიხართან, ვატმანის გვერდით ვდგავართ და ლამპიონების შუქზე აპრილებულ ლიანდაგებს გავცქერით. ლიანდაგები თითქოს შემოვრბიან ჩვენს ფეხებქვეშ. ერთი გაჩერებით ადრე ჩამოვდივართ, კალინინის ქუჩაზე, რუსულ ეკლესიასთან...

ეკლესიის გადაღმა, კალინინისა და მარჯანიშვილის გადაკვეთაზე პატარა საკონდიტროა, უგემრიელესი ხილფაფიანი და კრემიანი ფუნთუშებით ცნობილი. ამჯერად ფუნთუშებს არა — ტორტს ვყიდულობთ, რომელსაც თეთრხალათიანი და თეთრჩაჩიანი ქალი ცილინდრის ფორმის მუყაოს ყუთში ათავსებს და ისე გვიწვდის...

თავს ძალას ვატან, მაგრამ სცენის თუ სურათის აღდგენას, რა ხდება შინ დაბრუნების შემდეგ — როგორ ხასიათზე გვხვდება დედა, ყუთიდან ვიღებთ და ვჭრით თუ არა ტორტს, ვყვები თუ არა ახლად ნანახი ფილმის იმ ეპიზოდს, სადაც ფერად-ფერადი ბუშტების გამყიდველს მოულოდნელად ამოვარდნილი ქარი მიწას მოწყვეტს, გოდორების სამზარეულოში შეაფრენს და თავს ვეებერთელა, სადღესასწაულო ტორტში ამოაყოფინებს — ვერაფრისდიდებით ვერ ვახერხებ...

თუმცა მგონია, რომ ზამთრის იმ თოვლიან ღამეს ჩვენი პატარა ოჯახის სამივე წევრი ერთად ვუსხედვართ მაგიდას, ლამბაქებზე ვარდისფერი და მწვანე ცუკატებით მორთული ტორტის ნაჭრები გვიდევს, მე შეუსვენებლად ვრატრატებ და მამა, რომელიც შუშუნა ღვინით ავსებს ჭიქებს, კიდევ ერთხელ ახსენებს „სამი გოდორას“ ავტორს და დედას ეუბნება, ასეთ კარგ მწერალსაც უყვარდა დალევა, ჩემი რომ გიკვიროსო...

ალბათობა იმისა, რომ ეს მართლაც ასე მომხდარიყო, საკმაოდ დიდი. დიდი იმის გამო, რომ თითქმის ნახევარი საუკუნის წინ მე და მამაჩემი კინოთეატრ „ოქტომბერში“ ოცდათერთმეტ დეკემბერს წავედით, ახალი წლის დადგომამდე სულ ცოტა ხნით ადრე...



შტრიხები ავტობიოგრაფიისათვის

ქარმა გადარეკა ღრუბლები და - დაცხრა და მზე ძველებურად ფოტოგრაფობს - გვიღებს, მზესაც აღარ მინდა მოვეჩვენო საწყლად - ვითომ გავიკეთებ მხიარულის ნიღაბს - გამომეტყველების შეიძლება „გასხვლა“, მხოლოდ ვერაფერი ეშველება ნიკაპს, ის კვლავ ვარამების შესანახავს მიგავს.

ლხინი არ მიხდება, აღარა ვარ მლხენი, ჩემით უფუჭდება ხასიათი სუფრას... - კმარა, ერთი წუთით გამოირთოს დენი - მყისვე გადავიქცევი მარტოობის ჭურბლად, რაზეც ფიქრდებიან სახეები თქვენი... მე ჩემს დაუნერულ „სიმფონიას“ ვუკრავ, თქვენ კი გეჩვენებთ, თქვენთან ვიყო უბრაოდ.

მოგახვება

არ მინდა ნიუსები, ცნობები!.. ნავედი... შორს ჩემგან გადაქცევა დანტონად, მარატად! მძულს ინფორმაციებით შექმნილი შავეთი, რომელსაც უმინდება დივანიც, კარადაც.

თაროებს ახმაურებთ სოლანა ხავერ, მაგიდებს აღარა აქვთ იმედი ბოდენის, ჯობია - რუსთაველის პროსპექტზე გავიარ, როდესაც ნიავეარი ხმელ ფოთლებს მოდენის.

იქ ძალიან შემოგხვდება, ან კატა, ან ჩიტი, ან ვინმე გაიხსენებს ბრძოლებს და ქაქუცას, ანდა ტერფს მოგიკითხავს ლურსმანი ლანჩიდან, ანდა ქალს მოუხდება დასავით გაკოცოს.

გრამატიკონება

ქართულში უამრავი სიტყვა მთავრდება „ია“-თი, ამ სიტყვებიდან მე მზარავს ერთი რომელსაც „ია“-თი დაბოლოება არაფრით არ შეეფერება, ეს გახლავთ სიტყვა „ტყვია“ და როცა ვკითხულობ: „ტყვიამ“, „ტყვიით“ და ა.შ., მაშინ მიჩნდება დიდი სურვილი, რომ ეს სიტყვა - ან საერთოდ ამოვიღოთ ხმარებიდან, ანდა ამ სიტყვის საბრუნებლად გრამატიკაში სულ სხვა წესი შემოვიტანოთ... - არ გებრალეებათ უნაზესი ყვაილი ია, ნაწილი როა მკვლეელი საგნისა!

ქარიშხლის მოლოდინი შემოდგომაზე

საცაა ქარიშხალი, უნებურად, დაჰბერავს უჩვეულო ყაიდაზე, ხეივანებს მიუხტება ჰუნებივით და ფოთლებს წინილებად გაიტაცებს.

იქნება საშინელი ქარიშხალი, გატყდება შემოდგომის გაღერა - ხეები ფოთოლცვენას დანიშნავენ უამრავ მოცეკვავე ბალერინად,

რომლებიც ნაირფერად, დეგასავით, ექნებათ დახატული ჰაერშივე... ჩვენც, ალბათ, ერთმანეთში შეგვაზავებს ქარიშხლის გულბოროტი ქალიშვილი.

ცხენები მოისვრიან ცაში ნალებს, ლექსიც ფეხს მოიტეხავს სათაურში... იქნება ქარიშხალი საშინელი, ვაი თუ ველარავინ გადავურჩით!

შიშხლის მგალი

სიმინდს ფშვნიდა დედაჩემი და ვარცლში, თითქოს, კბილები სცვიოდა შიმშილის მგელს, რომელსაც ჩვენი შექმა უნდოდა.

აოეტი და ანგელოზი

ერთხელ ჩასწურულა ანგელოსმა: - შენსას მანუეტსაც და საყელოსაც მელნის სურნელი აქვს უმძრაფრესი და სულ სულსწრაფობდი დამელოცა

შენი ერთგულება სიტყვისადმი და რომ ედარები ბინდის ადგილს, როცა სტრიქონისთვის ფაციფუცობ, როგორც გაზაფხული კვირტისათვის.

გფარე იმედების მიწოდებით, შენში განწირულ სულს ვიცოდებდი, რასაც სიკვდილამდე გაგიმზარებს შენივე ძვალ-ნეკნების გისოსები.



ბათუ დანელია

ბევრს სურს ძლიერებით ნეტარება - მათთვის ავდარსაც კი ედარება, მათთვის აღარაფერს წარმოადგენს მფარველ ანგელოზთან შედარებაც.

მათთვის მაისდება იანვარიც (შენთვის გაზაფხულიც გვიან არის), მათთვის - გახვერტილი შაურია ფასი სიკეთის და სიაღლის.

შენ კი ეშმაკების შესახებაც წერე პოეზიის შესაქმნელად - მეტი, არავისთან, არასოდეს, შენ აქ არაფერი გესაქმება.

ნაქვი

უდაძმო ბავშვს როგორ მიყვარდა პატარა, ჩემი სიმალის ნაქვი, ოღონდ მაშინ კი არა, როცა დედა მორთავდა ახალი წლისთვის, არამედ მანამ, ვიდრე მორთავდნენ, ანუ ამ ახალ წლამდე ორი თუ სამი დღით ადრე მოტანილი, სახლის უკანა აივანზე, გათოშილ კედელს მიყუდებული უკმაყოფილოდ, თავის დებს და ძმებს მოწყვეტილი, მოწყენილი და ფიქრიანი, სურნელებით რომ აზავებდა დეკემბრის ჰაერს და წინვებით რომ იჩხვლიტებოდა, როგორც ჩემი გამზრდელი დეიდაშვილი მაშინ, როდესაც ცრემლიან ლოყებს მიკოცნიდა გაუპარსავი.

ჩემო სიყვარულ!

ელბას

სულზეც მომესია სევდა ბუსუსებად შენგან გამწარებულ დღეთა შეჯამებით. ჩემო სიყვარულო, დღემდე უსასრულოდ არასაკმარისო, როგორ მეჯავრები!

მაგრამ მიყვარხარ და ძღვევის ტოლფასია ჩემი სიჯიუტის გრძელი მისტერია... - ამოჩემებული მყავხარ კომპასივით და სხვა მხარისაკენ ველარ მიცქერია...

წლებს ნუ დამიჩაგრავ დროში, ამაოში, შენკენ შეუნყვეტელ ლტოლვით განაფულებს! ჩემო სიყვარულო, ერთხელ გამოუშვი თვალთა მერცხლები და გამიგაზაფხულე!

უქმად დაღამებულ დღეებს, რიგრიგობით, ხსოვნის სამჯავროზე ვაქცევ ნამეხარად... შენზე ოცნებანი ღმერთთან მიკრიკებად მყვანან გაზაფხილნი - იქნებ დამეხმარა!

შენ კი, აღარა გნამს, ალბათ, გამჩენი და აღარ გამიხსენებ, აღარ გენაღვლები. ან თმა, ანდა მხარი - რამე დამრჩენოდა შენი ნაფერები, თუნდაც შენახები!

აღარც თანაგრძობა! აღარც - სიბრალული! არც ის მოგესურვა - ზარად დამარისხო... ნუკი დამაბერებ, ჩემო სიყვარულო, დღემდე უსასრულოდ არასაკმარისო!

ღმერთს

შენ - სამყაროსი გული ხარ ყველგან, გამჩენო, სამყაროს არ აქვს არც ღვიძლი, არცა ფილტვები. ქარებმა სუნთქვა როგორც არ უნდა აჭენონ - უსასრულობის სამანებს შენლა სცილდები.

უსასრულობის მშვილდები შენლა მოზიდე და - ვიმართებით შენებრი კეთილ ტირანით... ღმერთო, შენ ყველგან გული ხარ სამყაროსი და გარს არ გეკვირან ადგილნი განაპირანი...

გალაქტიკები შენ შექმენ ვარსკვლავთ ვენახად და მათ - გადაკრულ სიტყვასაც არ ეუბნები... ყველა ვარსკვლავი გულია, ანუ შენა ხარ, ანუ - სამყაროს არა აქვს გარეუბნები.

ხელი

შენ კი არ უნდა ნახვიდე მისკენ, არამედ - მისკენ გაშვერილ შენსავ ხელს უნდა გაჰყვე, როგორც ბორანი მიჰყვება ხოლმე ნაპირებს შორის გაბმულ ბაგირს და... ხელი გულზეც კი გულწრფელია და მგზნებარეა, როცა საშველად გაიშვირება.

ბაჩანა

რანაირად და როდის გავჩნდით?! - დარვინიზმი ხომ სწორედ ბუნებისმეტყველების საფიქსია... - ჩვენი გულების დაირებზე ნამები დღესაც ისე უკრავენ, როგორც მაშინ - მილიონი თუ მილიარდი წლის წინ, როდესაც ხორცი შევისხით სულზემა ისე, როგორც მერე, დღემდე, მრავალჯერ სიხარულისგან უხილავი ფრთები შეგვისხამს... როდის და როგორ გავჩნდით მაინც?! როგორ და როდის?!

მე რომ ამაზე არ ვიფიქრო, მაშინ ამაზე ჩემი ნეკნები იფიქრებენ, ჩემი თითებიც, თვალბებიც, თმებიც, ფილტვებიც და დანარჩენებიც, რადგან მაგათაც არ ასვენებთ იგივე კითხვა, და მე რომ ვფიქრობ ამ კითხვაზე, მათთვის ისეა, როგორც წყურვილის მოკვლა, რასაც ახორციელებს პირილა, მაგრამ სუყველაფერს გადაეცემა... ეს კითხვა ზოგჯერ, მანყებინებს ჰაერზე კბენას, როგორც ძალს მოსდის ხოლმე, როცა მესრის შიგნიდან

გაშმაგებული ეჩხუბება მესრის გარეთ მყოფ სხვა ძალს, რომელსაც ხშირად ხედავს, მაგრამ არ იცნობს.

ასეთ კითხვისგან შემიძლია მე ეკლიანი მავთულებიც კი გავაკეთო და შემოვივლო და აღარავინ არ მოუშვა ჩემ სიახლოვეს. რანაირად და როდის გავჩნდით?! - რა ნაცნობია ეს კითხვა ჩვენი სისხლისთვის და ჩვენი ცრემლისთვის! და მაინც დღესაც ატირებს ის ჩვენს სისხლს და ჩვენს ცრემლს - სისხლსაც და ცრემლსაც მოსდით ცრემლი ამ კითხვის გამო.

ლურსმნები ქარების ყიაში

მე ყველგან, ყველაფერს ყურს ვუგდებ გასუსული - ღვთის სურნელს ყოველთვის ვისრუტავ ჟანგბადიდან. პოეტი უთუოდ ბუნების კაზუსია - ჯერ უნდა ჯვარს გაცვან, მერეღა განგადიდონ.

მე ვისმენ სხვებისთვის არსმენილ ობერტონებს, ვინ მღერის? რა უკრავს? დაფი თუ ნალარა?! ჩიტუნა ყოფილა... - რას მღერის, რობერტინო? - ვერ გეტყვის - მღერის და ამქვეყნად აღარაა.

მაგრამ მე არ მინდა ბუენი და დაირანი, მე თოვლის მელნისფერ კლავიშებს ავაკენესებ. მე ჩემში მაშინვე მოვკალი ბაირონი, რომ ლაღად მერწია სტრიქონთა ჰამაკებზე...

მე მთვარეს არ ვუყვებ, მარტოსულ მურისებერ, მთლად ვიკრობ ცას, როგორც აფიშებს ბოძკინტები... და მაინც, ყოველდღე, საფრთხო და კურიოზულ უამრავ მინიერ ამბავთან ვქორწინდები...

ვინა ხართ? რა გინდათ? რას ითხოვთ, ბატონებო?! რას ერჩით პოეტებს, კონსულო, კაიზერო?! ისინი ღამეებს გიჟივით ათენებენ, რომ ყური ღვთის ჩურჩულს მოკრან და ჩაინერონ.

მე თქვენთვის გაზაფხულს მოვიყვან უმერცხლებოდ და ბალზამს ავხაპავ ცხოვრების შავი ჭიდან და ლურსმნებს, ქარებს რომ ყიაში უფერცხლდებათ, თქვენს ნაცვლად დავხვდები და გულში ჩავიჭედებ.

თეთრი, წითელი და აგაოჯა

ცხვარი ვიყიდე დედაჩემის ორმოცისათვის, ორმოცამდე ოცი დღით ადრე და ჩემს ეზოში გაბატონდა თეთრი ფერი, სხვა ფერებმა კი, არათუ ფორმა და შინაარსი, სახელიცა და ფერიც დაკარგეს, თუ, თითქოს სადღაც მიიმალნენ ყვითელი, ლურჯი, ყავისფერი და ყველაზე აქტიური წითელიც კი, მხოლოდ მწვანე ეფინა ძირს, როგორც ხალიჩა სიკვდილისა, სადაც თეთრი მოძრაობდა ვერცხლისწყალივით, ძოვა-ძოვით დადიოდა იქით და აქით დაკარგული წითლის მოხმობით, დაკარგულ წითლის საპოვნელად, რომელსაც ის იპოვიდა დედაჩემის ორმოცის დღეს, დილაადრიან, ლელვის ხეზე უკანა ფეხით დაკიდებული...

სიმაღლისკენ

ხედი სულ ცხარეა, ჰაერი მლაშეა სულ. კლავენ ჩიტს ბარტყიანს, კლავენ ტოტს კოკორიანს და ყველგან, ყოველთვის გინდება ცაში ასვლა, თორემ აქ ბოლომდე გაძლება როგორია!

ცად ასვლის სურვილი მომყვება ბავშვობიდან, ახლა კი სულ სხვაა ამისი მიზეზები... ხანდახან ისე ვარ, თითქოს აქ არ ვმოხილვარ - მკორტნიან, მიძიგნიან, ვირღვევი, ვინელები...

უთუოდ ავალ ცად, უთუოდ, ჯერ კი ასე მღუნავენ, მფეკვანენ და გამცრიან მერდინითაც... და თუ ცად ავედი, ვაჯობებ ხერგისასაც - ნამოვალ ისეთი მაღალი წერტილიდან.

ხალოვანი ხალოვანს

რომ იცოდე, როგორ ფერებს გამოვსტყორცნით შიგნიდან გარეთ - შინაგნობიდან საშინელ გარესამყაროში, მაგრამ რად გინდა - მხოლოდ ცისარტყელის ფერთა დამნახველნი მაგ ფერებს როდის დაინახავენ?!

შაიოდგომა, თანება

ნიავმა გზადაგზა აბოდა სვენებით, თენებამ დილისპირს ცისპირი მოცისკრა, ბალია ახალი ნაფოთოლცვენები, ყველა ხე ბერსა ჰგავს, განწმენდილს ლოცვისგან.

მე უკვე ყოველდღე შევიფარ ბაღში და სულ უფრო ვსარგებლობ პოეტის უფლებით... თანდათან მნათობთა მოწყენაც გახშირდა, დატვირთულ ხომალდებს მოჰგვანან ღრუბლები.

და, ვიდრე, ელვისგან გაჩენილ ბზარიდან მწერები ავდრისა ნამოვლენ ფარფაშით, მანამდე უთუოდ დაჰბერავს ქარი და ამ ფოთლებს დამარხავს საერთო საფლავეში.

სიღარიბის ფორმულა

ფული არა მაქვს, ე.ი. ვარსებობ - მკვდარი ჯერ არ ვარ... და ისე მიდის ცხოვრების საქმე, რომ, თუ როდისმე მექნება ფული, მე - შეიძლება არა, მაგრამ ჩემში ცხოვრება იქნება მკვდარი.

ეშმაკი

კარი გაიღო - დაალო პირი ბინამ და მე, ვინც ლოგინში ვინექ და მშვიდად ვფშვინავდი - შემოსასვლელში, მთლად ზღურბლთან, ვზივარ, მაცვია...

და გაოცებას ვერ ვმალავ... თითქოს ქაცვიან ტოტებს მავლებენ, რადგანაც ვხედავ ზღურბლის იქით სტუმარს და როგორც ბგერები ცუდი მუსიკის, მესმის: „გესტუმრეთ ბატონო, თქვენი ეშმაკი!“ ხითხითით ამბობს იგი და... ჭკვაზე შეშლამდი აღარაფერი მაკლია... - როგორ, საიდან! ლოგინში ვინექ და უცებ, ვითომ შაითანს გადავეყარე მე, ვისაც სწორედ მაგათი არსების არ მსწამს და ერთს თუ ცხადად ვნახავდი, რას ვიფიქრებდი... რა ვუთხრა ახლა ამ ბატონს, რომელსაც, ალბათ, ისიც კი ძალუძს - დამხატოს არათუ სუფთა ქალაქზე ფანქრით, არამედ ჰაერშიც თითით... და, თითქოს, გამებზარა მე მსოფლმხედველობა ეჭვით და... ამ დროს უეცრად გამეფიქრება: „ვაი, მას ძალლი თუ ეცა!“ ის გამოინვდის ხელს, და ხელს თრთოლვით გაფუნვდი მეც და მივუგებ: „გემლებათ, რადგან ფაუსტი მე არ გახლავართ, ყოველგვარ ხრიკის მშობელი“. „ვიცი, ბატონო, არც მე ვარ მეფისტოფელი, ოღონდ მე მისი შეგირდი, დიახ, შეგირდი გახლავართ სწორედ და მე მას რასაც შევპირდი, იმას ვასრულებ: მე უნდა დაგარწმუნოთ, რომ

არის ეშმაკი - ამისთვის საფაცურო დრო საკმაოდ მაქვს და... ჩემ საქმეს, გულით ნაკეთებს, აფასებს მეფი... მოდით, თქვენ კარი ჩაკეტეთ და მოიხედეთ მას შემდეგ უკან უეცრად“. და მე ჩავკეტე კარი და - „ვაი თუ ეცა ძალლი, თუმც როგორ შემოვა“ - ესლა გავივლე ფიქრად გულში და შევბრუნდი, ვხედავ, ყვავილებს მანვდის ის, ჩემი ძალლი კი - შიშველ მუხლისთავს ულოკავს... „აი, თქვენ ძღვენად ცრემლი

ღრუბლისგან!“ ამბობს და სითხით სავსე ბოთლს იღებს ჯიბიდან. მე ვფიქრობ: „ნეტავ, არაყი როდის იყიდა?!“ უცებ ახალ წლის ნაძვის ხის ფერად გირჩებად მინთებს ნათურებს და პირი ღიად მიჩრება და, პირს როდესაც ვმუნავდი, პირში სიგარა გამეჩრა და მსურს ჩამოვჯდე სკამზე. „იქ არა! იქ ნუ დაჯდებით, ის სკამი აღარ არი და...“ „აბა რაღაა?“ - ვკითხე მე: „უკვე მთვარიდან ჩამოტანილი გრუნტია... ნელან ვიყავი მთვარეზე და იქ დავტოვე ოქროს მნიკავი თქვენისთანები“, თქვა მან და უცებ უნდილად ვიგრძენი თავი და მესმის: „მთვარის გრუნტიდან წვენს გამოწურავთ მარწყვისას, მიდით, თითები დააჭირეთ და... მერე ბუზს გაეკიდებით და გველს დაიჭერთ“. „რა-მეთქი!“ - შიშით ფეხები მომეკეცა და ნელ-ნელა სკამ-გრუნტს ვეხები - ვჯდები და ვწურავ მარწყვის წვენს ჩემი სიძიმით. „გიჯერებთ“ - ვთქვი და ვიგრძენი ცრემლის ციმციმი. „ვხედავ, არ სტყუით, წრფელი ხართ, ან მაცდურებს ნულარ მოუსმენთ თქვენ, თორემ ერთხელ, გარწმუნებთ, რომ მთელ სიცოცხლეს ნააგებთ. ახლა ნადით და მშვიდად იძინეთ და თუ არ გინდათ სათითედ გადაგაქციოთ, არასდროს გნამდეთ ეშმაკთა არარსებობის, თორემ მე კი არ შეგჭამთ და შეგახრამუნებთ, არამედ თქვენსაც ძალისხვე ლუკმა გახდებით - ასეთ ბედს მელა გაღირსებთ და სხვა არავინ“, - ეს თქვა და უცებ ვიღვიძებ და უნებურად, რაღა თქმა უნდა, სიკვდილზე ვფიქრობ, მგონია ვკვდებოდი ძილში, ამავე დროს ვიხსენებ ეშმაკს და მინდა ვინმეს გავანდო ჩემი სიზმარი და უცებ მზერა შევავლე შემოსასვლელში გრუნტს და ბოთლს, როგორც მძევლებს,

ეშმაკისაგან ფეშქაშებს კომპარ სიზმარში, და ვხედავ, ჟონავს ფანჯრიდან დილის რიჟრაჟი, ნათურები კი ახალ წლის ნაძვის გირჩებად ანათებენ და პირი კვლავ ღიად მიჩრება, როდესაც ვნახავ ეშმაკის მოძღვნილ ყვავილებს და სიგარასაც... ორთავ ხელს თავში წავივლებ. ბოთლში არაყის მაგივრად ესხა მომლამო სითხე... გრუნტთან კი, პარკეტზე უნდა მოვპრო წვენი, რომელიც ძალიან მოჰგავს მარწყვისას, შარვალიც სველი... ძალღს სძინავს... უცებ მარცხისგან მინდა ვიყვირო, რომ არის ქვეყნად ეშმაკი, ვყვირი და ცოტა მაკლია ჭკაზე შეშლამდი და ვამჩნევ თითზეც სათითეს... მესმის სისინიც, ბზუილიც - აქვე არიან სადღაც ისინი...

რვა საოცრება

სურნელებაც და ყვავილებიც ჭიკჭიკიც და ჩიტებიც მატარებლებიც და რკინიგზებიც ხიდებიც და მდინარეებიც ნანერებიც და ქალაქდებიც ცაც და ანგელოზებიც ღმერთიც და მორწმუნეებიც აუცილებლად დაშორდებიან ერთმანეთს ჩემი სიყვარულო, თუკი მე და შენ დაგვაშორებენ.

ასტრონომი

არ ვიცი, ნუთუ, მართლაცდა ზღვარდაუდებელ ამ სამყაროში, ჩვენს გარდა, არვინ არსებობს, თქვენ კი ხართ ფუყე კაკლები, ტყვილის გულები, ვენერებო და ოტარიდ-სატურნ-მარსებო!

ყოველი სული ჩვენ გველტვის, თითქოს დაგვტირის სხეულებს, ანუ დაგვეძებს ძვირფას იარებს... და დედამინა, თითქოსდა, იყოს ტრაქტირი, სადაც, ცოტა ხნით, სადილად შემოვიარეთ.

დამსვენებალი

ზღვაა, როგორ ვთქვა, მთლად მუნჯურ კინოსავით, მისი შემყურე მეც, თითქოს, მუნჯივით ვარ... აქ პრობლემების არ მაფრთხობს დინოზავრი, ხსოვნაც არა ძვერს თავისი ხურჯინიდან... ვნევარ - შევიწოვ მაღლიან დედამინას და ზედ, მგონია, სამყარო მასვენია... მგონი სიამეც ზომაზე მეტი მინევს, - ერთი ჩიტუნა ნამდვილი დასენია... და სენს, სულისას, მიშუშებს დიდებულად, იმ სენს, რომელსაც ვეძახით უკურნებელს... ოღონდ ყური მაქვს ქვიშაზე მიდებული და ძირს, სიდრემში ჩოჩნხები სლუკუნებენ თითქოს...



ფრიდონ ხალვაში

საამდუნო

მელნისფერ ცრემლში, ყვავილებო, კალმად გენები, მთავ, გულზე უნდა დაგანერო, - რომ მინა მიყვარს. ო, გამჩენელო, შეგეხვეწენები: ჯერ ნუ წამიყვან, ჯერ ნუ წამიყვან!

საიმდუნო ჯერ ვერა ვქენ საამდუნოს. ხომ დამტუქსავენ დიდსულები ძველმოღვანეთა, - რა გჭირთ, რად ისმის საქართველოს ვაი-უიო. ნუ თუ ჩვენს ცრემლზე ცრემლი აწვეთდა?! რა ვუთხრა დიდსულთ, რით გავახარო, ღმერთო მაღალო?!

ჯერ ნუ წამიყვან!.. ბაზალეთის ტბის ძირს აკვანმა თუ გამოზარდა კაცის მართლის გმირი ნანატრი, ხომ უნდა ვნახო, სანამ აქ ვარ მე, გმირის გმირობა ან რამ სხვა მაღლი?! ჯერ ნუ წამიყვან!.. ჟამთ რა ჟანგი ჩემ თავს დაცლილა!.. ოთხმოცს გადაველ, ქრისტიანი კი სულ ცხრა წლის ვარ.

სიონში სხივმა - მოგე მეო, რასაც ნატრობდი... თან დამაქვს თავზე უწმინდესის ხელის ნათობი.

სად გამაჩინე, იქ ვარ, გყავდე, - ჯერ საჭირო ვარ. მზილე მაღამოდ, ჩვენებურის წამცხე ჭრილობას. დარდის შვილი ვარ. დღე ისე მიდის, რაღაცა მინდა მართლა დღე იყოს. ამერ-იმერულ ბერნ მინებივით ჩვენში სიტყვაც ხომ ხვნა-თესვას ითხოვს. ჯერ ნუ წამიყვან. ჟამთ რა ჟანგი ჩემ თავს დაცლილა!.. ოთხმოცს გადაველ, ქრისტიანი კი სულ ცხრა წლის ვარ!



გიორგი მამალაძე

რევაზ ინანიშვილი

გამოუქვეყნებელი პირადი წერილები

წყე ჩემი საქმე, უკვე გადავამუშავე ორი მოთხრობა. ერთი ეგაა, რომ ცხელა, ცხელა, პაპანაქება! მაგრამ აი დღეს უკვე ამინდიც შეიცვალა, წვიმა წამოვიდა, აგრძელდა. ეს უკეთესია ჩემთვის. თუმცა მზეც არ არის ნაკლები, ჩემს იმერულ ქუდში გენიალურად ვგრძნობ პლაჟზე თავს. ბუჟანმა ალბათ უკვე დაგირეკათ და ისიც გეტყვოდათ, როგორ ვარ. ჯერჯერობით კვებაც იმდენად მომწონს, მეშინია ძალიან არ გავსუქდე. ჩვენი სახლის დირექტორს ძალიან უნდა ნასიამოვნები დამტოვოს, არიან ქართველები, მაგრამ მწერლებიდან არავინ. მე ვუთხარი, როზა, შენზეც კი კაცოო, რავა გეკადრებათო, ყველაფერს გავაკეთებთ! ისე რომ, რომ მიანყ-მოანყო საქმეები, თხუთმეტისთვის იქნებ მართლაც მოახერხო ჩამოსვლა. ვალდის საქმის მეთვალყურეობა ბუჟანს დავაკისრე, ყველაფერს გავაკეთებო. ბიჭებო, რომ ჩამოვყავი, სულ მეკითხებოდნენ შენი ბიჭები როგორ სწავლობენო! აბა თქვენ იცით როგორც ისწავლით და მოიქცევით. არ შემარცხვინოთ, თორემ გატყდება ჩვენს შორის ძმაცაცობის ჯოხი და მერე იმის გამთელება ძნელად მოხდება. ფული გამოგიგზავნეთ. ჯერ სულ ცხრა მანეთი დავხარჯე, აქედან ექვსი მანეთი საცურაო ტრუსიკებში მივეცი, მაგრამ მაინც... გკოცნით, კარგად იყავით. აბა თქვენ იცით. არ გაგიკვირდეთ ესეთი ნაჩქარევი წაწერილია. სხვა საწერი მაქვს. მომწერეთ თქვენც.

ჩემო პარკო ბიჭო დათო!

მიმიღე შენი ლამაზი წერილი და ძალიან გამეხარდა... მომეჩვენა, რომ შენი ჭუჭყვიერის სუნიც კი ჰქონდა. ალბათ ხელები არ დაიბანე და ამიტომ. რომ მწერ, მე და დედა უნდა ჩამოვიდეთო, თუ ვერ ჩამოხვედით, არ იდარდო. მერმის, კაცი არ ვიყო, თუ მთელი თვე არ გავატარებინოთ ზღვაზე! აქ წვიმები დაიწყო, ეხლა ზღვა ისე ლელავს, ლამის ჩემს ფანჯრებამდე შემოასხას შეხვეები. მაგრამ გემები მაინც დაიბრუნა, დიდ გემებს ვერაფერს დააკლებს ასეთი ლელვა, დიდ გემები თავისი რკინის ვეება წყვიტინით გააპობს ტალღას და წავა თავის გზაზე. მხოლოდ თოლიები დადიან დაწიკვებულნი და იძახიან - კიე! კიე! კიე-კიე! მე ვზივარ და კარგ მოთხრობებს გინერთ. მინდა, რომ ძალიან კარგი მამა ჰყავდეთ ჩემს ბიჭებს, ყოველდღე თან ვვარჯიშობ, გავშავდი კიდეც, მუშტი რომ დავაკერო ვინმეს, ყბას ზურგისკენ მოუქცევ. აბა შენ იცი, როგორ ისწავლი და ივარჯიშებ, რაც მთავარია, როგორ ჭამ. გადაეცი კოცნით ჩემი მოკითხვა კოტიკოსს, მაგ ზარმაცს, წერილი რომ არ მომწერა. დედას უთხარი, „ნაკადულში“ არავითარი ჩასვლა არ არის საჭირო, მე რომ ჩამოვალ, მაშინაც მოესწრება ყველაფერი. თან აკოცე კიდეც დედას. გაუფრთხილდით ერთმანეთს და იყავით კარგად. მე მალე ჩამოვალ და სათამაშოთი გავახარებ. გკოცნი წვინტილიან ცხვირზე.

შენი მამიკო
13.IX.68

ჩემო როზა!

მარ მოსკოვის განაპირას, მხატვართა შემოქმედებით სახლში. აქ არის ჩუბნიკა, აგრეთვე, ოთარ ჯიშკარიანი. წარმოიდგინე გაგრის შემოქმედებითი სახლი, ერთი განსხვავებით - აქ ტბაა, გაყინული, შემოშამბული და ცივი. მაგრამ ოთახებში ძალიან თბილა, საერთოდ არ არის სიცოცხე. გადაწყვეტილი გვაქვს ვიმუშაოთ კარგად. მე საგზური მაქვს 19 ნოემბრის ჩათვლით, თუ კარგად წავიდა საქმეები, შეიძლება ცოტაც გავაგრძელო, თუ ისე რა, მაშინ ცხრამეტის შემდეგ ჩამოვალ. იურა, ჩვენი წვერიანი ძმაცაცო გადმოგვყვა ზედ. გავგინართა ვახშამი, დაგვყვება და ცდილობს ყოველ მხრივ შეგვიწყოს ხელი. იმედი მაქვს თქვენც მაგრა იქნებით. ტელეფონით აქედან ლაპარაკი ცოტა რთულია, ამიტომ წერილებს მოგწერთ. გკოცნით. საყიდლებზე 13-ში მივდივარ, ვნახოთ ვინ ვიშოვი, ისე არაფერს არ უჩანს კარგი პირი. ნასკი რომ ნასკია, ისიც არ

იმოვება რიგიანი. კიდევ ერთხელ გკოცნით.

11. XI. 75 რეზო

ჩემო როზა და ჩემო კოტიკო დათო!

მამამთქვენი ეხლა თქვენგან ძალიან შორს არის. ლამა. ცა იმავდ ვარსკვლავებით არის მოჭედული - მანდ რომ ხედავთ ხოლმე, ისეთივე ჭრიჭინები კრუტუნებენ; ზის აივანზე და თქვენს წერილებს სწერს. აბა რა ქნას, აქ რაღაც დომხალი დახვდა. ოთხამდე საკუთარ ოთახს ვერ მოგვცემთო. ვცხოვრობ ვიღაცა ბებერთან ერთად. თავმოტვლეული ბებერთან ერთად, ვერთობი ლამით იმისი ხრიალით, დღისით კი მეშინია ამ კაცმა ემანდ თქვენი ჭირი არ წაიღოს და მე არ დამბრალდეს მეთქი. ქალაქს... ეს თქვენი განთქმული იალტამე ხუთ გროშიანად არ მიმაჩნია. წყალი რომ გინდა დალო, ნახვარი საათი უნდა იდგე რიგში. დალევ ბოლოს და მე შენ გეტყვი ლალიძის წყალი არ დაგაღვიწონ! რუსული ალუბლის წყალი და შენი ჯანი! მალაზიები სავესეა - რედიკულებით ჩვენთან რომ 1937 წელს ეჭირათ ქალებს, შლიაპეებით ბებიანების ახალგაზრდობისას რომ ეხურათ, კასინკებით, ჩინური ქოლგებით და სხვა ასეთი იშვიათი საქონელით. თქვენ გგონიათ არ არის თავპირისმტყვევა ამეზბზე?! წურას უკაცრავად. სუ რუსული „საბლიუდაიტე პარიადოკ“, „საბლიუდაიტე პარიადოკ“ - ისმის რიგებში. მარა გგონიათ! ქალაქი სავესეა კიდევ იცით რით? ბებრებით. ქალაქიც და ჩვენი შემოქმედებითი სახლიც. მარტო ჩვენს სახლში იქნება მილიონ ოთხმოცდაცხრამეტიათასი ბებერი. ისე რომ მე აქ ბიჭუშკა ვარ. ვნახოთ რა იქნება ოთხიდან. (ამ ხაზიდან დილით ვწერ) დავედივარ მარტო და ვიღვივები. ზღვის ნაპირზე წვანად სულაპებით თითო ხუთასკილოიანი ბებერი რუსი დედაკაცები. ახალგაზრდები - შენდაგასახარად, როზა, თითქმის არა ჩანან. აი, ეხლა შემანყვეტინეს წერა, შემოვიდა „ხაზიკა“ და მოთხრა, ერთ საათში გადავიყვანეთ ოთახში. ისე რომ არა უშავს რა. დღეს კი ორია. დილით 10, ანუ თბილისურად 11 საათი. იყავით კარგად. გკოცნით. წელან ჩიტი მოფრინდა და მოთხრა შენი ბიჭები ცოტ-ცოტას აბრაზებენ დედასო. მე არ დავეჯერე. მაგრამ თუ მეორედაც მოთხრა, მაშინ მეტი რა გზა მექნება, დავუჯერებ და დიდხანს, დიდხანს დავგრეზბი აქ.

ღია ბარათი ღუშეთის I საშ. სკოლის მოსწავლე ვანო პაპაიასის

ჩემო პატარა მეგობარო ვანო!

„ნორჩი ლენინელი“ რედაქციაში, სადაც შენ ჩემდამი მოწერილი ბარათი გამოგიგზავნია, მოხოვეს, თუ გიპასუხებდი, ეს პასუხი მათი გაზეთის საშუალებით გამოგიგზავნა, რასაც შენ მოგწერიდი, გაზეთში დამებუქდა. ეს, რა თქმა უნდა, ცოტა უფრო ძნელი საქმეა, ვიდრე პირადი ბარათების წერა, მაგრამ, რაკი რედაქციის მუშაკები ფიქრობენ, ჩვენი საუბარი იქნებ სხვა ბავშვებისთვისაც საინტერესო აღმოჩნდეს, შეძლებისდაგვარად ვუსრულებ თხოვნას.

უპირველეს ყოვლისა, დიდ მადლობას გიხდით იმ ქების სიტყვებისთვის, რითაც შენ ჩემს ნაწერებს აჯილდოეებ. მკითხველთა ბარათებს რომ მივიღებ ხოლმე, ძალიან მიხარია. აქვე მახსენდება ერთი ამბავი. ერთ ძველ ხელოვანს უკითხეს, - რად იღწე ასე შენი ხელოვნებისათვის, რომელიც არ შეიძლება გასაგები იყოს მრავალთათვის; ხელოვანმა უპასუხა, ჩემთვის საკმაოა რამდენიმე, ჩემთვის საკმაოა ერთიც, მე ერთიც არ მინდაო. ეს ამბავი ისე კი არ უნდა გავიგოთ, თითქოს ხელოვანი ამ ხოლოდ საკუთარი მისწრაფების დასაკმაყოფილებლად უნდა აკეთოს, რასაც აკეთებს; არა, ნამდვილი ხელოვანი (ანდა შემოქმედი, სულ ერთია), სხვებისთვის ქმნის. იგი ბუნდური იქნება, თუ ეს სხვები დააფასებენ, მაგრამ მაშინაც არ იგრძნობს თავს უბედურად, თუ

ასეთი არ გამოუჩნდებიან. მისი რწმენა განუსაზღვრელად დიდია. მას სჯერა, რომ, თუ კი ნამდვილად კეთილშობილურ საქმეს გააკეთებს, დღეს თუ არა ხვალ მაინც, ხვალ თუ არა, ზეგ მაინც, ამ საქმის დამფასებლები მოვლენ.

ძველი ხელოვანის ზემოთმოტანილი სიტყვები და ჩემი მოთხრობების მკითხველთა ბარათები უფლებას მაძლევენ საკუთარ თავს ვუთხრა: ხედავ, შენ უკვე ცოტა უფრო ბუნდური ხარ, ვიდრე ზოგიერთი ამ ქვეყანაზე! ეს ბარათები სიცოცხლეშივე მიდასტურებენ, რომ ჩემი შრომა ამოდ არ მიდის, ჩემი ხმა არ რჩება „ხმად მალადებლისად უდაბნოსა შინა“...

ვანო, შენმა ბარათმა იმითაც გამახარა, რომ ვიგრძენი, ძირითადად სწორად გაქვს გაგებული ის ფიქრები, რომლებიც ჩემს მოთხრობებს მანერინებდნენ. მე აქ სულ ცოტა რამეს დავუმატებ შენს საზოგადო მოსაზრებებს ლიტერატურაზე. მე მესმის შენი სიხარული, როდესაც წიგნს კითხულობ და წენს წინაშე ნაცნობი სახეები, ადგილები და მოვლენები გაივლიან. ადამიანებს ყოველთვის ჰქონდათ და ექნებათ სურვილი, ნახატებსა თუ მონათხრობებში აღბეჭდონ, რაც მათ ირგვლივ ხდება. მაგრამ ჩემთვის მაინც ისეთი ლიტერატურაა უფრო ძვირფასი, რომელიც, გარდა ნაცნობი მოვლენების ჩვენებისა, რაღაც ამამალელებელ აზრებსაც ჩაგვინერგავს.

აი, მაგალითისთვის, ავიღოთ შენი მონობეული „უშიშა პაპას ამბავი“. ჩემთვის ის ნაკლებად მნიშვნელოვანი იქნებოდა, მკითხველებს რომ უშიშა პაპას სახეში მარტო მათი ნაცნობი პაპები დაენახათ. ჩემთვის აქ მთავარი ის ამბავია, დენთივით რომ იფეთქა უშიშამ. დატყვევებული და დამცირებული ლომის დანახვისას. ეს მოხუცი ნამდვილი კაცური კაცია. იგი ყოველთვის მზად არის, დაიცვას მამაპაპათაგან გადმობარებული სიკეთე და ებრძოდეს ბოროტს. მისი ამალელებული საქციელის შემყურე, მეც ვმალდებ; მის გვერდით, მისი მსგავსი ადამიანების გვერდით, ცხოვრება ადვილდება, ცაც უფრო ლამაზი ჩანს და მიწაც.

ვანო, შენ მეკითხები, ნამდვილად იყვენ თუ არა, „კიტრის ქურდის“ გმირები. არა, ამ სახით და ამ სახელებით, როგორც ისინი მოთხრობაში არიან, არ არსებობდნენ. მაგრამ ჩემს სოფელში (ბავშვობაშიც დამეჩვენა - არდადეგებზე თუ შეველებოთ ჩასულს) ბევრი ბიჭი მინახავს აფრიას მსგავსი. ასევე ბევრი შემხვედრია აფრიას დედისთან ქალი, მიხაკო ჯალიაშვილისთან მამაკაცი. მე მათ, როგორც დიდ მწერალი ნიკო ლორთქიფანიძე იტყვოდა, „მხოლოდ წარბ-წამწამი გუნდა-ლახუსტაკით შევეუღებე და ლოყებზე ოღნავ ფერ-უმარილი ნავუსვი“.

უფრო ზუსტი პორტრეტია ჩემი უჯარმელი მეზობელი პატარა ბიჭისა ბიბო. ხომ გახსოვს მოთხრობა „ბიბო“. ამ ბიჭს ბადრი ჰქვია. რომ ვკითხავდი, - როგორ ხარ, ბადრი, კაცო-მეთქი, - ყოველთვის თავის გაქნევით მიპასუხებდა, - გული დარდიანი მაქვსო. მაგრამ თვით ამ ლიტერატურულ სახეს და მის ირგვლივ დატრიალებულ ამბებსაც სხვადასხვა ადგილებიდან ამოკრეფილი ცხოვრებისეული ფაქტებით შეესხა ხორცი. სხვაზე რომ არაფერი ვთქვა, ამა ისიც ცხადყოფს, რომ ბადრი, ანუ მოთხრობაში ბიბო, უჯარმიდან ხაშში გადავასახლე. სწორედ იქიდან ჩანს ვრცელი ივრის ხეობა, მერე ნალშიანის გორა, იმ ნალშიანის გორაზე კი - ამაჟალ-ჩამაჟალი მანქანები.

ვანო, შენ გინდა, ხშირ-ხშირად კითხულობდე ჩემს მოთხრობებს „ნორჩი ლენინელი“. ეს მეც მინდა, მაგრამ, გამოგიტყდები, ხშირად ვერ ვახერხებ ხოლმე წერას. ამა სხვადასხვა მიზევი აქვს. აქედან კი ყველაზე მთავარი ის არის, რომ დროის გარკვეულ მომენტებში ისეთი არაფერი მაქვს სათქმელი, რომელსაც მკითხველთათვის საინტერესოდ ჩავთვლი. ისე, ცდას არ ვაკლებ. როგორც კი თქვენს, მოსწავლეთა შესაფერის რამეს დავწერ „ნორჩი ლენინელი“ დაგებუქდავ. მანამდე, მეტი გზა არ არის, სხვების ნაწ-

გამარჯობა ჩემო გოგო-ბიჭებო!

როგორ ხართ. მე ამ კვირას ალბათ ვერ ჩამოვალ და წერილს გწერთ. მინდა გავიგო, რა ამბებია მანდ. განწყობა საჩიტეთი კოტემ, თუ ვერა ანდა თევზი ხომ არ ამოხაპა მთლიანად მტკვრიდან. თუ ლღვეთი ადგილით სიარული რა ვაუკაცობაა! კიდევ უფრო გასუქდა მანანა, თუ ვერა! ისე, გასუქებით, თქვენც რომ ცოტა გასუქდეთ, არ განწყენთ. ეხლა წონას ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს. ვინც მსუქანია და ღიბიანი, პატივსაც სცემენ. რაც უფრო დიდი ღიბი აქვს კაცს, მით უფრო დიდ პატივს სცემენ. ჭამეთ რაც მოგხვდეთ, გარდა კევისა. კევი საღებავად არ ვარგა და საჭმელად ხომ წულარ იტყვი - კუჭის საგოზავია (ზამაზკა) პირდაპირ.

ჩვენს ამბავს თუ იკითხავთ, შეგვიძლია ასე გიპასუხოთ: კარგად ვართ. მხოლოდ ეგაა ვალდის თავი ბალიშით აქვს გასიებული მეცადინეობით, დედამისს და ბაბუშკას კიდევ იმაზე ფერით აღარ სძინავთ, მოეწყობა თუ არაო. მე ვვარჯიშობ და ვვარჯიშობ, უნივერსიტეტი რომ ავიღო. არ ცხელა, ხშირად წვიმს, კაკომ თქვა, სადაცაა ხიდისთაური ატამი დამწიფდებაო. კიტრმა დაიხსნაო. გაჩნდა ნესვი და საზამთრო. რომ ჩამოვალთ, უთუოდ ჩამოგიტანთ ნესვსაც და საზამთროსაც.

ხო, მართლა, სიზმარში ვნახე, კოტეს სიზმარმაცის პრიზი მიუღია ზარმაცებისა და დოყლაპიების პრეზიდენტისგან, ძალიან გამეხარდა და მეც მოეუშაბდე საჩუქარი, „შერლოკ ჰოლმის თავგადასავალი“. აბა მაგან იცის, ახლა, ვინძლო თავი არ შეირცხვინოს, ზარმაცობაში და დოყლაპიობაში არავინ აჯობოს. წინათ თუ ერთხელ დღერიდა კერძს, ეხლა სამაჯერ დაღვაროს და იქნება მსოფლიო ჩემპიონიც გახდეს. თუ მსოფლიო ჩემპიონი გახდა, მერე აღარაფერი გვეჭირს! დათო სხვა გზით წავიდე. ერთ ოჯახში ორი სიზმარმაცისა და დოყლაპიობის ჩემპიონი ხომ არ გვეყოლება. დათოს სიბერეთისა და სიყოჩაღის ჩემპიონობას ვუსურვებ. ესეც კარგია. ყოჩაღი, ბევრით ბიჭობაც კარგია. განსაკუთრებით ჭამაში სიყოჩაღე, ამას ხომ არაფერი სჯობია. მე და კოტემ ერთხელ კინოც კი ვნახეთ ამაზე „ჯორდი“. ერთი უზარმაზარი სინით მოუტანდნენ ხოლმე ჯორდის ფაფას, და ისიც ათავებდა ნამში. მერე მსოფლიო ჩემპიონი გახდა. აბა, ეგეც საქმეა!

მომიკითხეთ თქვენი მეზობლები და დათვი მიშკა. თუ ციყვები მანდ არიან, ისინიც მომიკითხეთ. გკოცნით ბევრს, აბა თქვენ იცით, როგორც დამხვდებით, მანამდე კი ჩემს მაგივრად, წვინტილიან ცხვირებში დედამ გაკოცოთ სამივეს.

თქვენი მამა
25.VII.67

3.VX.68, გაგრა ჩემო გოგო და ბიჭებო!

რაღბან გაგრაში ამჟამად იმდენი ხალხია, რომ ველარ ვცნობ, რადგან დარეკვა ძალიან გაძნელებულია, (გუშინს წინ მთელ ერთ საათში ვერ დამაკავშირეს თქვენთან) ამიტომ წერილს გწერთ. მე ძალიან კარგად მოვეწყე, კარგადაც დავი-

ერები უნდა წავიდეთ იოლას. კიდევ ერთხელ გიხდით დიდ მადლობას ბარათისთვის. გისურვებ, რომ კარგად ისწავლო და ჩვენი ქვეყნის სასახელო შვილი გაიზარდო.

15.III.71
რ. ინანიშვილი

რეკომენდაცია

უხმარსულად მეჩვენება, მწერალთა კავშირის რიგებში მისაღებად ტრადიციული რეკომენდაცია მიეცეს ისეთ ლიტერატორს, როგორც აკ. ბაქრაძეა. მას მთელი ქართველი მკითხველი საზოგადოებრიობა იცნობს. სიტყვას მის გამორჩეულ ნიჭიერებაზე, ერუდიციაზე და პრინციპულობაზე ადვილად არ დამანებებდნენ სხვები. მე აქ მხოლოდ ერთს ვიტყვი: დიდ პატივად მივიჩნევ ჩემზე შეჩერებულ მის არჩევანს და მთელი სულითა და გულით ვუღებ კარს, რომელსაც იგი დაგვიანებით მოადგა. იმედი მაქვს, ამ კარის შიგნით უფრო და უფრო ხშირად მოვისმენთ ჩვენთვის ძალიან ძვირადღირებულ მის ხმას.

სალაზი ჩამს დათოს!

გუშინ საღამოს, სწორედ იმ დროს, როცა მე და ჩუბჩიკა ძია შენი დაბადების დღის აღსანიშნავად საღამოვდგომოდით, ზღვა ახმაურდა. დღეს დილას რომ ავდექით, ტალღები უკვე ზღუდის კედელს ეხეთქებოდნენ, უამრავი თოლიები, ყურყუმალეები და მურტალეები ნაპირთან ირეოდნენ, ხტოდნენ დელფინებიც. ზღვა ღელავდა მთელ დღეს, ღელავს ახლაც, ღელავს თერთმეტ საათზე, მაგრამ ჩვენ ის ვერ გვაშინებს, ვსხედვართ და ვაშუშობთ. როცა მუშაობით ვიღლებით, ქალაქში გავდივართ. ქალაქი თითქმის ისევ ისეთია, როგორც შენ გახსოვს, ერთი ეგ არის, ბავშვთა სამყაროსთან დიდ „ბოჩკებს“ რომ აკეთებდნენ, იქ ქართული ღვინოების მაღაზია გაუხსნიათ. თითო „ბოჩკა“ თითო კუპეა, შეხვალ, დაასხმევინებ ერთ ჭიქა ღვინოს და დაღვე, მთის წვერებზე თოვლია, დაბლა კი - მშვენიერი სითბო, თხუთმეტი გრადუსი; ბაზარში იყიდება მსხვილმსხვილი მანდარინები, ფორთოხლები; ჩვენი ნაცნობი მეთევზეები ვერაფერს იჭერენ, წელს კეფალი არ არის. ჩვენი სანაპირო გაზრდილია, იმის ზემოთ - ჩამოჭმული. საერთოდ წელს ზღვა თურმე ძალიან ჭირვეულობს. საღამო ხანზე თითქოს ცოტა ჩანყნარდა, ჩავედით სველ ქვიშაზე და რალაცაგებს დაუწყვეთ ძებნა (ერთიც ვნახოთ ოქროს ბეჭედი ვიპოვოთ), მაგრამ ვერაფერი ვიპოვეთ უშუშო სათავალის მეტი. ჩუბჩიკა ძიამ მაინც გაიკეთა ის სათვალე და ისე აპირებდა სასადილოში

შესვლას, მაგრამ რატომღაც თვალები ატკინა და გადაუგდო ისევე ზღვას. გუშინ ჩეხოსლოვაკიური თეთრი პერანგები გიყიდეთ შენ და გიას, ორი შენ, ორი გიას. შენ დანაბარებ ფარსაც დავეძებ, აქ არ არის, გაგრაში, შაბათს სოჭაში ვაპირებთ წასვლას და, თუ იქ იყო, გიყიდი. გიყიდი უთუოდ სხვა რამეებსაც, ოღონდ შენც უნდა გამახარო კარგი ნიშნებით და კარგი მოქცევით. ხომ იცი, შენი დიდი იმედი მაქვს! აქაც მოგიკითხეს - ექიმმა, სასადილოს ხალხმა და სხვებმა. სასადილოში ნამცხვრები კი არის, მაგრამ პელმენები ჯერ არა ჩანს. არც მოხარული ენაა. კინოები მოაქვთ, ჩვენ კი არ ვყოფილვართ. ქალაქის კინოში. აქაც „ოცეოლა“ გადის. პინგპონგში ჩუბჩიკა ძიამ ყველას მოუგო, იმისი ქოჩრისა ყველას ემინია. დიდ მოკითხვას გითვლით ყველას. მეც გკოცნით, გკოცნით. დამხვდით კარგად. მე ძალიან კარგად ვარ.

აბა

1.II.73. გაგრა

მართლა, თუთიყუში ბორია ისევ ცოცხალია, მაგრამ გაბრაზებულია, თუ რა არის, ხმას არ იღებს. იქნება ჩვენ ვერ ვეძახით კარგად. სხვებს კი ეტყობა მობეზრდათ იმისი ლაყობა.

ჩვენი ოთახი მეორე სართულის შუაშია.

ზღვა ფშვინავს, ფშვინავს, ფშვინავს.

თერთმეტი საათი და ორმოცდახუთი წუთი!

სალაზი ჩამს დათოს!

ჩვენი პირობის თანახმად, ცოტა ადრეც უნდა მომწერა წერილი, მაგრამ მგონია დღესაც არ არის დაგვიანებული. ჩვენ ყველანი კარგად ვართ. კოტე კვლავ ზარმაცობს. ისევ ჰგონია, რომ ან ხმამაღლა რომ ნაიკითხოს ნიგნი, ან არადა ხელები გაიქნოს, დაიფუშება. მე ვყოჩაღობ, რაც კი შემოძლია, მოთხრობაც დაწერე და სხვა რალაც-რალაცებიც გავაკეთე. უკვე მგებულებმა მაქვს -- კოტესთვის ავიღე, ვამეცადინებ-მეთქი - და შეიძლება ხვალ, 16-ში, უჯარმაში წავიდეთ მე და დედა ერთი დღით. ბევრი ბლის მურაბა მოგიხარშათ დედამ, ახლა ალუბლისას აპირებს. თბილისში ქარია და ძალიან ცხელია, ბაღები აღარავისები აღარ არიან, - ჯაფარიძეების ქაჯი გოგობისა და იმათი ჯერიკას მეტი. მედიკოც წაიყვანეს კიკეთში. ო, სანოლები ვიყიდეთ, ორი, ბულგარული. საძილე ოთახი და ნიგნებიც არის ჩვენზე გამოწერილი, მაგრამ ისინი ჯერ-ჯერობით არ იყო. ანკეები რომ არ ჩამოგიტანა მამიდამ, ჩემი ბრალია. მე სხვაგან ვიყავი ეგ რომ წამოვიდა და ვერ გამოვატანე. ახლა კონვერტში გიყრი ცო-

ტას და ამით წადი იოლას. წყალს კი ძალიან უფრთხილდი, შენ გენაცვალე, ჩანჩქერსაც და ზღვასაც. ზღვასაც ხომ განსაკუთრებით! შენ კარგი ბიჭი ხარ, შენი იმედი ძალიან მაქვს და ბაბო და მამიდა არ გააბრაზო. მე ამ ცოტა ხანში ავიღებ ფულს და ჩამოვალ. ან მე ჩამოვალ. ან დედა მაინც. გკოცნი ბევრს. შენგანაც ველი საპასუხო წერილს. იყავი კარგად, მომიკითხე ყველანი და თქვენ იცით, როგორც გამიხარებთ გულს.

შენი მამა.
15.VII.73.

ჩაიო ბიჭაო და გოგო!

აი, მე უკვე მოსკოვიდან გწერთ. ჩვენი შვიდსართულიანი ვეება შენობა რუსთაველის ქუჩაზე დგას (ხომ კარგია, არა?), მესამე სართულიდან გადავყურებ თოვლით შებარდნილ ხეებს, ჰაერშიც თოვლის ფიფქები ტრიალებენ, ბაღს იქით, თითქოსდა ორიოდ სახლის უკან, აღმართულა ოსტანკინოს ცნობილი სატელევიზიო კოშკი (სიმაღლე თითქმის 400 მეტრია), თავი ღრუბლებში შეურავს, დაბლა, დაახლოებით შუა წელში ფრინავენ ფრთებგაფიჩხებულნი ყვავები, ნელი ტატილი დაიბლოტებიან თვალბამოყინული ტროლეიბუსები და ავტობუსები, რადიო უმღერის მშვენიერ რუსულ ზამთარს, თითქმის ყოველ საათში დიქტორი სიამაყით აცხადებს, რომ ყინვამ უკვე თხუთმეტ გრადუსს მიაღწიაო, მე კი ვზივარ ჩემს თბილ, ძალიან თბილ ოთახში და წერილის წერით ვიკლავ თქვენთან ყოფნის სურვილს. ეს მესამე დღეა მოსკოვი ისვენებს (ასე რომ მცოდნოდა ხომ არ ვიქარებდი ისე), მხრებდათოვლილი პუშკინი ნაღვლიანად დასცქერის რუსეთის მიწას, მაღაზიები დაკეტულია, დაკეტულია გამოფენებიც კი, და ერთადერთი რაც თვალში გეცემა, ესაა მენაყინე ქალები და კაცები. ო, ამათი ნახვა ნამდვილად ღირს! თქვენა გგონიათ „მატრაშკები“, რომ იყიდება (ხისგან რომ არის გამოჩარხული ჭრელთაგანსახვევიანი ქალი - რომ გახსნი და შიგნით ისეთი ქალია, კიდევ რომ გახსნი და კიდევ ისეთივე ქალია) თქვენა გგონიათ, რომ ის ქალები ფანტაზიით არის შექმნილი?! ნურას უკაცრავად! აი, დგას მენაყინე, ქუჩაში, ამ თხუთმეტგრადუსიან ყინვაში, აცვიბა ალბათ ათი-თხუთმეტი ქურჭი და ფუბა, მოხვეული აქვს ათი-თხუთმეტივე თავსახვევი, ეტყობა სცხელა კიდევ, ლოყები დასწითლებია, ცხვირიც დასწითლებია, იცინის მხიარულად და ეპატიჟება გამველელ გამომველებს: ანუკა მილენკიე, ანუკა ხაროშენკიე, კუპიტე, ეშტე ნაზდაროვიე! თან რა ნაყინები უნყევია ნინ! თბილიანი გინდა თუ ქიშიშიანი! ვარდისფერი გინდა თუ ცისფერი! ვაფლიანი გინდა თუ უვაფლო! ასეთივე საინტერესოები არიან კაცი გამყიდველებიც, უღვაშებ-შეჭირხლულები, ბუტბუტანი, თბილი ქუდის ყურებჩამოპანტურებულნი! რამდენადაც ესენი კარგი სანახავნი არიან, იმდენადვე საზიზღარ შთაბეჭდილებას ტოვებენ ქართველი მეყვავილები, მინისქვეშა გასასვლელებში რომ დგანან და ღრეჭვით გინვევენ: კუპიტე, გენაცვალე! ოთხი-ხუთი ქრიზანთემა მანეთი! აქაურებს იმედი აქვთ, რომ ყინვა კიდევ უფრო მოიმატებს. მოიმატოს, მე ვერაფერს დამაკლებს და ისე საინტერესოც კია. გუშინ ღამე მე და ნიკომ ერთად ვისეირნეთ (შემთხვევით ძალიან ახლო აღმოჩნდა ჩემგან, სულ ოთხ-ხუთი მეტრისაზე ტროლეიბუსისა) ვიყავით ნიოდე მოედანზე, ჩავედით მასკვა-რეკის პირას, ქვემოდან შემოვხედეთ კრემლს. მე ხომ პირველად არ ვხედავდი აქაურობას, მაგრამ მაინც აღტაცებული დავრჩი. თავი რუსულ ზღაპარში გეგონებათ. ჩამოთოვლილია ყველაფერი, სანახევროდ გაყინულია მდორე მოსკვა-რეკაც, თოვს, და ამ თოვლში და ღამის რალაც თეთრ სინათლეში ათეულობით ეკლესიის მოოქრული გუმბათები და ჯვრები იდუმალი ციმციმით ავსებენ სამყაროს. კრემლი შორიდან, განსაკუთრებით ღამით, ისეთ შთაბეჭდილებას ტოვებს, თითქოს მეთექვსმეტე თუ მეჩვიდმეტე საუკუნე იყოს ჯერაც. აქ, ამ მოედანზე იშვიათად დადიან მანქანები. დგახარ და გგონია, აი, ცოტაც და მოგესმება ზანზალაკებიანი ცხენების ხმა, შემოიქროლებს რუსული მარხილი, გადაინევა ზემოდან დათოვლილი ქურქები და

იქიდან ამონათებს თოვლის დედოფალი - თეთრი, თეთრი, თეთრგვირგვინოსანი, თეთრ ბრწყინვალეებს რომ გამოსცემენ იმ გვირგვინში ჩასმული ალმასის თვლები. ყოველ საათში ძძიმედ რეკავს სპასკის კოშკის დიდი საათი. გალავანში დატანებული თალოვანი ჭიშკრიდან გამოდის სამი ჯარისკაცი, სამივეს მონიკელებული ბრტყელხმშტიანი თოვლები აქვთ მიდებული მხარზე, მტკიცე, უცნაური ცერემონიული სამწყობრო ნაბიჯით წამოვლენ მავზოლეუმისკენ, იქ მავზოლეუმის კართან სმენაზე დგას ორი ასეთივე ჯარისკაცი, მივლენ მათთან, შებრუნდებიან მოსხლეტით, უხმოდ; ორნი შესცვლიან ორს, მესამე, მეთაურნი, ისევ შუაში რჩება, წამოვლენ წინ და მერე მარჯვნივ შებრუნებული ისევ იმ ცერემონიული მარშით წავლენ ჭიშკრისკენ. მავზოლეუმში მშვიდად წევს ლენინი. ვასილი ნეტარის ტაძრის წინ დგას ძველი, რომელიც დაუდგამთ მინინისა და პოჟარსკისათვის 1818 წელს, ეს ვასილი ნეტარი ტაძარი ხომ წამდვილად ზღაპრულია და ზღაპრული! გნატრობთ, თქვენც აქ იყოთ, ჩემთან, მაგრამ რადგან ეს არ გამოდის, ყველაფერს ვიმასხოვრებ, რომ მერე თქვენ გაიამბოთ. ჩამოსვლისას ჯერ ნურაფერს მკითხავთ, იმიტომ, რომ ჯერ მეც არ ვიცი არაფერი აქაური საცხოვრებელი მდგომარეობისა. დამაცადეთ ერთი რამდენიმე დღე და ამას განსაკუთრებით მოგწერთ. იყავით ჯანმრთელად, ჭკვიანად, კარგად. მე აქ საქმეზე ვარ წამოსული და ჩემი საქმიანობა თქვენს ქცევაზეა დამოკიდებული. ვინძლო კაცებმა კაცობა გავნოთ და ქალმაც თავისი ქალობით გვასახელოს. გკოცნით ბევრს, ბევრს, ბევრს. მომავალ წერილამდე! პასუხი მომწერეთ ყველამ, ეხლა ხომ დათომაც იცის წერა! დათოს განსაკუთრებით აკოცეთ, წვინტილიან ცხვირში ჩემს მაგიერ. აბა თქვენ იცით!

თქვენი მამა.
5.XII.67.

როზა, დაზღვეული წერილით გამომიგზავნე ცოლ-შვილიანობის ცნობა, რუსულ ენაზე, სახლმართველობიდან. ჩანერონ ცოლი და მერე ბიჭები. რაც შეიძლება ჩქარა.

ჩაიო კლარა და ვალიდა!


მივიღე თქვენი წერილი და ძალიან გამეხარდა. ცოტა მოგვიანებით გწერთ, მაგრამ მგონია მასპატიებთ. ჩვენ კარგად ვართ. მართალია ამ დღეებში სოფელში (ხაშში) არ ვყოფილვართ, მაინც ვიცი, რომ არა უშავთ, კარგად არიან; დედას დაეზარებინა ბიჭები გამოიყვანეთ, მსხალში თვალა შესული, სადაცაა ატმებიც დამნიფდებო. ბაკო არ მოსულა ამ დღეებში, შეილება აიღო კიდევ საგზური და წავიდა დასასვენებლად. ლენასაც ერთი საგანილა ჰქონდა ჩასაბარებელი.

ჩვენ, ჩემი ბიჭები, ვართ უჯარმაში. ჭერამი დაუშინვდათ, კიტრსაც უკვე უსხიათ, ქაქთმები გამოუყვანა ჩვენმა ელენემ და მიდიან იოლას. შენ რომ მწერ, ამ თვის ბოლოს ჩამოვალ, არ ვიცი რამდენად სწორი იქნება ეს გადაწყვეტილება. თუ მოგიხდათ მანდ ყოფნა ვალიდასაც და შენც, იყავით დრომდე. თუ ჩამოხვალთ უჯარმაში აჯობებს თქვენი ყოფნა ყველაფერს. ხომ იცი როგორც გავგებარდებთ ბარტყებს!

მთავარი კი ესაა, რასაც გარიგებთ ხოლმე: პირუკუ შეაფურთხეთ ეშმაკს და არ ინერვიულოთ, არ ინერვიულოთ! თუ ადამიანი ჩაუნერგავს თავის თავს რწმენას, რომ იგი ღირსია ამ ქვეყნად არსებობისა, იარსებებს კიდევ, და იარსებებს კარგად. იმდენი გზა, იმდენი ჰაერი, იმდენი სიმწვანე ირგვლივ, ყველას ყველაფერი ეტყობა. მომწერე, რა ფერზეა ვალიდა. უთხარი: დაგიჯეროს ყველაფერი. მაგისტრის კიდევ ეს არის მთავარი დევიზი ამ ცხოვრებისა. მე კაჟივით ვარ. რაც უფრო საძაგელ საქმეებს ვჭამ სასადილოებში, მით უფრო მრგებს და ვსუქდება.

გკოცნით ორივეს. მომწეროს ვალიდამაც. რა აქვს ისეთი საქმე, რომ სამ დღეში ერთი-ორი სტრიქონის დაწერა ვერ შეიძლოს. თუ თხოვნამ არ გასჭრას, მიართვი იქ, სადაც საჭიროა ასეთ შემთხვევაში.

20.VII.65.





შოთა იათაშვილი

ჩემი ქალაქის ჰაიკუ

როტერდამი

ჩავედით – ქოლგა შევიძინეთ, წამოსვლის წინ – ბილეთები პარიზისაკენ, დანარჩენი საყიდლები კი განზავდა მეტაფორებში.

პარიზი

რა აღვნიშნო? აქ ყველაფერი, ცოლთან სექსიც, სასწაულია.

ლიონი

დამეზარა ადრე ადგომა. ზურგი ვიცვალე, ძილი განვაგრძე. უნახავი დამრჩა ქალაქი.

ლისაბონი

მანქანის ფანჯრიდან ვხედავდით ქალაქს. მხოლოდ ხანდახან გადმოვდიოდით და გვაჩვენებდნენ, სად დაიბადა, წერდა ლექსებს და მოკვდა პესოა.

პორტო

ქველმა ტრამვაიმ ოკეანემდე მიგვარახრა. ჩიტებით დაფარულ ზეცას ავყურებთ. ნახევარი საათის წინ სარკოფაგებს შორის დაძვრნოდით აჩრდილებივით.

ბუქარესტი

ევროპულად გამოწყობილი ბოზა ქალები კაფეებში ისე სხედან და საუბრობენ ცხოვრებაზე, ვით ტურისტები ანდა ქვეყნის დანარჩენი მოსახლეობა.

სტამბოლი

რა გულმოდგინედ რეცხავენ ქუჩებს!.. მაგრამ აქ ჭუჭყი ხომ ისევე უჩვეულოდ ბრჭყვინავს, როგორც სხვა ყველაფერი.

ბაქო

რა ლამაზად იწვის მიწა... ღია კაფეში ჩაის ვსვამთ და ცეცხლის ენებს მონუსხულნი მივჩერებივართ.

სიმფეროპოლი

ჩაფვრინდებოდი... გაფვრინდებოდი... ერთმა გოგონამ ამ ქალაქიდან ორიოდეჯერ წერილი მომწერა – საბჭოთა კავშირში.

ალუპკა

აივანოვსკის ქვა მიყვარდა. და ზღვა იქიდან. დაეძვრებოდი სანატორიუმის ფანჯრებში ღამით. ხოლო ტბის პირას AE×I –ს დამხოვა აღვნიშნე გედებთან ერთად.

კიევი

მხოლოდ ამ ქალაქს ვერანაირად ვერ ვატყვდი ჰაიკუში. თუ ჩავატიე მაინც რაღაც ეშმაკები? – საკითხავია.

მოსკოვი

„პოეტს არ ჰგავხარ, ნამეტანი ახალგაზრდა ხარ!“ – მომახალა მილიციელმა, და პუშკინი გამახსენდა, უკვე მკვდარი ჩემს ასაკში.

ლენინგრადი

მოვიქეცი სწორხაზოვნად, მაგრამ რიტუალურად: შევიძინე დოსტოევსკის ტომეულები, თუმც მათი ყიდვა შინაც შემეძლო.

თბილისი

სულ ვიტანჯები, ვერაფრით ვხვდები, რა ვაჩვენო ხოლმე აქ სტუმრებს.

ბათუმი

ახლაც კი, როცა დავსეირნობ ამ ქალაქში, დედისთვის მინდა მქონდეს ხელი ჩაკიდებული.

ტალინი

ეროვნულ კოსტუმებს, ტკბილეულობას რომ გვთავაზობენ, და უცნაურ საგზაო ნიშნებს ფოტოებს ვუღებ. ერთიც და მეორეც ყოველ ფეხის ნაბიჯზე გვხვდება.

ჰელსინკი

გემიდან ფეხი რომ ჩამოვდგით, დავინახეთ პორტში ბიჭი, რომელიც პირში იღებდა, ხოლო სამეგობრო მას ტაშს უკრავდა. მერე კი იყო ქალაქი, ლამაზი ჩვეულებრივად.

რიგა

მდინარისაკენ დავეშვით. მათემატიკაზე ვლაპარაკობდით. მთელი ღამე ერთმანეთს ერთხელაც არ შევხებივართ. მერე გათენდა და თავისი ავტობუსისკენ გაიქცა იგი.

ვილნიუსი

ზღარბი სტუდენტულაქის ბაღში. ფული არ გვქონდა და გადავწყვიტეთ მისი გაყიდვა. მაგრამ გაირკვა, რომ უახლოესი ზოოპარკი კაუნასშია.

ამსტერდამი

ქალის მკერდი იმპრესიონისტის ტილოზე. ქალის მკერდი წითელი ფარნების ქუჩაზე. ხოლო საღამოთი, პარკში, დედა ბავშვს ძუძუს აჭმევს.

ქანდაკება

რამ გაყო ხელი ფეხისაგან, რას ვარგოან უერთმანეთოდ, სახელიც ხომ საერთო აქვთ – კიდურები, ან: ხელ-ფეხი – უფრო მარტივად.


ალიყური თუ გტკიცა ვინმემ, იცოდე, ხელი არ შეუბრუნო, მეორე ლოყა მიუშვირო... პანდურზე ნათქვამი არაფერია, მაგრამ ნამდვილად იგულისხმება, მავანმა ჭიტლაყი თუ გკრა, კი ნუ მოინდომებ ანგარიშის დაბრუნებას, მეორე დუნდულა მიაგებო...

მაგრამ ასე ვინლა იქცევა, და იყო დრო, ხელი გაერთყა კი არა და, ხელთათმანიც რომ ესროლა ერთს მეორისთვის, ის ხელთათმანი სასიკვდილო ტყვიად გულში უბრუნდებოდა...

და იყო: წერდა ხელი ლექსებს, მერე იგივე ხელი ხელთათმანს ისროდა და დასანერ ლამაზ, ბრძნულ სტრიქონებს ღუპავდა და თავს ილუპავდა...

მერე ეს დროც გადაშენდა, თუმც გონებიდან რა ამოშლის სროლის ასეთ რიტუალს და აი, აგერ, უბედური ქვეყნის ერთმა უჩინარმა ჟურნალისტმა ჩემებურად ვისროლე ერთხელ...

ჰო, რამ გაყო ხელი და ფეხი, განა რამე სხვაობაა ხელთათმანსა და ფეხსაცმელს შორის? და აჰა, ესეც ჩემი დუელი: ეი, მისტერ ბუმ, ახლა უკვე ჯერი თქვენზეა, შეგიძლიათ დამიმიზნოთ თქვენი ქვეყნის უკლებლივ ყველა ზარბაზანი, შეგიძლიათ მომაჭრათ ფეხი, შეგიძლიათ გამაქროთ, მაგრამ იცოდეთ, რომ მე დავრჩები სამარადისოდ, დავრჩები, ვითარც XXI საუკუნის რომანტიკოსი პოეტი, ვითარც XXI საუკუნის პუშკინი ან ლერმონტოვი, მე, უბედური ერთი ქვეყნის უჩინარი ჟურნალისტი – სახელად მუნთაზერ ალ ზაიდი, რომელმაც აუგო ხელთუქმნელი ქანდაკება, მართალია, არა მთლიანად საკუთარ თავს, არამედ მხოლოდ თავის ფეხსაცმელს, მაგრამ იცის დარწმუნებით, ვით პუშკინმა, რომ ამ ხელთუქმნელი (თუ ფეხთუქმნელი?) ქანდაკებისკენ ბილიკს ბალახი არასოდეს, არასოდეს არ მოედება!



დასასრული

დასაწყისი N 1-5

99

მონას ანალიზის ჯერ უფლება, ხოლო შემდეგ უკვე უნარი არ აქვს. მონა ჯერ ძალდატანებით, ხოლო შემდეგ უკვე უპირობოდ იღებს ფაქტებს.

გამომდინარე იქიდან, რომ საბჭოთა კავშირი განვითარებული მონათმფლობელური წყობის სახელმწიფო იყო, ჩვენ ყველას, ვისაც ამ სახელმწიფოში თუნდაც რამდენიმე შეგნებული წელი გვაქვს ნაცხოვრები, მეტ-ნაკლებად თვალშისაცემი მონური ნიშან-თვისებები გვაქვს, ეს გავლენას ახდენს ჩვენს ყოფაზე და ყოფიერებაზე. ეს ჩანს არამხოლოდ ჩვენს პასიურობაში, არამედ ჩვენს აქტიურობაშიც. მაგალითად, სამოქალაქო ომი ერთმნიშვნელოვნად ჩვენი მონური აქტიურობის შედეგი იყო.

და რადგან ლიტერატურული კრიტიკა ყოფის ნაწილია, მასში მონური ტენდენციები უცხო და იშვიათი რამ არ არის: თანამედროვე კრიტიკული წერილი უფრო პოზიტიური ფსევდონატივია, რეალურად კი ნოტიაცაა ამა თუ იმ ნიგნის შესახებ. რა თქმა უნდა, სასიამოვნოა, როდესაც გაქებენ, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც დაუმსახურებლად გაქებენ, მაგრამ რეალურად ასეთ წერილებს არანაირი შეხება არ აქვთ ლიტერატურულ კრიტიკასთან. მონა შეიძლება იყოს პროზაიკოსი, პოეტი, დრამატურგი. თქვენ ალბათ ფიქრობთ, რომ ახლა ვიტყვი, კრიტიკოსი არ შეიძლება იყოს-თქო მონა. არა, ამის თქმას არ ვაპირებ. რა თქმა უნდა, მონა შეიძლება იყოს კრიტიკოსიც, მაგრამ მონა კრიტიკოსი მავნებელია, რადგან მავნე ლიტერატურას უწევს პროპაგანდას.

მიუხედავად იმისა, რომ მონა კრიტიკოსის შეფასებისას საბჭოთა ფრაზეოლოგია გამოვიყენე, ამ შეფასების ქვეტექსტი დემოკრატიულია.

100

ყოფითი ლოგიკის თანახმად ეს თავი ოთხმოცდამეორამეტე თავს უნდა მიყოლოდა, მაგრამ ტექსტის სტრატეგიიდან გამომდინარე აქ მოთავსდა, უფრო სწორად განზრახ მოვითავსე.

დრო ადამიანური აუცილებლობაა. დროის არსებობა სტაბილურობის გარანტია და, რაც მთავარია, დრო ყველაფრის მკურნალია. ეს უკანასკნელი ბანალური ჭეშმარიტება წინა ორ ბანალურ ჭეშმარიტებაზე გაცილებით პოპულარულია. თანამედროვე მსოფლიოში კი პოპულარობა უმნიშვნელოვანესი კრიტერიუმია.

რა თქმა უნდა, ჩვენი ლექსიკონი გაჯერებულია დროის აღმნიშვნელი და დროსთან დაკავშირებული სიტყვებით. მათ გარეშე უკვე წარმოუდგენელია არსებობა. თუმცა, წარმოუდგენელი არ ნიშნავს შეუძლებელს.

რეალურად დრო არანაირ უარყოფით და დადებით გავლენას არ ახდენს ჩვენზე და თუ გარკვეული მოვლენები ისე ან საერთოდ აღარ გვალელებს როგორც უნინ, ამ ცვლილებების მიზეზი დრო არ არის. ცვლილებები, მიუხედავად იმისა, რომ ეს სიტყვა მჭიდროდაა დაკავშირებული დროსთან, უკავშირდება არა დროს, არამედ, ადამიანის გულსა და გონებას. აი, თუნდაც, ჩემსა და გიორგი ლობჯინძის შორის მომხდარი მცირე ინციდენტი;

დღემდე ამ ამბავს ჩემთვის (იმედია გიორგისთვისაც) არანაირი მნიშვნელობა არ ჰქონდა, ხოლო დღეს ამ ამბავმა ჩემთვის გარკვეული, მაგრამ ნაკლებად მნიშვნელოვანი (სხვებისთვის შეიძლება ძალიან მნიშვნელოვანი) მოსაზრების გამოთქმაში დამხმარე ისტორიის ფუნქცია შეასრულა, შემდეგ კი ჩემთვის გარკვეული (სხვებისთვის შეიძლება გაურკვეველი) და მნიშვნელოვანი (სხვებისთვის შეიძლება სრულიად უმნიშვნელო) მოსაზრების სუსტი მტკიცებულება გახდა.

101


ყოველი ნიგნის დასაწყისის შემდეგ საკუთარ თავს ერთიადიგივე შეკითხვას ვუსვამ: „და მერე რა?“

რა თქმა უნდა, ამ შეკითხვაში არ იგუ-

დავით ქართველიშვილი

პროზისა და საკუთარი თავის შესახებ

ჩემ, სხვა ანას



ლისხმება ის, თუ რა ცვლილებებს მოახდენს და მოახდენს თუ არა საერთოდ ახლადამთავრებული ნიგნი სამყაროში. ამის მიზეზური შანსი ყოველთვის არსებობს, მაგრამ ამაში მაინცდამაინც დიდ აზრს ვერ ვხედავ. პირიქით, სამყაროსეული ცვლილებების შემთხვევაში, მიუხედავად იმისა, რომ აშკარაა არჩეული კურსით დიდი შინაგანი კატასტროფისკენ მივდივართ. და რადგან წარღვრის შემდეგ ღმერთმა თქვა, რომ ამიერიდან ადამიანის გამო დედამიწას აღარაფერს დაუშვებდა, მისი მასშტაბი გარემოზე არ აისახება, ვიგრძნობთ, მაგრამ ვერ დავინახავთ...

რაც შეეხება ყოველი ნიგნის დასრულების შემდეგ დასმული შეკითხვის ქვეტექსტს, ის საკმაოდ პრაგმატულია: მივიღებ თუ არა სიცოცხლეში იმას, რასაც დღემდე საქართველოში მხოლოდ სიკვდილის შემდეგ იღებდნენ მწერლები, ანუ პროფესიით ცხოვრების საშუალებას. ვფიქრობ, რომ სიკვდილის შემდეგ მიცვალებულზე მიწიერი დივიდენდების გაცემა არანაირი და კიდევ უფრო მეტიც — არაჯანმრთელი ქმედებაა და აშკარად შეიცავს კერპთაყვანისმცემლობის ელემენტებს.

102

ჩემ არცერთ ნიგნს, არცერთ ცხოვრებისეულ თუ ფილოსოფიურ შეხედულებას არ მოაქვს ჩემი სხეულისთვის სიმშვიდე, რადგან ჩემი ნიგნების და ჩემი ცხოვრებისეული და ფილოსოფიური შეხედულებების ამოსავალი (თუ საყრდენი?) ნერტილი უკვდავებაა. ჩემ სხეულს არ ესმის, რას ნიშნავს უკვდავება. სხეული მოკვდავია. სხეულს არ შეუძლია თუნდაც ორ ადგილას ერთდროულად ყოფნა. სხეულს არ შეუძლია სრულად მოიცვას არათუ მთელი სამყარო, არამედ მსოფლიოს ყველაზე პატარა ქუჩაც კი...

და მიუხედავად ასეთი შეზღუდულობისა, სხეულს შეუზღუდავი გავლენა აქვს ჩემზე. და როდესაც ვამბობ, რომ საქართველო ჩემთვის ზონაა, ამ დროს მხოლოდ სხეული ვარ. არსებობენ ადამიანები, რომლებიც ამბობენ, რომ დედამიწა მათთვის ზონაა, მაგრამ მე ჩემი ასაკიდან და სხეულის პერიფერიული მდებარეობიდან გამომდინარე, ალბათ, ვეღარ მოვასწრებ დედამიწის ისე გაცნობას და მოხერხებას, რომ ასეთი ფრაზა ვთქვა. ჩემთვის დედამიწა, ალბათ, ვერასოდეს იქცევა ზონად. ასე რომ, პერიფერიაში დაბადებას და ცხოვრებასაც აქვს თავისი პლუსები მანამდე, სანამ ამ პერიფერიიდან თავისდაღწევის იმედი არსებობს.

103

საყოველთაოდ აღიარება გულისხმობს შემდეგს: უამრავი ჩემთვის არასაინტერესო და არასასიამოვნო ადამიანი კარგ რაღაცებს ამბობს ჩემზე. ხოლო მე

ამ ნათქვამ კარგ რაღაცებს სიხარულით, საუკეთესო შემთხვევაში, უკომენტაროდ და უემოციოდ ვიღებ. ამის სამაგიეროდ, მაქვს სახელი და ფული. ერთი სიტყვით: გავლენა.

რამდენად შემოძლია ვიმსჯელო გავლენაზე, რომელიც თანდათან მოდის და, თუ არ მოგვკვდი (სიკვდილი არ მინდა!) აუცილებლად მოვა. ამ შემთხვევაში ნაკლებად მაინტერესებს ამ საკითხის მორალური მხარე, რადგან საუბარი ყოველდღიურობაზეა. არაფერი იწვევს ადამიანში უიმედობას და სასწაურკვეთას ყოველდღიურობით, მაგრამ ჩემ ცხოვრებას აზრი არ აქვს.

გავლენიანი ადამიანის ყოველდღიური ცხოვრება: ირგვლივ ძირითადად არასაინტერესო და არასასიამოვნო ადამიანები ტრიალებენ, ფუსფუსებენ, მილიმიან. მეც ვუღიმი, გამუდმებით ვავგარებ რაღაც საქმეებს, ვიძინებ და ვიღვიძებ და ყველაფერი მეორდება. მხოლოდ ხანდახან მაგონია, რომ ჩემ ცხოვრებას აზრი არ აქვს.

რამდენად შემოძლია ასეთ მართლაც უაზრო ცხოვრებაზე უარის თქმა? აზრიანი ცხოვრება სრულ სოციალურ სიმარტოვეს გულისხმობს. დღეს ჩემს გვერდზე მხოლოდ ანაა. თუმცა, წლების მანძილზე იმდენად შეეზარებეთ ერთმანეთს, რომ უკვე ერთი ადამიანი ვართ და ამიტომ მართებული იქნება შეკითხვა ასე დავსვა: რამდენად გავუძლებთ მე და ანა უაზრო ცხოვრების ცდუნებას?

ვიმეორებ: აზრიანი ცხოვრება სრულ სოციალურ სიმარტოვეს გულისხმობს. ასე რომ, ყოველგვარი მანერულობის გარეშე, შეკითხვა ასე უნდა: რამდენ ხანს გავუძლებთ მე და ანა სოციალურ მართობას, რომელიც უაზრო ცხოვრების შემთხვევაში ზუსტად ვიცით, რომ აუცილებლად მოგვენატრება, მაგრამ ვეღარ დავიბრუნებთ.

104

ზოგიერთმა აზრით, მე მანერული და სქემატური მწერალი ვარ.

ასეთ შეხედულებებს, ჩემი აზრით, ჩემი ტექსტების თემატიკა ბადებს: უკვდავება, რწმენა, ეჭვი, სიკვდილი, სხეული, სული. ამ საკითხებზე მანერულობის და სქემატურობის გარეშე საუბარი (წერა) შეუძლებელია. ამ საკითხებზე საუბრისას მანერულობა და სქემატურობა ბუნებრივია, რადგან ამ თემების შესახებ არცერთ ჩვენგანს სრულყოფილი ინფორმაცია არ გააჩნია. დაზუსტება: სრულყოფილი ინფორმაცია არსებობს, მაგრამ ჩვენ, დღევანდელი მდგომარეობიდან გამომდინარე, ამ ინფორმაციის სრულყოფილად აღქმა არ შეგვიძლია. ადამიანების მიერ აკვიტებული წინსვლის იდეა არ ამართლებს. არც არასდროს ამართლებდა. აშკარაა, რომ პროგრესი არა წინსვლაში, არამედ ზუსტად და აი, ნიგნის დასა-

წყისში გალაკტიონ ტაბიძის დაწვრილმა სტრიქონმა ნიგნის ფინალში იპოვა თავისი ადგილი: „ფრთები, ფრთები გვინდა“.

მასწავლეთ, როგორ ვისაუბრო ამ საკითხებზე მანერულობის და სქემატურობის გარეშე.

105

ტიმსტის დასასრული არ აქვს. ტექსტი მხოლოდ წყდება. დადგება დრო და ტექსტი გაგრძელდება, — თავისით არა, მე გავაგრძელებ. ასე სიცოცხლეს ვიხანგრძლივებ, უფრო სწორად, მაგონია, რომ ვიხანგრძლივებ.

დრო არ არსებობს, მაგრამ არსებობს დროის აღმნიშვნელი სიტყვები. სიტყვებს დიდი გავლენა აქვთ — განსაკუთრებით არ არსებული მოვლენების აღმნიშვნელ სიტყვებს. სამწუხაროდ, თანამედროვე მსოფლიოში ადამიანები სიტყვებით უფრო ხშირად აბნევენ, ვიდრე ამხნევენ ერთმანეთს.

დადგება დრო... ტექსტს დასასრული არ აქვს. მე მქვია დავით ქართველიშვილი. ნიგნი ეძღვნება ანა ციციშვილს... ამ სიტყვების მიღმა ჩემი სხეულია და ჩემი ყოველდღიურობა. და ამ სიტყვების მიხედვით შესაძლებელია ჩემს შესახებ რამდენიმე დასკვნის გაკეთება. მაგალითად, რომ მჯერა სიტყვების ძალის, რომ მაქვს სახელი და გვარი, რომ მიყვარს ადამიანი, რომელსაც ასევე აქვს სახელი და გვარი, რომ მაქვს სხეული და მისი დაკარგვის შიშის გამო, რომ ვერ ვიტან ყოველდღიურობას, რომ ვინც მიყვარს, ის ხშირად მეკითხება: „იქაც ხომ ერთად ვიქნებით?“ ხოლო მე მას თავს თავდაჯერებულად ვუქნევ და გარანტიას ვაძლევ, რომ: იქაც ერთად ვიქნებით. თუმცა, ძალიან კარგად ვიცი, რომ ამ საკითხს მე არ ვწყვეტ. მე-შლება არა ის, რომ ამ საკითხს მე არ ვწყვეტ, არამედ ის, რომ ჩემი და ანას საუბრების შესახებ დაასკვნით რამეს. რა თქმა უნდა, ვერ დაასკვნით. რადგან, ამ ნიგნში არ მიხსენებია ჩემი და ანას სერიოზობები და საუბრები. მხოლოდ ანასთან ერთად ვხედავ, რომ თავსზევით ცა და ფეხქვეშ მინა ბუნებრივია. მარტო დარჩენილს ასეთი განლაგების სისწორეში ეჭვი მეპარება.

106

დროა, შევწყვიტო სიყვარულის ახსნა, მსჯელობა სხვადასხვა საკითხებზე, საერთოდ ტექსტის თხზვა, რადგან არსებობს საშიშროება, რომ ტექსტი თავდაპირველ ჩანაფიქრს ძალიან დაცილდება, ხოლო მე ამის არანაირი სურვილი არ მაქვს და, რადგან პირობა დავდე, რომ ესეს სახელწოდებით „პროზისა და საკუთარი თავის შესახებ“ ფულზე მსჯელობით დავასრულებდი (რეალურად შევწყვეტიდი) და, ამ შემთხვევაში, დადებული პირობის შესრულება ჩემთვის არავითარ პრობლემას არ წარმოადგენს, ვნერ: ფული დრო არ არის.

ივანე ამირხანაშვილი

მეხუთე ცდა

რედაქციიდან დარეკეს: „გვინდა ინტერვიუ გურამ დოჩანაშვილთან“.

„ძნელი საქმეა“.

„ვიცით, რომ ძნელი საქმეა და ამიტომ გირეკავთ“.

„გეცდები, ოღონდ იცოდეთ, ყოველს შემძლე არ ვარ“...

ყურმილი დაკვიდე და გამახსენდა: ბოლო თერთმეტი წლის განმავლობაში ოთხჯერ ვიყავი ბატონ გურამთან ინტერვიუს ასაღებად, ოთხჯერვე – უშედეგოდ. თუმცა საუბრის ფრაგმენტებს ჩემთვის მაინც ვინერდი - ზოგს დღიურებში, ზოგს ლიტერატურის რვეულებში, ზოგს ისე, ფურცლებზე. ყველა შენახული მაქვს. ჩანაწერებს გადავხედავ, კითხვებსაც მოვამზადებ, და მერე დავრეკავ-მეთქი. გაცილებით იოლია საქმის დაწყება, როცა კითხვები ხელთ გაქვს. მაშ, ასე -

ჩანაწერი 1. 1998 წლის 11 აპრილი:

„სად არის გურამ დოჩანაშვილი... რატომ არ ჩანს... რას აკეთებს, რას საქმიანობს? – სანთლით ვეძებთ მკითხველები ჩვენს საყვარელ მწერალს, რომელიც, კაცმა რომ თქვას, შორსაც არ არის, აქვეა, თბილისში, იოსების 59-ში, მე-7 სართულზე, მაგრამ ფაქტია, კარგა ხნის განმავლობაში არ ჩანდა.“

მას შემდეგ, რაც ავბედით ღამეს, საკუთარი სახლის წინ, ქუჩის ძაღლებმა დაკბინეს, ორი წელიწადი გავიდა. იარები დღესაც არ მოშუშებია. ყავარჯნებით დადის. გარეთ იშვიათად გადის.

ეს ორი ზამთარ-ზაფხული იჯდა და წერდა, ან კლასიკურ ოპერებს უსმენდა ვიდეოზე.

დრო მისთვის ნელა, ტატიტით გადიოდა, მაგრამ გარე სამყაროსთვის ეს არაფერს ნიშნავდა, რაც იქიდანაც ჩანს, რომ ამასობაში უპაპრონო ძაღლების ახალი თაობა წამოიზარდა უბანში.

ოთახში რომ შევედი, ფუნქციონირებდა რადიო-ტორთან იჯდა და მოცარტის „ჯადოსნურ ფლეიტას“ უყურებდა. პაპაგენოს მხიარული ბარიტონი უხმობდა „მოიისფრო“ პაპაგენას.

„მოდი, ვანო, მოდი. ვერ ვდგები, ფეხი მტკივა, თან ეტყობა პატარაც აღარა ვარ, აი, ჩემმა თმებმა დახუჭუჭების ძალა დაკარგა... პაპაგენოს ვუყურებდი, პაპაგენოს...“

დისტანციური მართვის პულტით, როგორც იქნა, გამოვრთო ვიდეო.

„სასწაული ამბავი უნდა მოგიყვე, ვანო, ხარაგაულში ვიყავი“, – დაიწყო საუბარი და ანაზღად საგარძელზე ირიბად მიწყობილი ყავარჯნებისკენ გამექცა თვალი. ეშმაკურად გამიღიმა, – მიგიხვდი, რაც გაიფიქრეო, მან-იმნა.

„რეზო თაბუკაშვილის სსოვნის დღე იყო, 70 წლის აღსანიშნავი საღამო. მანქანა გამომიგზავნეს, წასვლაზე უარს როგორ ვიტყვოდი, ბატონი რეზო ხომ ჩემი უფროსი მეგობარი იყო. თვალი რომ ავახილე, იმ დღიდან ვმეგობრობდი მასთან. მან მასწავლა კაცობა, ადამიანობა, სიყვარული, სიკეთე, ბიჭობა... იცი, როგორი მოკრივე იყო? ერთს რომ მოიქნედა, კაცი მიწაზე ეგდო... „სამოსელი პირველის“ პირველი ვარიანტი რომ დავეწერე, მას წავაკითხე და ვკითხე, ბატონო რეზო, როგორია, ცუდი თუ ძალიან ცუდი-მეთქი. ცუდია, მაგრამ ძალიან არაო, – ასე მითხრა და გადამკოცნა. ამ კოცნაზე უფრო მაღალი ჰონორარი ცხოვრებაში არ მიმიღია. თორმეტი წლით იყო უფროსი, მასზე თორმეტი წლით უფროსი კი ჩვენი დიდი მეგობარი გიორგი შატბერაშვილი იყო. სამეგობროს გურამ ასათიანი და ნიკო ჭავჭავაძეც ამშვენებდნენ... დიდებულად გვიმასპინძლეს ხარაგაულელებმა, გაგვავაცეს ზრდილობითა და შინაგანი კულტურით. გამგებელმა, ნოდარ ებანოიძემ, ძველმა მოჭიდავემ, მთასავით კაცმა, ბატონი რეზოს ყრმობისდროინდელი

ლექსები წაიკითხა. საღამო იზა ვეფხვაძეს მიჰყავდა, – ადგილობრივი თეატრის მსახიობია, კარგი ოსტატი... იცი, რა თოვლი მოდიოდა? არაფერი ჩანდა, თხილის ფოთლისხელა ფანტელები ცვიოდა აპრილის დასაწყისში, მაგრამ მაინც ბედნიერები ვიყავით. ლაშა თაბუკაშვილს ცრემლი მოადგა და თქვა, მეტირება, მაგრამ თქვენი ცრემლები მამშვიდებსო. მართლა ყველანი ვტიროდით, მასპინძლებიც და სტუმრებიც. ჩვენ გარდა იქ იყვნენ თამაზ კვაჭანტირაძე, მიხეილ ქვლივიძე, ვალერი ასათიანი, ევგენი ხარაძე... ბატონმა ევგენიმ შემომჩვილა, ფეხსაცმელი გამიტალახიანდაო. მე დავამშვიდე, მშობლიური სოფლის ტალახზე წმინდა არაფერია-მეთქი... ბედნიერი დღე იყო, ულამაზესი დღე!“

გაჭირვებით ადგა, მაგრამ ყავარჯნები მარჯვენდ მოირგო. სამუშაო კაბინეტს გაჩვენებო – თავის „კარც-ერ-ლუქსში“ შემიძღვა. მაგიდაზე შემოდგომის ფოთლებივით ეყარა ხელნაწერები. „ახალ მოთხრობას ვწერ. ჟურნალ „XX საუკუნეში“ ვბეჭდავ, თან ვწერ, თან ვბეჭდავ“. მწუხარედ შეხედა შვილის სურათს, რომლის წინ რამდენიმე სანთელი იდო. ერთი აიღო და მომცა, როცა გინდა აანთო. თაროდან რაღაც უცნაური, სივი ქვა გადმოიღო, შუაზე კვერივით იყო გახვრეტილი. „წვეთის ნამუშევარია, წვეთმა გახვრიტა ეს ქვა. როცა მიჭირს, ვიღებ და ხელისწვეთით ვგრძნობ, თითქოს წვეთ-წვეთად მიბრუნდება ძალა“.

„ხარაგაულის დღეზე იფიქრე, წარმოიდგინე როგორი მშვენიერი შეიძლება ყოფილიყო“, – მითხრა გამომშვიდობებისას და დისტანციური მართვის პულტით ჩართო ვიდეო. კვლავ ახმოვანდა „ჯადოსნური ფლეიტა“... კვიმალე პაპაგენო გულის სწორს უმღეროდა და თან ბოთლ ღვინოზე ფიქრობდა“.

ჩანაწერი 2. 2005 წლის 18 ნოემბერი:

„დღეს გურამ დოჩანაშვილთან ვიყავი. ახალი რომანი მარჯუნივ. გამომცემლობა „აისი“ გამოუცია – „ისედაც დასავლეთელები ომარა და გივია და პლანეტა პოლიუდი“. წამინერა, მაგრამ თარიღი არ მიაწერა.“

- თარიღი რომ მივანერო, იტყვიან, მხოლოდ ამ დღეს იყვნენ ერთად. არ მივანერო და იფიქრებენ, სულ ერთად ყოფილანო.

- რა თქმა უნდა, „სულ ერთად“ ჯობია, - კვერი დავუკარი.

- ოღონდ იცოდეთ, პირველ ოცდაათ გვერდს რომ წაიკითხავ, გიჟი არ გეგონო. ძნელი წასაკითხია, მაგრამ როცა იქნება, ხომ წაიკითხავ, კახა ჯამბურია თვენახევარი მოუნდა.

ჩვენს საუბარში სამჯერ თუ ოთხჯერ დაურეკა ექვსი წლის შვილიშვილმა თინიკომ. პირველ დარეკვაზე თინიკომ გააფრთხილა, არ იზარმაცო, წერეო. ბოლოს რომ დარეკა, დაინტერესდა, მანდ ვინ არისო.

- ვანო არის, ჩემი მეგობარი, ვსაუბრობო.

- ვანო ვინ არის, ბიჭია თუ გოგონა? - იკითხა თინიკომ.

ერთ პოეტზე მითხრა: „იცი, ეგ ვინ არის? გაკეთებულ პოეტია. ყველაფერს ისე წერს, რომ არაფერი შეეშალოს, შეცდომა არ მოუვიდესო. მაგან რა იცის. ის მწერალი რა მწერალია, თუ შეცდომა არ დაუშვა, თუ შეცდომაზე შეგნებულად არ წავიდა“.

ჩანაწერი 3. 2007 წლის 1 ნოემბერი:

„საქართველოს ბევრი მტერი ჰყოლია – სპარსელები, არაბები, ხაზარები, ბიზანტიელები, რუსები და სხვანი, მაგრამ ყველაზე უფრო დიდი მტერი ჩვენთვის შინაური მტერი იყო და არის.“

შინაური მტრის წინააღმდეგ საბრძოლველად მარტო შემართება არ კმარა, ამისათვის განსაკუთრებული ღვათაებრივი მადლია საჭირო.

სწორედ ასეთი განსაკუთრებული მადლით არის გასხივოსნებული სრულიად საქართველოს პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი ილია მეორე. სიამაყით აღმავლებს ხოლმე იმის შეგნება, თუ რაოდენ დიდი აღიარებით სარგებლობს იგი არა მარტო საქართველოში, არამედ მსოფლიო მართლმადიდებელ სამყაროში.

ის დიდი ადამიანია.

ის ჩვენთვის ლოცულობს და ჩვენ უნდა ვილოცოთ მისთვის, რომ ერთად გადავარჩინოთ ჩვენი ქვეყანა.

ციხე შიგნიდან ტყეუბაო, – უთქვამთ.

მე კი ვიტყვოდი: ციხე შიგნიდან უნდა აშენდეს!

ქართული ციხე-სიმაგრის შიგნიდან ამშენებელია უწმინდესი და უნეტარესი, მასთან ერთად ბევრი ქართველი - ზოგი – ჩინებული, ზოგი – უჩინო.

ილია მეორის პიროვნებაში ჰარმონიულად არის შერწყმული საოცარი ლმობიერება და ზოგიერი სიმკაცრე. ალბათ, ეს არის ჭეშმარიტი ქართული ხასიათი და მე ვისურვებდი, რომ ამ განსაკუთრებული ხასიათის პიროვნებამ კიდევ დიდხანს მწყემსოს სრულიად საქართველოს მართლმადიდებელი მრევლი და ბოლომდე მტკიცედ ედგას დიდ ქართულ საქმეს“.

ჩანაწერი 4. 2008 წლის 14 ოქტომბერი:

„ბავშვობაში მუსიკით იყო გატაცებული. მევიოლინეობას უწინასწარმეტყველებდნენ. კარგად უკრავდა. მუსიკალური სასწავლებლის წარჩინებულ მოსწავლედ ითვლებოდა. პედაგოგები უკვე კონსერვატორიისთვის ამზადებდნენ. უცებ ყველაფერი ერთბაშად შეიცვალა: დააპატიმრეს – ანტისაბჭოთა აგიტაცისა და პროპაგანდის ბრალდებით. სამი წელი მიუსაჯეს, მაგრამ რამდენიმე თვეში გაათავისუფლეს და პირობითი სასჯელი აკმარეს. ცოტა ხანში ისევ დააკავეს, ამჯერად ხელისუფლებისთვის (მილიციისათვის) წინააღმდეგობის განწევის ბრალდებით. სამ თვეში გამოუშვეს.“

მისი ნათქვამია: „ციხე კარგია, თუ გამოგიშვეს. რაც იქ ვისწავლე, იმდენი არსად მისწავლია. ორთაჭალის აკადემიას ეძახდნენ ციხეს. მე დამთავრებული მაქვს ეს აკადემია“.

გურამ დოჩანაშვილი დაიბადა 1939 წლის 26 მარტს თბილისში. მამა, პეტრე დოჩანაშვილი, ექიმი იყო, დედა, გულნარა ემუხვარი, – დიასახლისი. სხვათა შორის, მწერლის ბაბუა სილოვან ემუხვარი, რომელიც აკაკი წერეთლის დის შვილიშვილი იყო, ბიძაშვილად მოხვდებოდა ლეო ქიაჩელი „ჰაკი აძბას“ გმირს, უჯუშ ემხას.

თავიდან, სამი წელიწადი, თბილისის ვაჟთა პირველ სკოლაში სწავლობდა, შემდეგ, როცა პირველად დააკავეს, ორმოცდამეშვიდეში. ეს მოხდა 1956 წლის დეკემბერში. გურამ დოჩანაშვილმა და მისმა მეგობრებმა – მერაბ კოსტავამ, ზვიად გამსახურდიამ, ვლადიმერ სიხარულიძემ, გურამ სხირტლაძემ, ჯონო მეტრეველმა, ანატოლი მიქაძემ, თამაზ გულჯუამ და თემურ ცერცვაძემ გაავრცელეს ანტისამთავრობო პროკლამაციები მონოდებით „ძირს პირსისხლიანი კომუნისტური რეჟიმი!“

ეს უმძიმეს დანაშაულად ითვლებოდა. რომ არა ირაკლი აბაშიძისა და რამდენიმე ქართველი მწერლის თავგამოდება, რომლებიც საბჭოთა კავშირის უმაღლეს ხელისუფალთან, ნიკიტა ხრუშჩოვთან შევიდნენ პატივის თხოვნით, მკაცრი სასჯელი არ ასცდებოდათ.

შფოთმა და დავიდარაბამ მუსიკალურ კარიერაზე ხელი ააღებინა. გადაწყვიტა, ისტორიკოსი გამხდარიყო.

1957-1962 წლებში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სწავლობდა ძველი მსოფლიოს ისტორიის განხრით. სტუდენტობიდანვე, 1959 წელს დაიწყო და 1975 წლამდე მუშაობდა ისტორიის ინსტიტუტში. მონაწილეობდა ოცდაათამდე არქეოლოგიურ ექსპედიციაში, ძირითადად, აფხაზეთსა და იმერეთში.

„საქართველო რომ გაიგო, არქეოლოგიად უნდა იმუშაო, ყოველ ნაბიჯზე წარსული დიდების ნაშთია ჩამარხული. მათი აღმოჩენის სიხარულს არაფერი შეედრება“, - ამბობს იგი.

ექსპედიციებშივე შეუწინა მწერლობის ჭია. ვითომ არქეოლოგიურ დღიურებს წერდა, სინამდვილეში იჯდა და მოთხრობას მოთხრობაზე აცხობდა.

პირველი მოთხრობები „პირველი კონცერტი“ და „თანამგზავრი“ 1961 წელს ჟურნალ „ცისკარში“ გამოქვეყნდა.

შვილების დაბადება და ამ მოთხრობების გამოქვეყნება ცხოვრების ყველაზე მნიშვნელოვან მოვლენებად მიაჩნია. არც არის გასაკვირი, მწერლებს თავიანთი ნაწარმოებები ხომ შვილებივით უყვართ.

პირველი კრებული სათაურით „მთის გადაღმა“ 1966 წელს გამოსცა. 1968 წელს მწერალთა კავშირის წევრადაც მიიღეს, მაგრამ, მიუხედავად ამისა, დასაწყისი არც-თუ იოლი გამოუვიდა.

უჭირდა მოთხრობების გამოქვეყნება. ერთხელ ერთ-ერთი გამომცემლობის რედაქტორმა უთხრა, ამქვეყნად ათასობით პროფესია არსებობს და რაღა მწერლობას მოკიდებ ხელიო.

ფარ-ხმალი არ დაუყრია, რადგან ერთი წამითაც არ ეპარებოდა ეჭვი, რომ დანერდა რაღაც ისეთს, რაც მკითხველს ალაპარაკებდა.

ლუკას სახარების მეთხომეტი თავის ნაკითხვის შემდეგ გაუჩნდა აზრი შეექმნა გადაკარგული ანუ უძღები შვილის მხატვრული სახე.

თოთხმეტი წლის განმავლობაში წერდა რომანს, რომელსაც მისთვის დიდება უნდა მოეტანა. გატაცებით მუშაობდა, თავს არ ზოგავდა. თითო მონაკვეთს ზოგჯერ თვეობით წერდა. ზოგიერთი თავი ათჯერ და ოცჯერაც გადაუმუშავებია.

1975 წელს გამოაქვეყნა ვრცელი და დაუფინყარი ამბავი უბრალო სოფლელი ბიჭის, დომენიკოსის, რომელიც ტოვებს მშობლიურ სახლ-კარს და მიემგზავრება „ლამა-ქალაქში“, რათა ათასი თავგადასავლისა და ჭირვარამის გავლის შემდეგ გაიგოს, თუ რა არის ავი და კარგი, ბოროტი და კეთილი, მახინჯი და მშვენიერი.

ეს იყო „სამოსელი პირველის“ პირველი ნაწილი.

1975 წელს რომანი და ავტორი ერთად მივიდნენ „მნათობში“: ჟურნალმა დაიწყო „სამოსელი პირველის“ ბეჭდვა, გურამ დოჩანაშვილი კი პროზის განყოფილების გამგედ დანიშნეს.

გურამ დოჩანაშვილმა ერთხელ ასეთი რამ ინატრა: „ნეტავი ისეთი ნაწარმოები დამანერინა, რომლის წაკითხვის შემდეგ ადამიანი გახდება უფრო უკეთესი, ვიდრე არის“.

მან შეიძლება არც იცის, რომ ნატვრა აუსრულდა. უკვე დაწერილი აქვს ასეთი რამ, თანაც ყვარეთი. მთავარია, ავილოთ და წავიკითხოთ, მერე კი ყველაფერი ისე მოხდება, როგორც მწერალმა „ინატრა“.

ახლა კითხვები:

1. მშობლიური ტალახი ყოველთვის წმინდაა?
 2. მკითხველი და მწერალი მართლა სულ ერთად არიან, თუ ეს მხოლოდ გამოთქმაა გულის გასამხნეველად?
 3. რას ნიშნავს მწერლის შეცდომა, როდის და რატომ უნდა „წავიდეს“ შეცდომაზე?
 4. ციხე შიგნიდან უნდა აშენდეს! როგორ, როდის, რა საშუალებებით? სად არიან ეს ჩინიანი და უჩინონი, რომლებსაც ძალუბთ მხარში ამოუდგნენ პატრიარქს?
 5. მუსიკოსობაზე უარის თქმა ხომ არ განაპირობა ის, რომ მწერალი გახდით?
 6. საერთოდ, რა წილი უდევს მუსიკას პროზაში? — შენ უარს როგორ გეტყვოდი, მაგრამ ისეთ გუნებაზე ვარ, არაფრის გაგონება არ მინდა, - მითხრა ბატონმა გურამმა, როცა მეორედ დავერეკე.
- ინტერვიუ არ შედგა. მაგრამ რა არის ინტერვიუ? ინტერვიუ არის სიმპათია და თანაგრძნობა. სიმპათია კორესპონდენტისგან რესპონდენტისადმი და თანაგრძნობა რესპონდენტისა კორესპონდენტისადმი.



ივანე ამირხანაშვილი

ჩვენ ორს შორის ეს არის, იყო და იქნება...

აზრის გამოთქმის სურვილი აღმიძრა ვანო ამირხანაშვილის ნერილმა „არა ჰქმნა თავისა შენისაგან ლექსი“. მე ვფიქრობ, ეს ნერილი თავის მიზანდასახულებით ეწინააღმდეგება ამავე გაზეთში გამოქვეყნებულ ნამდვილად საინტერესო, ცოცხალ პოეტურ პუბლიკაციებს. ნერილის დედააზრი ასეთია: საქართველოში, არსებითად, სადღეისოდ, ჭეშმარიტი პოეზია არ არსებობს.

ვითომ ასე სავალალოდ არის საქმე? ვანო ამირხანაშვილის „გლობალური მასშტაბით“ გამოთქმული შენიშვნები ზოგადად პოეტური შემოქმედების კრიზისის თაობაზე, ალბათ სამართლიანიც კია, მაგრამ ამ ტენდენციის უკიდურესობამდე განვრცობა და დოგმატურ ცალმხრიობამდე დაყვანა არ შეიძლება. პოეზიის კრიზისი უკვე არსებული მრავალწლოვანი კულტურის კრიზისის განუყოფელი ნაწილია და ეს არაფერს არ არის ახალი. ჯერ კიდევ შტეტან ცვაიგი წერდა რილკეზე, პოლ ვალერიზე, შტეტან გეორგზე და XX საუკუნის ადრეული წლების სხვა პოეტებზე: „ჩვენი დრო დაუნდობლად აძევებს ადამიანს იმ უკანასკნელი თავშესაფრიდან, რომელიც შემოქმედებითი სიმყუდროვით და მიზანსწრაფვით არის აღსავსე, აძევებს მას ისევე, როგორც ტყეში გაჩენილი ხანძარი დევნის ცხოველებს უღრმესი ბუნაგებიდან. განა შეიძლება ასეთ დროს არსებობდნენ სულელები, რომლებიც მთლიანად მიუძღვნებინ თავს ლირიკულ ხელოვნებას?“

დღევანდელი მეგაპოლისების ეპოქაში ეს კითხვა, ცხადია, უკვე გულუბრყვილოდაც ჟღერს. ცხადია ისიც, რომ „სიმ-

ყუდროვის ოაზისები“ დაირღვა და ადამიანს მუდმივი მოუსვენრობის გრძობა დაეუფლა. იმავე XX საუკუნის ადრეულ წლებში XIX საუკუნის პოზიტივიზმი ექსისტენციალიზმმა გამოდევნა და ადამიანთა ცხოვრებაში არეკლილი კულტურის და საერთოდ, სულიერების კრიზისი თვითონ ხელოვნების და ლიტერატურის თემად იქცა. პოეზიაში შეჭრილმა „დისონანსურმა ტალღამ“ კი არ წააღწია პოეზია, არამედ მეტი დრამატიზმი შესძინა მას... XX საუკუნის ბოლოს მნიშვნელოვნად გართულდა ზოგადად მწერლობა და კერძოდ, პოეზია. და თუ დღეს ისე მრავლად აღარ არიან დიდი პოეტები და ხელოვნები, ეს არ ნიშნავს იმას, რომ პოეზიამ საღატათის ძილი დაიძინა.

ლიტერატურის სფეროში ყველა ლიტერატორს აქვს უფლება საკუთარი აზრი გააჩნდეს, მაგრამ ეს აზრი ისე უნდა გამოითქვას, რომ სხვასაც დარჩეს აზრის გამოსათქმელად ადგილი. აქ იმას ვგულისხმობ, რომ მენტორული სწორხაზოვნება სწორედ იდეოლოგიური ყადაღაა და ამიტომაც თავისუფალი ინდივიდის გამოთქმულ აზრს ნაკლებად ნააგავს.

ვანო ამირხანაშვილი მიდრეკილია საიმისოდ, რომ თანამედროვედ წეროს, მისი სენტენციურ-მეტაფორული სტილი ერთგვარი თავისუფალი აზროვნების შთაბეჭდილებას ქმნის, მაგრამ, ჩემი აზრით, მისივე მსჯელობის კატეგორიულობა აფერხებს ამ თავისუფლებას. ამავე კატეგორიულობამ გამოიწვია გივი ალხაზიმევილის შეკითხვა: „თუ ის დაასკვენი, რომ თანამედროვე ქართულ პოეზიას სძინავს, ნამით რატომ არ დაეჭვდი, იქნებ შენ გძი-

ანდრო ბუაჩიძე

მკაცრი განაჩენი

ნავს და არა პოეზიას?!”

ვერაფერს იტყვი, ეს შეკითხვა ბუნებრივად დაიბადა. არ უნდა დავივიწყოთ ერთი რამ: ადრეულ წლებში ჩვენს ქვეყანაში კრიტიკოსი არა მხოლოდ აზრის გამოთქმელი იყო, არამედ განაჩენის გამომტანიც, ამიტომ კატეგორიული უნდა ყოფილიყო. ამჯერად ვანო მკაცრი განაჩენი თანამედროვე ქართულ პოეზიას გამოუტანა, რასაც პირადად მე ვერ დავეთანხმები.

რადგან წარსულზე ჩამოვარდა სიტყვა, მინდა ვთქვა, რომ არსებობს კიდევ ერთი კრიტიკულ-ანაქრონისტული ხერხი, რომლის წინააღმდეგ ადრეც მომინია გალაშქრება: ეს არის პოეტების მოკლე ან ვრცელი რეესტრების შედგენა და მათი სხვადასხვა ნიშნით გაერთიანება.

ეს ხერხი მეტწილად პოეზიისადმი გონებაჭვრეტითი მიდგომის ნაყოფია, გარედან თავსმოხვეულია და არა პოეტების ინდივიდუალური ან უნიკალური თავისებურებებით ნაკარნახევი; ის თითქოს იმისთვის არის უმეტესად მოწოდებული, რომ ყველა ინდივიდუალობა ერთ თარგზე მოიჭრას, ყველას ერთი უნიფორმა მოერგოს. ამ რეესტრების შედგენისას „გათანაბრების სული“ მოქმედებს.

ვანო ამირხანაშვილმაც მიმართა ამ ხერხს. მასთან ასეთი ხაზები თუ ნაკადე-

ბია: პატრიოტული, ეგზისტენციური, ირონიულ-პაროდიული, მითოლოგიური, კლასიკურ-ტრადიციული და ა.შ. ამ ზოგადი ნიშნების ქვეშ გაერთიანებული არიან ერთმანეთისგან სრულიად განსხვავებული პოეტები და მათი ერთად დაჯგუფება ქმნის არა დაახლოების, არამედ მათივე უნიფიცირების და ურთიერთგაუცხოების შთაბეჭდილებას.

ამას გარდა იბადება კითხვა: განა პატრიოტული ხაზის პოეტები არ შეიძლება მივაკუთვნოთ მითოლოგიური ან კლასიკურ-ტრადიციული ხაზის პოეტებს? ანდა პირიქით? პასუხი მარტივია: რა თქმა უნდა, შეიძლება. მაშრალა აზრი აქვს ასეთ დაყოფას?

სადღეისოდ, როცა დასავლურ ორიენტაციას ვთავაზობთ ჩვენს ლიტერატურულ სამყაროს (ვანო ამირხანაშვილიც ამ აზრისაა), პოეტების ზემოწამოვლილი ნიშნებით დიფერენცირება არა მგონია სახარბიელო იყოს, ვინაიდან არათუ განსხვავებულმა ჟანრულმა ნიშნებმა და დინებებმა მოიყარა დასავლური მწერლობის არაერთ მნიშვნელოვან ნაწარმოებში ერთად თავი, არამედ ტრაგედია შეერწყა კომედიას და ტრაგიკომედია წარმოიშვა. სამწუხაროდ, ჩვენი ცხოვრებაც ამგვარ ტრაგიკომედიას დაემსგავსა.



ქეთი ნიჟარაძე

ადრე ლამეები იყო მოწყენილი, ადრე მზის ამოსვლას მუდამ ვესწრებოდი, და დღე იწყებოდა ფილმის ნაწყვეტით,

ადრე რაც მინდოდა, სიტყვებს გავანდობდი, ქალაქის ნაგლეჯზე ვატევი სისასესეს, ამაღამ სიტყვები მე ვეღარ მიცავენ.

არც ეს დაღამება, არც ეს ალიონი – მხოლოდ რომ გნატრობდი, არ გვანან იმ წამებს – ფეხით ჩამოსულა ის ნატვრა მიწამდე...

და მაინც, დღეიდან, თუნდ ცის დასალიერს, სამყაროს სხვა მხარეს, სადღაც არსებობდე, მაინც შენ შემეხებ ნაპრალებს ცარიელს,

ახლა ლამეები არის სულ სხვაგვარი, თუმცა მზის ამოსვლას ისევ ვესწრები და ამ დღის დასაწყისიც ყოფის ნაწყვეტია.

არ მინდა, მაგრამ ვხედები, შევძლებ შეუძლებელსაც, ოღონდ გამიშვი ისე, მაინც შენთან რომ დავრჩე, ვისუნთქო შენით, მუდამ გვერდით რომ აღარ მყავდე,

მაგრამ ბუნდოვნად, სადღაც, შენი სურვილი ენთოს.

მაჩუქე შენი უხილავი, მძიმე შირმები, მეც გავემიჯნო იქნებ ასე სხვებს და შევიგრძნო, რაც ამ წუთამდე შენთვისაა მხოლოდ ძვირფასი. მერე მეც შევძლებ, ვიცი, შევძლებ, ვიცხოვრო ისე, როგორც შენ ცხოვრობ, როგორც ქმნი და, რითაც შენ ძერწავ, როგორც შენ სუნთქავ, როცა გიყვარს – ათასწლის ყმაწვილს, ან თუ არ გიყვარს, მაინც ჩუქნი შენს რაღაც ნაწილს.

და იქნებ მივხვდე მეც, ამქვეყნად როგორ ვიარო შენთან შეხების, შენი სუნთქვის და ხმის გარეშე. დავმშვიდდე იქნებ...

თუმცა ახლა ეს დამშვიდება სულაც არ მინდა.

როდესაც ასე შორსა ხარ ჩემგან, როდესაც გნატრობ, როგორც ყოველთვის, მზე იხედება ლურჯი სარკმლიდან, სუსტი, დაღლილი.

ყოველდღე ასე ბერდება დილა, ყოველდღე ასე ბრუნდება ღამე და როცა არ ხარ, უსაზღვროდ არ ხარ, დაუსრულებლად გრ'ელდება ყოფა, სხვა მონატრებებს მაინც არ გავხარ არაფრით. არ ხარ, რაც თავს გადამხდა.

და როცა ასე მთავრდება ღამე, და როცა ასე თენდება დილა, ცა მზის სახლივით აენთება, გაახელს თვალებს და იხედება მზე სარკმლიდან – სუსტი, დაღლილი.

მთელი ცხოვრება ეძებდი ისეთს, ღამით ვარსკვლავებს რომ კრეფს და ყოველ დილას ღიმილით დაგყურებს მძინარს, ანდა მზესავით ამოდის ცაზე, ეძებ შეხებას, რომლის მსგავსებაც ვერ აგისხნია, რა უნდა იყოს, არადა, მართლა როცა გეხება, მართლა მზესავით რომ გადგას თავზე, და შენს წინ მუჭით ვარსკვლავებს რომ ყრის, ხელით დაკრეფილს, ეჭვიც კი არ გაქვს – რომ ასე მხოლოდ შენთვის თენდება, და რომ ასეთი დილა აქეთ ღმერთებს...

მე მზეს შევხედავ, შუადღის მზეს დავენახები უცნაური რუხი სახლიდან ან ამ სახლის

უსახური სახურავიდან...

მაინც ვეყვარები მზეს, ჩემთვის გაიმეტებს ის თავის მიერ გამთბარ ზღვეებს. ხვალაც ამოვა და შემხედავს, და ყოველი ჩვენი შეხვედრა ისე ბნუბრივად ჩაივლის, გადამატანინებს ამ ივლისს... მაგრამ შენ ხომ არ ხარ მზე. ჯერ.

ფიქრისთვისაც კი აღარ გცალია – სწორედ აქ იღებს წყენა სათავეს, მე მხოლოდ გუშინ გაგიცანი და არ მინდა, დღესვე რაღაც დამთავრდეს. ხვალ გადავიცვამ სიჩუმის პერანგს, გადაგყურები გზაზე შემთხვევით და თუკი უბრად ჩამივილი გვერდით, მერე ვერასდროს ვეღარ შევხვდებით. ...მაგრამ არსებობს სხვა ბილიკებიც და ყველაფერი ასე არ ხდება – მე შევხვები სიცოცხლის აკვანს და შენში სითბო გადმოსახლება...



შემოქმედი ადამიანების ყველაზე კარგი ბიოგრაფი სწორედ მათი შემოქმედებაა.

ყველა ხელოვანი, ნებისთ თუ უნებლიეთ, თავის თავს, თავის სულს, განცდას შინაგან სამყაროს, ფიქრს, ცხოვრებას აღწერს და — იმისდა მიხედვით, თუ რას ემსახურება — ხატავს, რითმავს, უკრავს, წერს... წერს თავის თავს, თავის სულს, განცდას, შინაგან სამყაროს, ფიქრს, ცხოვრებას...

სწორედ მისივე შემოქმედებით შეიძლება გავიცნოთ პოეტ რატი ამაღლობელის პიროვნება. ჩემი აზრით, რატის ლექსების ლირიკული გმირის პროტოტიპი, ძირითადად, თავად ავტორია. მისი ლექსების მესამე კრებულში — „წრე“ — შესული ამავე სათაურის ლექსი კი რატი ამაღლობელის „ავტობიოგრაფია“... ეს ლექსი იტევს მთელ იმ პოეზიის სივრცეს, რომელიც პოეტშია. იტევს მის ფიქრებს, განცდას, ხედვას, აღქმას, ხასიათს, სიყვარულს და მის შემოქმედებასაც კი.

ლექსის სიღრმეების გათვალისწინებით, სავარაუდოდ, ის დიდი ხნის ფიქრის, შინაგანი კვლევის, საკუთარი თავის ძიების შედეგია. ამასთანავე, ის ისეთივე რთულია, როგორც მხოლოდ ადამიანი შეიძლება იყოს. ეს არ არის ლექსი, რომელსაც რომანტიკული განწყობის შესაქმნელად წაიკითხავთ, ეს არც ერთი ამოსუნთქვით წასაკითხი ლექსია.

„წრეს“ ლექსს თავად უწოდებს ავტორი, ჩემი აზრით, კი „წრე“ პოემაა. პოემა იმისდა მიუხედავად, რომ მას პერსონაჟი არ ყავს. „წრე“ პირველ პირობა დაწერილი. ეს არის ერთგვარი ნაამბობი, სადაც წარმორჩენილი „ცოცხალი განცდები სამყაროსთან მიმართებაში“ (ეს პირად საუბარში ნათქვამი რატი ამაღლობელის სიტყვებია).

„წრეში“ არსებული სამყაროსათვის წრე, გარკვეულწილად, არის გალავანი. ჭიშკარი კი პოეტის თვალშია: „**მოდი, ჩამხედე ამ თვალეში, შიგნით ტბებია**“.

თუ გავიხსენებთ რატი ამაღლობელის ლექსს „სივრცის სონეტი“, შესაძლოა მან „წრეში“ ტბის მთავარი დატვირთვაც გვიკარნახოს:

**„გააღე შენი სარკმელი და თვალის
ოვლით
მელნის ტბებიდან ამოსული სული
ამოსი“.**

პოეტის „მელნის ტბებიდან ამოსული სული“ სხვა რა უნდა იყოს თუ არა ლექსი. და, იქნებ, სიტყვებში „შიგნით ტბებია“ მინიშნებაა იმაზე, რომ პოეტი თავისი თვალის მიღმა ლექსებზე აღქმული სამყაროს გასაცნობად გვეპატიჟება. ცნობისათვის, მონოღება „შიგნით ტბებია“ ერთ კონკრეტულ ადამიანს, პოეტის სატრფოს ეხება. თუმცა, „წრე“ ზოგადად იძლევა საშუალებას, მკითხველმა თავი ამ სამყაროს მგზავრად იგრძნოს და არა სხვათა მოგზაურობის მასურებლად. მოგზაურობის დასასრულს იგებ, რომ პოეტმა შენ(ც) გაგაცნო „ის, რაც ვერასდროს ვერ იხილეს სხვისმა თვალში“. გიდი კი თავად პოეტი, რომელიც შინაგანი სამყაროს ჭიშკრის შეღებისთანავე გაგვინებებს, რა არის მისივე „შინ“ (იქნებ, მისი თავშესაფარიცაა მისივე „შინ“?!). და სად გადის მისთვის დრო „მყუდრო დღეებით“. როგორც ჩანს, პოეტი კმაყოფილია, მოსწონს საკუთარ თავში აღმორჩენილი სამყარო, თუმცა თვითმეფასეხება არ გადადის უკიდურეს ამბიციამდე. მან ისიც იცის, რომ:

**„უფსკრულშია აქ ისეთი —
შეგეშინდება
ციხე-კოშკიდან მონაზვნების
გადმოვარდნები“.**

ეს ბოლო პნკარი, რომელიც შეიძლება მხოლოდ პოეტურ თქმვად აღვიქვათ, სავარაუდოდ, მეორენაირადაც იკითხება. მონაზონი თავის ცხოვრებას უძღვნის ღმერთს, რომლის ქადაგების მიხედვით, თვითმკვლელობა სულის მომაკვდინებელი ცოდვაა. ამ სტროფის თანახმად, მონაზონს უარუყვია ეს მცნება. იქნებ პოეტსაც, თუნდაც ფიქრში, უარუყვია რომელიმე უფლის მცნებათაგანი, რაც, საბოლოოდ, პოეტურ აზროვნებაში მონაზვნების თვითმკვლელობებთან გაიგივდა, ასოცირდა.

„წრეში“ მგზავრობისას, მაშინ როცა გავივლით პოეტის ფიქრებს, განცდას, ცხოვრებას, წარმოსახულს, სულიერ სამყაროს, გულს — პარალელურად გავცინობით იმ თემათა უმრავლესობას, რომელზეც არა ერთი ლექსი დაუწერია პოეტს. ისმის „ზმნისა“ და „თუს“ (რატი ამაღლობელის ლექსების პირველი ორი კრებული) ექო. იქნებ „წრე“ სულაც წარსულში დაწერილისა და ახალშექმნილის თავმოყრის შემდეგ მათთვის სულის შთაბერვაა... იქნებ ის, რაც აქამდე მხოლოდ ლექსებში არსებობდა, ახლა პოეტშიც გა-

თონა ჩემია



ცოცხლდა, მისეულ სამყაროში დასახლდა და „წრეში“ ჩვენ სწორედ ამ პერსონაჟთა მეტამორფოზის თვითმხილველი ვართ. პოეტისეული წერის მანერაც სპექტაკლივით წარმოაჩენს მონათხრობს.

პოეტი კვლავაც განაგრძობს სიტყვის ძიებისა და საკუთარი თავის შეცნობის თემას. საერთოდ, „წრე“ პირველი სტროფიდან ბოლო სტროფამდე სწორედ საკუთარი თავის შეცნობაა. განა, თავისი სულის სიღრმეებს არ აცნობს გიდი თანამგზავრს, როცა გზად ტყეს გაატარებს?!

**„აქ ტყეებია ამ ტბებში რომ
ირეკლებიან,
მთიდან ველებით ევლებში ტყის
ფრინველები“.**

თუ ტყის სიღრმეებს არ შეუშინდები და გაუკვალავ გზას გაუყვები, აღმოაჩენ საიდუმლო ბილიკებს:

**„ტყეების შიგნით საიდუმლო
ბილიკებია,
შემოიხედე — შენც ამ ტყეებს
გადავლები“.**

ტყე და მისი „საიდუმლო ბილიკები“ თავად ადამიანის შინაგანი სამყარო, სულის საიდუმლო ბილიკებ უნდა იყოს, რომელიც საბოლოოდ სიტყვისკენ იკვლევს გზას. და შენ აღმოაჩენ:

**„სიტყვებს, რომელთაც ფრინველთა
მსგავსად
ჩვენში დაბურულ ტყეებში ძინავდ“.**
(„...სიტყვა“)

ამიტომაც „დაბურული ტყის“ შეცნობა საკუთარი თავის შეცნობის ტოლფასია და ასევე ძიება სიტყვისა. შესაძლოა, სწორედ ამ ორმაგი ძიების პროცესმა მიიყვანა რატი ამაღლობელი იმ სამყაროში, რომელსაც „წრეში“ გვაცნობს. ხოლო რაც შეეხება კონკრეტულად სიტყვის ძიებას, ამ თემით პოეტი ჯერ კიდევ ბავშვობაში დაინტერესდა. თექვსმეტი წლის ასაკში იგი წერდა (ლექსი იმეჭდება პირველად):

**„ჭეშმარიტებას ვერ დავეუფლე,
უნდა იცოდე, როგორ მახელებს,
როცა პოეტი სიტყვის მეუფე,
საგნებს ვერ ვარქმევ თავის
სახელებს“.**

„წრეში“ სიტყვის ძიების პროცესი არ უნდა გავაიგივოთ უფლის ძიებასთან („ღმერთი იყო სიტყვა“ იოანე, თს, 1.). ეს არც დავიწყებული და არც რითმისა თუ შინაარსისათვის შესაფერისი სიტყვის ძიებაა. ეს უფრო მცდელობაა, ზუსტად დარქვა სახელები იმ ხედვას, რომელსაც პოეტი თავისი პოეზიის სამყაროში ხედავს და გრძნობს. როგორც თავად რატი ამაღლობელმა ახსნა:

„ჩემი სიტყვის ძიების პროცესი არის კონკრეტული არსებების, მოვლენების, იმ ყველაფრის, რაც ზედაპირზე არ ჩანს, ენაში გადმოცემის შეუძლებლობის დრამა. დრამაა, რადგან შეუძლებელია მათი სიტყვად ქცევა, ენაში თარგმნა. ეს არის სურვილი სიტყვისთვის სიტყვის დარქმევინა და საერთოდ, გარკვევა იმისა, თუ რა არის რეალურად სიტყვა“ (ნაწყვეტი პირადი საუბრიდან).

ამის გარკვევას ცდილობდა პოეტი „თუმიც“, „ზმნამიც“ და „წრეშიც“, თუმცა „წრეში“ სიტყვის ძიების გარკვეული ეტაპი, გგონებ, ნერტილდასმულად უნდა მივიჩნიოთ. უფრო სწორად ნერტილდასმულია არა თემა, არამედ ამგვარი ფორმა სიტყვის ძიებისა.

პოემის ყველაზე დიდი ნაწილი დათმობილი აქვს უფლის ძიებას. სავარაუდოდ

(როგორც ამ ლექსიდან და, ზოგადად, კრებულიდან იკვეთება), უფლის ძიებასა და ქრისტიანულ მოტივებს მომავალშიც მიეძღვნება რატი ამაღლობელის არა ერთი ლექსი.

პოეტმა იცის, რომ მის თვალეშში, მის სამყაროში უფალი არაა და აი, გაფრთხილება თანამგზავრს:

**„მაგრამ იცოდე ჩემს თვალეშში
ღმერთი არ არი,
აქ მხოლოდ მისი საფლავია“.**

ღმერთის საფლავი? ეს, ერთის მხრივ, ცოტა არ იყოს ულოგიკო და არარეალურია. მაგრამ შესაძლოა დავინახოთ პოეტური მეტაფორაც. ადამიანი, რომელიც შექმნილია ხატად ღვთისა, ხშირად ივინყებს უფალს. თუმცა, არ ან ვერ დევნის საბოლოოდ მას საკუთარი თავიდან და სადაღაც, ფიქრების მიღმა, ცნობიერის მიღმა „ასაფლავებს“ ღმერთს. უფრო სწორად კი, ასაფლავებს ღმერთზე ფიქრს, რასაც შემდეგ, როგორც წესი, მოყვება სინანული და უფლის ძიება. ასე მოხდა „წრეშიც“:

**„მოძებნით სხვენში ხელთუქმნელი
მაცხოვრის სახე,
როგორც ჭრილობა, სიყვარული და
შებრალება“.**

მიმართავდა იგი თანამგზავრს. ტაძარშიც სწორედ უფლის ძიების გზას უნდა მიეყვანა პოეტი. ტაძრის გზად კი „**ზრმა მათხოვარს გზის პოვნაში მივეშველებით**“.

და უფლის ერთ-ერთი ნაამბობის მიხედვით:

**„ცოტა ხნით ღმერთის გვეგონება
მისი ხელები“.**

ტაძარი, უფლის მსგავსად, ყველას იტევს, ყველას იფარება: „**აქ ქრისტეს ძმებიც არიან და ქრისტეს მკვლელებიც**“. პოეტი აქვე გვიამბობს კიდევ რამდენიმე პერსონაჟზე, რომლებიც დადიან ტაძარში, ჭამამდე ლოცულობენ, მაგრამ დავინწყებიათ უფლის სწავლება. „თქვენ გსმენიათ, რომ თქმულა: თვალი თვალისა წილ და კბილი კბილისა წილ. ხოლო მე გუუბნებთ თქვენ: ნუ აღუდგებთ წინ ზოროტს; არამედ ვინც შემოგკრავს მარჯვენა ყერიმალში, მიუშვირე მას მეორეც“ (მათე, თ.5, 38-39). მიუხედავად ამისა, ისინი

**„სადილის წინ
ამბობენ ლოცვებს სამადლობელს,
ბოლოში — ამინ!
თვალი თვალის წილ, როგორც არის,
კბილი კბილის წილ“.**

„როგორც არის“ — სწორედ ამ სიტყვებში იკვეთება მათი დამოკიდებულება რელიგიისადმი, მათ სურთ იცხოვრონ ისე, როგორც თავად მიაჩნიათ საჭიროდ და თან — უპასუხისმგებლოდ. ალბათ, ამიტომაც უფალს გადააბრალებს ეს მოწოდებაც „როგორც არის“, როგორც თქმულა, ისე ვიცხოვრებთო. სწორედ კაცობრიობის მიერ უფლისათვის თავიანთი ცოდვების გადაბრალებას ეძღვნება რატი ამაღლობელის ლექსი „თითქოს ვარსკვლავი მოწყდაო ცაზე“.

**„ის რად ღირს ანდა —
ღმერთს ეს სურდაო, მას ასე
სწაღდა.“**

**ამგვარად ყველა წამებას მისას
მასვე ბრალ-დებენ და ყველა სისასტიკეს,
რომელიც „ამართლებს
მიზანს“**

ჩადავს მისი სახელითვე“.

პოემის დასასრულს პოეტი შინისაკენ მიმავალი ბილიკის ძიებაშია.

**„სიზმარშიც მიჭირს ამ ადგილის,
ამ გზის მიგნება,
ამ ხნის მანძილზე არ ვყოფილვარ
მე ასე ახლო მასთან“.**

და ეს „ხანი“ საუკუნეებს ითვლის. საკუთარ შემოქმედებაში დასახლებული პოეტი არ ემორჩილება დროს. აქ ის აცხადებს:

**„ათასი წელი შეიძლება ისე გავიდეს,
რომ ვერ შევლო საკუთარი
სამყოფლის კარი“.**

პოეტთან ერთად დროს მისი პერსონაჟებიც ეურჩებიან, თუნდაც ძმა — მასზე „უფროსი ათასი წლით“. პოეტის თვალი საუკუნეებს სცდება. თუმცა, ეს არცაა გასაკვირი. პოეზიას (ზოგადად, ხელოვნებას) ხომ აქვს მაგიური ძალა. მას შეუძლია გაცდეს დროს, გადავიდეს წარსულში ან მომავალში და თან ისე, რომ შეინარჩუნოს მუდმივი, ყველა ეპოქის ამყოფობა.

პოეტისეულ წარმოსახვაში ის თავის ძველ სამყოფელს, თავის სახლს უბრუნდება, როგორც უძღვები შვილი. იქნებ, მან თავის დროზე სახლი სწორედ გარესამყაროს შესაცნობად დატოვა?.. იმოგზაურა წრის გარშემო და ბოლოს წრის მიღმა გადაიტანა თავისი ფიქრის, თვითკვლევის, მარადიული ძიების, პოეზიის... სამყარო. თუ ასეა, ძიების დასასრულიც ლოგიკურია, სწორედ იქ მივიდა, საიდანაც დაიწყო — სახლში.

**„უძღვები შვილის იგავში თუ, საკუთარ
სახლში“**

აღმოჩნდი“.

„უძღვები შვილის“ კომპლექსი, თუ შეიძლება ასე ითქვას, სამივე კრებულში იკვეთება. ამ შემთხვევაში, ჩემი აზრით, ეს თემაც ნერტილდასმულია, დასრულებულია. ის დაბრუნდა და განაჩენის მოლოდინში თავისი ცხოვრების ყველაზე ტრაგიკულ მონაკვეთს გიამბობთ:

**„ღედა მოგვიკვდა ახალგაზრდა, ამ
კაცის ცოლი,
ორივე იმან გაგვაჩინა, ცათა სიმორცხ
მალე გაუყვა და მეც დედას ვგავარ
და მგონი
ამ უეცარი განკითხვის წამს ეს თუ,
მიშველის“.**

უშველა! ის ისეთივე სითბოთი მიიღო მამამ, როგორც უძღვები შვილის იგავშია. შინ მისვლით სრულდება მოგზაურობაც, თუმცა არა პოეტის გაცნობა. პოეტი, რომლის თვალეშშიც ჩვენ უკიდევანო, დროზე დაუმორჩილებელი სივრცეები დავიხანებთ, საყვარელი ადამიანის წინაშე მდგარი სუსტი და უშნეო აღმოჩნდა. საერთოდ, მაშლად, არგამხელი სიყვარულს ბოლო პერიოდში არაერთი ლექსი მიუძღვნა პოეტმა.

„წრეში“ მან მხოლოდ მოგზაურობით დალოლი და ჩაძინებულ თანამგზავრს გაუხილა, უფრო სწორად ჩასჩურჩულა:

**„და ძილში გეტყვი, რომ მიყვარხარ,
რომ ვერ დავებალე
მე ვერაფერი თუკი ვერ უღმში რამე
მიცემდა“.**

ამასთანავე, „ხვალ შენ თვალეშში ჩავიხედავ“ — მიმართავდა იგი ძმინარე თანამგზავრს და ეს არ იყო ფუჭი დაპირება. მან ლექსში — „სხვები“ — მართლაც ჩაიხედა თანამგზავრის თვალეშში. ის, რომ „წრე“ და „სხვები“ ერთი და იგივე ქალბატონს ეძღვნება და რომ „სხვები“ სწორედ ამ ქალბატონის თვალეშში ჩახედვავა, ერთ-ერთი საუბრისას თავად ავტორმაც დამიდასტურა.

ნაკლის დანახვა სხვის თვალეშში (ლექსში „სხვები“) უფრო გაუადვილდა პოეტს, ვიდრე — საკუთარ თვალეშში (პოემაში „წრე“). „სხვებში“ მან თავისუფლებას მოკ-



მაიონხალი

თამაზ ვარვარიძე:

„პატარა ქვეყანაში ამდენი კარგი მწერალი რომ გვყავს, უკვე სიმდიდრეა“

სტუმრად ვარ მხატვრებთან...

ამ ადამიანების პროფესიონალიზმმა, შეიძლება ითქვას, ქართული წიგნის განვითარება-განახლება და მისი თანამედროვე სახის შექმნა მნიშვნელოვნად განაპირობა. უკანასკნელ წლებში, მათი საქმიანობა, სხვა მიმართულებებთან ერთად, ქართულ ბეჭდვით გამოცემებსა და ელექტრონულ ნოვაციებს უკავშირდება.

ბატონი თამაზ ვარვარიძე თბილისის სამხატვრო აკადემიის გრაფიკის მიმართულების ხელმძღვანელი და სრული პროფესორია, ქალბატონი სოფიო კინწურაშვილი კი ცნობილი ილუსტრატორი და საბავშვო ლიტერატურის გაფორმების გამოცდილი ოსტატი გახლავთ. მათი ვაჟები, ალექსანდრე და ირაკლი, ელექტრონულ მედია სივრცეში ცნობილი სახელებია.

ბატონი თამაზისა და ქალბატონი სოფიოს ცხოვრება ლიტერატურასთან მჭიდროდაა დაკავშირებული, მაგრამ ჩვეულებრივი მკითხველისგან განსხვავებით, ისინი ავტორთა ნაწარებს „აცოცხლებენ“, წიგნებს მიმზიდველსა და ფერადოვანს ხდიან და მათ ნაკითხვას ჩვენც „გვაიძულებენ“...



თამაზ ვარვარიძე, ირაკლი ვარვარიძე, სოფიო კინწურაშვილი და ალექსანდრე ვარვარიძე

— ბატონო თამაზ, წიგნის მხატვრობა პირდაპირ კავშირშია ლიტერატურასთან. რამდენადაც ვიცო, თქვენი შემოქმედებითი არეალი საკმაოდ ვრცელია — მუშაობთ ფერწერაში, გრაფიკაში, გრაფიკულ დიზაინში... ლიტერატურის სიყვარულმა ხომ არ გიბიძგათ, თქვენი პროფესიონალი საქმიანობა ამ მიმართულებითაც წაგემართათ?

— წიგნის მხატვრობა გრაფიკული დიზაინის ერთ-ერთი საინტერესო სფეროა. მართალია, ლიტერატურა ყოველთვის მიყვარდა, თუმცა წიგნის მხატვრობაზე მუშაობის მიზეზი ლიტერატურის სიყვარული არ გამხდარა. მხატვარი საკუთარი თავის რეალიზებას ყოველთვის ცდილობს. წიგნის მხატვრობის მიმართ ჩემი მიდგომა, შეიძლება ითქვას, არასტანდარტული ხედვა გამაჩნდა და ამ სფეროში საკუთარი თავის შემოქმედებითი გამოვლენა ჩემთვის საინტერესო იყო. როცა ცნობილ გამოცემელს, ბაკურ სულაკაურს შევხვდი და ვისაუბრეთ, აღმოჩნდა, რომ საკითხისადმი ჩვენი მიდგომა ერთმანეთს ემთხვეოდა, საერთო ხედვა გვქონდა... და „ბაკურ სულაკაურის გამოცემლობასთან“ ერთად თანამედროვე ქართული წიგნის დიზაინზე მუშაობა დავინყე.

— დიდი ხანია, რაც ბაკურ სულაკაურის გამოცემების მხატვრულ მხარეზე მუშაობთ?

— შეიძლება ითქვას — გამომცემლობის შექმნის დღიდან.

— წიგნის მხატვრობით დაინტერესებული მანამდეც ხომ იყავით?

— ყოველ შემთხვევაში, ამგვარი ინტენსივობით ადრე არ მიმუშავია. თან, იცით რა არის? როცა ახალი გამოცემლობა, ახალი ტალღა, ეს შემოქმედებითი პროცესს უფრო მრავალფეროვანსა და საინტერესოს ხდის. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, მოგეხსენებათ, საგამომცემლო ინფრასტრუქტურა ერთიანად მოიშალა. ფაქტობრივად, ყველაფერი ახლიდან უნდა დაგეგმო. ვფიქრობ, ბაკური პიონერი იყო ამ საქმეში. წიგნის ვიზუალური მხარე მისი გამოცემლობისთვის იმთავითვე

თვე ერთ-ერთ პრიორიტეტად იქცა. ჩემის აზრით, გამომცემლობის წარმატება იმანაც განაპირობა, რომ მათ სწორი მიმართულებები აირჩიეს.

— ძველსა და ახალ ქართულ გამოცემებს შორის განსხვავება მართლაც თვალშისაცემია...

— დიახ. ძველ, საბჭოთა პერიოდის წიგნებს თუ გადავხედავთ, ისინი მართლაც უფერულად გამოიყურებიან. თუმცა, უნდა ითქვას, რომ ამ სფეროში ყოველთვის მაღალი დონის პროფესიონალები, კარგი მხატვრები მუშაობდნენ, მაგრამ ისინი წიგნის, როგორც ერთიანი პროდუქტის, შექმნაში არ მონაწილეობდნენ, დიზაინს არ ქმნიდნენ, მხოლოდ ცალკეულ ილუსტრაციებს ხატავდნენ. შემდეგ გამოცემის მხატვრული რედაქტორი, მაშინ ასე ერქვა, მათ ილუსტრაციებს ტექსტში განათავსებდა. თან, წინააღმდეგობა არც არსებობდა, ძირითადად იყვნენ — გრაფიკოსები და ფერმწერები, ისინი მუშაობდნენ. არსებობდა წიგნის კლასიკური, ერთგვარად სტანდარტული გაფორმება, რაც თავისუფალი შემოქმედების საშუალებას ნაკლებად იძლეოდა. წიგნი დღეს ასე აღარ ფორმდება. სრულიად სხვა მოთხოვნებია. კომპიუტერიზაციამ სახვითი შესაძლებლობები მნიშვნელოვნად გაზარდა და ვიზუალური ეფექტის მისაღწევად მრავალგვარი მეთოდი, ხერხი შემოგვივარდა. ამიტომ ილუსტრატორი უნდა ერკვეოდეს წიგნის დიზაინში. ახლა წიგნი ერთიანი ორგანიზმია, სადაც ტექსტი, ილუსტრაცია, დიზაინი შერწყმულია ერთმანეთთან. ეს კი გვაძლევს პროდუქტს, რომელსაც თანამედროვე წიგნი შექცია.

— ესე იგი, თანამედროვე ქართული გამოცემები მოგწონთ...

— გასულ წლებთან შედარებით, მდგომარეობა მნიშვნელოვნად გამოსწორდა. თუმცა, სამწუხაროდ, საბავშვო გამოცემებზე იგივეს ვერ ვიტყვით, იქ მდგომარეობა გაცილებით რთულია. არადა, რამდენადაც ვიცო, ბეჭდვით გამოცემებს შორის, საბავშვო ლიტერატურა ყველაზე გაყიდვადი პროდუქტია. საბავშვო წიგნზე მუშაო-

ბა, გასაგები მიზეზების გამო, დიდ პასუხისმგებლობას მოითხოვს. მიკვირს, რადგან სამხატვრო აკადემიაში ვასწავლი და ვხედავ, ახალგაზრდა მხატვარ-ილუსტრატორების სახით, როგორი კარგი თაობა მოდის. მაშ, რა ქმნის პრობლემას? ალბათ — მხატვრებისა და გამომცემლების ურთიერთობა. ზოგიერთი გამომცემელი ცდილობს წიგნი საკუთარ გემოვნებას მოარგოს, ან ზედმეტად ჭრელ გაფორმებას ითხოვს. ჰგონია, ბავშვს სიჭრელე უფრო მიიზიდავს. არადა, წიგნის ხარისხის ამოცნობაში პატარები არასოდეს ცდებიან. თუმცა, მოგვიანებით, ამ თემაზე სოფიო უკეთ გესაუბრებათ... რაც შეეხება, ზოგადად, თანამედროვე ქართულ წიგნებს, მათზე მოთხოვნა, მგონი, გაიზარდა. ბევრი ახალი გამოცემლობა დაარსდა და ეს კარგია.

— თუმცა, ქართველი გამომცემლები ნუხან — ცოტა მკითხველი არისო...

— მთელი პრობლემა ისაა, რომ ბავშვი არ გვაქვს. წიგნის წარმატებული რეალიზაციისთვის საქართველოს მასშტაბი საკმარისი არ არის. ხომ ხედავთ, რუსეთში, ან თუნდაც უკრაინაში როგორ არის — გამომცემლები ნამდვილი მაგნატები არიან, რადგან ბრუნვა იქ გაცილებით დიდია. სხვა საკითხია, როგორ წიგნებს გამოცემენ. ძირითადად — პოპულარულ საკითხავს, რადგან ასეთი ლიტერატურა უკეთ ხალხებს. მართალია, ხარისხი დაბალია, იგულისხმება ლიტერატურული დონე, მაგრამ შემოსავალი მოაქვს. ბუნებრივია, კომერციული პროექტების გარეშე გამომცემლობა ვერ იარსებებს. ამიტომ, ძირითადად, ამგვარ გამომცემებზე ორიენტირებულნი არიან. თუმცა, კომერციული პროექტის შეიძლება ორიგინალური და საინტერესო გამოვიდეს.

— წიგნის დიზაინს შექმნის პროცესი როგორ მიმდინარეობს — ნაწარმოებს თავიდან ბოლომდე კითხულობთ და შემდეგ იწყებთ მასზე მუშაობას თუ პატარა-პატარა ჩანახატებს კითხვისას აკეთებთ?

— სანამ წიგნზე მუშაობას დავიწყებდე, თავდაპირველი კონტაქტი გამომცემელთან მაქვს. შემდეგ ავტორიც ერთვება, გარკვეულ მონახაზს ვაკეთებთ, საკუთარ ხედვას ვუზიარებთ ერთმანეთს. წინააღმდეგობა გარდაცვლილი ავტორების ნაწარმოებთა გაფორმებას ვამჯობინებდით ხოლმე... თუმცა, დღევანდელ მწერლებთან, ვისთანაც მიმუშავია — იგივე, აკა მორჩილაძესთან — პრობლემა არასოდეს შექმნილა. ჩვენი შემოქმედებითი ხედვა ყოველთვის ემთხვევა და პრეტენზია ერთმანეთის მიმართ არ გვიჩნდება ხოლმე. წიგნების გაფორმება მაინტერესებს და მომწონს, ამ საქმეს მუდამ დიდი პასუხისმგებლობით ვეკიდები. თუმცა, ისეთი ავტორებიც არიან, საკუთარი ნაწარმოების მიმართ მხატვრის მიდგომებს ძნელად რომ იზიარებენ, მას თავისებურ ვიზუალურ შტრიხებს სთავაზობენ. მხატვარს ეს არ მოსწონს, მაგრამ ბოლოს თანხმდება მწერალს და ისეთ დიზაინს ქმნის, როგორც ამ უკანასკნელს სურს. აკა მორჩილაძისნაირ ავტორებთან თანამშრომლობა კი გაცილებით საინტერესოა. შემოქმედებითად აბსოლუტურად თავისუფალი ხარ, ეს გეხმარება უფრო მეტად გამოავლინო საკუთარი თავი და უკეთ წარმოა-

ჩინო ავტორის ჩანაფიქრიც. ზოგჯერ, შეიძლება, ტექსტის ვიზუალური გადართვის თვალსაზრისით, ავტორს რომ არ უფიქრია, ისეთი რამ შესთავაზო, მაგრამ კარგად „იმუშაოს“, გაამართლოს...

— გამომცემელთან და ავტორთან ტექსტის ზოგადი მიმოხილვის შემდეგ, ალბათ, უფრო საინტერესოა — ნაწარმოების კითხვა — იწყება...

— რა თქმა უნდა. შემდეგ უკვე ნაწარმოებს უნდა გავცნო. გინდა თუ არ გინდა — გულდასმით წაიკითხო. ეს ხომ უბრალო საქმე არ არის, მთელი ტექსტის გაანალიზება გჭირდება. თუმცა, დრო ყოველთვის ცოტაა. როცა დიზაინს გიკვეთავენ, როგორც წესი, ჩქარობენ, მასალის მომზადებას მალე ევლიან. შინაარსის ერთიანად აღქმა რომ შეეძლო და მასზე სრული წარმოდგენა მქონდეს, ტექსტს მთლიანად ვკითხულობ, მუშაობას მერე ვიწყებ. შემდეგ შემიძლია დავანაწევრო კიდევ, გარკვეული ფრაგმენტები ამოვიღო და გამოვიყენო. ზოგჯერ ტექსტის ის ნაწილი, რომელსაც მხატვრულად ვამუშავებ, სიუჟეტურად მნიშვნელოვანი არც არის, მაგრამ წიგნის საბოლოო ვიზუალურ გადართვას უხდება და კარგი გამოდის. მოკლედ, ნაწარმოებს გააჩნია.

— ჩვეულებრივ, ადამიანი წიგნს რომ გადაწვას, კითხვის დაწყებამდე ფურცლავს, ათვლიერებს... წიგნის გარეგნული სახე მკითხველის თავდაპირველი შთაბეჭდილებაა, ტექსტთან ურთიერთობა ამის შემდეგ იწყება. ფაქტობრივად, წიგნის მხატვრულ ბევრ რამა დამოკიდებული, თქვენ ხომ მხატვრული ხერხებით აცნობთ მკითხველს იმ სამყაროს, რომელიც მალე მის წინაშე სიტყვებით გადაიშლება. ეს რთული არ არის?

— ამდენად, წიგნის მხატვრობა საპასუხისმგებლო საქმეა. ფაქტობრივად, მხატვარი ავტორის გვერდით დგას, მასზე ბევრია დამოკიდებული. შეიძლება ნაწარმოები საინტერესო იყოს, მაგრამ გარეკანმა გააფუჭოს. ვიზუალურად და შინაარსობრივად კარგი, შეკრული გამოცემა იდეალური ვარიანტია. მეც, რა თქმა უნდა, ყოველთვის ამის მიღწევას ვცდილობ.

— კარგა ხანია წიგნის დიზაინზე მუშაობთ. საყვარელი ავტორები თუ გყავთ? როგორც მიხვდები, ერთ-ერთი მათგანი აკა მორჩილაძეა...

— ძალიან საინტერესო მწერლად მიმაჩნია ზურაბ ქარუმიძე. მისი ორი წიგნი მაქვს გაფორმებული, ლაშა ბულაძე და სხვები...

— საერთოდ, თანამედროვე ქართულ მწერლობაზე რა აზრის ბრძანდებით?

— საქართველოში ბევრი კარგი მწერალია, როგორც ახალგაზრდები, ისე ძველი თაობის ავტორები — ცოცხალი კლასიკოსები. ჩვენთან მწერალთა ძალიან ფართო სპექტრია წარმოდგენილი. ყველანაირი ჟანრის ლიტერატურაში საინტერესო ავტორები გვყავს. არჩევანი დიდაა. დანარჩენი უკვე გემოვნების საკითხია. განა, მდიდრები არ ვართ, ასეთ პატარა ქვეყანაში ამდენი კარგი მწერალი რომ გვყავს?

— უცხოელი ავტორების წიგნებსაც აფორმებთ?



თამაზ ვარვარიძე — წიგნების დიზაინი

— გარეკანის დიზაინზე ვმუშაობ. ილუსტრაციებს არ ვაკეთებ. საერთოდ, რომანებს ილუსტრაციებით უკვე აღარავინ აფორმებს. ნიგნის გარეკანი ძალიან მნიშვნელოვანია. ძირითადად, მხატვრული თვალსაზრისით, მთელი დატვირთვა გარეკანზე მოდის. თუ საინტერესო გადაწყვეტას მიაგნებ, ეს ნიგნის წარმატების მნიშვნელოვანი განმსაზღვრელი იქნება.

— **საინტერესოა, როცა ნიგნს უბრალოდ თქვენთვის კითხულობთ, პროფესიული ინსტინქტი თუ ირთვება? ნიგნის გარეკანზე სახეს გონებაში არ ხატავთ ხოლმე?**

— არა, ასე არ ხდება. თუმცა ყოფილა შემთხვევა, ნიგნის დიზაინზე მუშაობის დასრულების შემდეგ, მას — როგორც საინტერესო ლიტერატურას — მივბრუნებოვარ და ჩემთვის, მშვიდად, ახლიდან ნამიკითხავს.

— **დასავლური გამოცემების ვიზუალურ ხარისხზე რას იტყვით, რამდენად განსხვავდება მათგან ქართული გამოცემები?**

— გამოცემებს შორის იქაც ისეთივე სხვაობაა, როგორც ჩვენთან. ნიგნის გაფორმების სხვადასხვა სახე არსებობს. თითოეული გამოცემლობა, ლიტერატურული ფანებისა თუ დიზაინის მხრივ, თავის არჩევანს აკეთებს, მიმართულებებს განსაზღვრავს. ზოგიერთი უცხოური გამოცემა უნდა ნახოთ... იმდენად ბევრი მასალა აქვთ, რომ კონვეიერული წესით მუშაობენ და, შესაბამისად, ხარისხი იკარგება. თუმცა, არსებობს ძალიან მაღალი დონის, შემოქმედებითად მდიდარი, დახვეწილი გამოცემები. რაც შეეხება პოლიგრაფიას, დასავლეთში ის იდეალურ დონეზეა. ჩვენთან ამის შესაძლებლობა ნაკლებადაა. მართალია, ხარისხიანი ნიგნები აქაც იბეჭდება, მაგრამ არსებობს ნიუანსები, რომლის შესრულებასაც გარკვეული ტექნიკური უზრუნველყოფა ესაჭიროება.

— **სამწახაროდ, ზოგჯერ, სწორედ დეტალი ცვლის საერთო სურათს, სტამბაზე ბევრია დამოკიდებული.**

— უფრო მბეჭდავის პროფესიონალიზმზე, ტექნოლოგიებზეც... ძირითადად, ეს კინძვას ეხება. როგორც ნაკეთობა, ცხადია, დასავლეთისაა ჯობს, ამიტომ ხშირად ქართველი გამომცემლობა ნიგნებს საზღვარგარეთ ბეჭდავენ.

— **ქალბატონო სოფიო, თქვენი საქმიანობის ერთ-ერთი ძირითადი მიმართულებაა ნიგნის მხატვრობა. ამ სფეროში, რამდენად ვიცით, მრავალი წელი საქმიანობით და დიდი გამოცდილება გაქვთ. ამჯერად რაზე მუშაობთ?**

— ახლახან კულტურის, სპორტისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს დაკვეთით გიორგი ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიის კვლევის ეროვნულმა ცენტრმა **„ქართულ-აფხაზური ალბომი“** გამოსცა. გამოცემაში ორი ხალხის ურთიერთობის ისტორია მდიდარი, უნიკალური ფოტომათალით, სხვადასხვა ისტორიული დოკუმენტებით, პირადი წერილებითა და საინტერესო თხრობითაა გადმოცემული. ნიგნის ავტორია ბატონი პაატა ჭურდოვანიძე. გამორჩეული წვლილი ალბომის შედგენაში ცენტრის მეცნიერ-თანამშრომელმა ხათუნა ჭურდულიამ შეიტანა. ქალბატონი ხათუნას მამა, პროფესორი ოთარ ჭურდულია მთელი ცხოვრება ქართულ-აფხაზურ ურთიერთობათა გა-

მტკიცებას ემსახურებოდა. ამდენად, მისი ქალიშვილისთვის ამ ალბომის გამოსაცემად გარჯა მამისეული საქმის გაგრძელების ტოლფასი იყო. გამოცემის დიზაინის ავტორი კი მე გახლავართ. ალბომის პრეზენტაცია 17 ივლისს „თიბისი გალერეაში“ გაიმართა. პროექტიც „თიბისი ბანკის“ მხარდაჭერით განხორციელდა. ვფიქრობ, პოლიტიკური და კულტურული თვალსაზრისითაც, მაღალი ხარისხის ორენოვანი (ქართულ და აფხაზურ ენებზე) „ქართულ-აფხაზური ალბომის“ გამოცემა ძალიან მნიშვნელოვანი მოვლენაა.

— **ქალბატონო სოფიო, თქვენ საბავშვო ლიტერატურის გაფორმების ნამდვილი ოსტატი ბრძანდებით. მათ, ვისი ბავშვობაც საბჭოთა პერიოდს დაემთხვა, დღემდე ახსოვთ თქვენი ორიგინალური, არასაბჭოური და თამამი ნახატები, ერთ-ერთ პერიოდულ გამოცემას — „დილა“ რომ აცოცხლებდა...**

— ჟურნალ „დილაში“ მუშაობა 1972-73 წლებში, სტუდენტობისას დაიწყო. ჩემი ნახატები ძალიან თვალშისაცემი იყო, რადგან ისინი საბჭოთა სტანდარტებს არ პასუხობდა. ამ სფეროში ეს ერთგვარი გადატრიალება იყო. მწვავე სტატიებს წერდნენ, გაზეთების ფურცლებიდან მაკრიტიკებდნენ: ოდნავაც ვერ აკმაყოფილებს ბავშვების მზარდ მოთხოვნებს... — **პროფესიული გაბედულების გამო კრიტიკა არც შემდეგ დაგკლვიათ. „ბაკურ სულაკაურის გამომცემლობის“ მიერ გამოცემული „დედაენის“ გაფორმებასაც, საზოგადოების გარკვეული ნაწილის მხრიდან, უკმაყოფილება მოჰყვა...**

— „დედაენაზე“ მუშაობას ძალიან შემოქმედებითად მივუდექი. ბაკურ სულაკაურმა სრული თავისუფლება მომცა, მაგალითად, „აი ია“ — ზე ასეთი ნახატი გავაკეთე: (მოცემული იყო სიტყვები — მამა, ია და მამა) დავხატე პატარა გოგონა, რომელსაც მამასთან ყვავილის ქოთნით ია მიაქვს და უჩვენებს: „აი ია“... „დედაენის“ გამოცემის მიტინგები გაიმართა — ამბობდნენ, არაქართულიაო. გოგებაშვილი-სეული გამოცემა მშვენიერია, ჩვენს „დედაენაში“ მისი არაერთი ტექსტია გამოყენებული, მაგრამ ახალ დროებს ხომ ახლებური აზროვნება, სხვა მოთხოვნები მოაქვს, სწავლების მეთოდებსაც გარკვეულწილად განახლება სჭირდება.

— **თქვენს მიერ ილუსტრირებული ზოგიერთი ადრეული გამოცემა დღეს ხელმეორედ რომ დაიბეჭდოს, თანამედროვე პროდუქტი გეგონება, არაფრის შეცვლა დაგჭირდებოდათ...**

— ძალიან ბევრი ნიგნი მაქვს გაფორმებული, მაგრამ, როგორც წესი, ბეჭდვის ხარისხი ძალიან დაბალი იყო. არსებობდა ასეთი სახელმწიფო გამომცემლობა „განათლება“. მან გამოსცა ინგლისური ლექსების კრებული, რომელიც მე გავაფორმე. ლიტოგრაფიაში იყო შესრულებული. ნიგნს ძალიან დადებითი გამოხმაურება მოჰყვა, არაერთ საერთაშორისო გამოფენაში მივიღე მონაწილეობა, ბევრი თანამედროვე გალერეის მუზეუმშიც არის დაცული, ორიგინალები პარიზშიც გაიყიდა... ის კრებული ახლაც რომ გამოიცეს, ურიგო არ იქნება, მაგრამ დიზაინს, რა თქმა უნდა, შეეცვლიდა.

— **ქალბატონო სოფიო, ინტენსიურად თანამშრომლობთ „ბაკურ სულაკაურის გამომცემლობასთან“ მისი დაარსების დღიდან. რამდენად ვიცით, ძირითადად, ქართულ საბავშვო ნიგნებს აფორმებთ, უცხოურ ლიტერატურაზე არ მუშაობთ?**

— „ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა-



სოფიო კინწურაშვილი — ილუსტრაციები

ის“ გარდა სხვა გამომცემლობებთანაც ვთანამშრომლობ. მაგალითად, ბოლო საინტერესო სამუშაო კავკასიური სახლის მიერ გამოცემული „კავკასიური ზღაპრები და თქმულებები“ იყო. ბევრი ნათარგმნი ნიგნიც გამოფორმებია, ძირითადად, ყდევის დიზაინი.

— **თქვენს მიერ ილუსტრირებული ქართული საბავშვო ლექსების კრებული ძალიან შთაბეჭდავია. საერთოდ, ქართულ საბავშვო ავტორებზე რას გვეტყვით?**

— ბოლო წლებში, ძირითადად, სახელმძღვანელოებზე ვმუშაობდი. ბაკურ სულაკაურმა დამიყოლია: კარგი სახელმძღვანელოების გამოცემა საშვილიშვილო საქმეაო. მეც დავთანხმე და ამ სამუშაოს დიდი დრო მოვანდომე. თავიდან — პირველი კლასის დედაენა, მათემატიკა, ბუნება გაეფორმე... შემდეგ მეორე კლასის... მესამე კლასის... და წლებიც გავიდა. მართალია, სახელმძღვანელოების გაფორმება მნიშვნელოვანია, მაგრამ მას თავისი სპეციფიკა აქვს და, აქედან გამომდინარე, გარკვეულწილად „ჩარჩოში“ გაქცევს. ახლა ისევ საბავშვო ლიტერატურას დავუბრუნდი.

— **ბატონ თამაზთან ქართული ნიგნის ხარისხზე საუბრისას საბავშვო გამოცემების ხარვეზებსაც შევეხეთ. საინტერესოა თქვენი აზრი ამასთან დაკავშირებით...**

— ეს ძალიან სერიოზული თემაა და ჩემთვის — მნიშვნელოვანი. უგემოვნო ნიგნი აზიანებს ბავშვს. როცა მას ყალბ გარემოს უქმნი, ეს მხოლოდ გემოვნებას კი არ უფერულებს, არამედ, ზოგადად, არასწორად აყალიბებს, რაც საბოლოოდ ბავშვის ხასიათში, სხვებთან ურთიერთობაში ვლინდება. მშობლები ყოველთვის ცდილობენ, საკითხავი ლიტერატურა შვილებისთვის საკუთარი გემოვნებით შეარჩიონ. ზოგჯერ მინახავს, ბავშვს რომელიღაც ნიგნი მოსწონს, მშობელი კი სულ სხვას ყიდულობს მისთვის. ეს ხომ ბავშვზე ერთგვარი ძალადობაა. სამწუხაროდ, საქართველოში პატარებზე ძალადობა სხვადასხვა მიმართულებით ვლინდება... ამგვარი დამოკიდებულების საპასუხოდ შემდგომში მოჭარბებული აგრესია მოჰყვება. საბავშვო ნიგნების მხატვრობა ძალიან საპასუხისმგებლო საქმეა და ყოველთვის სერიოზულად ვუდგები, თითოეულ პროექტზე დიდხანს ვმუშაობ. ახლა ერთი ნიგნის გამოცემის იდეა მაქვს. ის მე დაგწერე.

— **ზღაპარია?**

— დიახ, ზღაპარია. თუმცა, მისი სიუჟეტი ფანტასტიკის სფეროდან აღებულ არ არის. პატარებისთვისაა — სამიდან შვიდ წლამდე ასაკის ბავშვებისთვის. ახლა ილუსტრაციებზე ვმუშაობ.

— **თქვენ და ბატონ თამაზს საერთო პროექტზე არასოდეს გიმუშავიათ?**

— ჩვენ მხატვარ ნანა ჭურდულიასთან ერთად უკვე დიდი ხანია ვმუშაობთ პროექტზე — „ქართული შრიფტი — ისტორია და თანამედროვეობა“. დაახლოებით რვა წლის წინ ამ პროექტის დაფინანსება ფონდმა „ღია საზოგადოება-საქართველომ“ დაინყო. მაშინ ასეთი მიზანი გვექონდა: შეგვეგროვებინა ქართული ანბანის სამივე სახეობის (ასომთავრული, ნუსხახუცური და მხედრული) საუკეთესო ნიმუშები, შეგვეტანა კომპიუტერში და მათი სისტემატიზაცია მოგვეხდინა. თანდათან ძალიან საინტერესო და უმდიდრესი მასალა დაგროვდა. ამიტომაც, ვიფიქრეთ

გაგვეკეთებინა ნიგნი ქართული დამწერლობის და შრიფტის ისტორიაზე. პროექტის მომდევნო ეტაპი კულტურისა და სპორტის სამინისტროს მხარდაჭერით განვახორციელეთ, თუმცა, სამუშაოს დასასრულებლად გარკვეული დაფინანსება კიდევ გვჭირდება. ეს იქნება ალბომი დიდი ფოტო-მასალითა და საინტერესო ინფორმაციით.

— **როგორც ვიცით, ქართული შრიფტის ისტორია, სრულყოფილად, ასეთი მოცულობით, დღემდე არავის გამოუცია. ამდენად, პროექტი ძალიან მნიშვნელოვანია.**

— ჯერ კიდევ სამხატვრო აკადემიაში სწავლის დროს მუდამ განვიცდიდით ხარისხიანი ქართული შრიფტების ნაკლებობას. ნიგნი, სადაც ქართული დამწერლობის განვითარების ისტორია — პირველი პალეოგრაფიული ნიმუშიდან ბოლო კომპიუტერულ შრიფტებამდე — იქნება წარმოდგენილი, საქართველოში ჯერ არავის გამოუცია. თუმცა, მაგალითად სომხეთში, ასეთი მრავალი ნიგნი გამოდის.

— **თქვენი ალბომის გამოცემას რა აფერხებს?**

— როგორც გითხარით, პროექტზე დიდი ხანია ვმუშაობთ. ამასობაში, ზოგიერთი მასალა, ვიზუალური თვალსაზრისით, მოძველდა და გადახალისებას ითხოვს, რასაც გარკვეული თანხები სჭირდება. გარდა ამისა, ვფიქრობთ, ტექსტი არა მხოლოდ ქართულ-ინგლისურად, არამედ სხვა ენებზეც უნდა იყოს წარმოდგენილი. ალბომის ძირითადი ნაწილი მზად არის, ახლა საბოლოო სახე უნდა მიეცეს და გამოსაცემად მზად იქნება.

— **თქვენი ვაჟებიც ხომ მხატვრები არიან, სხვადასხვა სფეროში ძალიან წარმატებულად საქმიანობენ. მათთან ერთობლივი საქმის წამოწყება არასოდეს გიცდიათ?**

— ხშირად გვეკითხებიან კერძო ფირმას რატომ არ აყალიბებთ, მაგრამ იცით, რა არის? მოგვიწევს თანამშრომლების დაქირავება. მათთვის ხელფასის გადახდა რომ შევძლოთ, ნებისმიერ შეკვეთაზე უნდა დავთანხმდეთ. ეს კი ნიშნავს, რომ კომერციული ორგანიზაცია გავხდებით. ასეთ დროს ხარისხის შენარჩუნება ძნელია და თავისუფალი შემოქმედით ვეღარ იქნებით. ჩვენთვის კი ეს ძალიან მნიშვნელოვანია. ზოგჯერ ისე ხდება, რომ უარს ვეუბნებით დამკვეთებს. თუ შემოთავაზებული პროექტი ჩვენს ხედვას, მიდგომებს ეწინააღმდეგება, ან ჩვენს დამოუკიდებლობას ზღუდავს — არ ვთანხმდებით. ცოტა ხნის წინ დიდი მოცულობის სამუშაო შემოთავაზეს. ნორმალური რომ ვიყო, შეკვეთას ავიღებდი და კარგადაც გადამიხდიდნენ, მაგრამ უარი ვთქვი, რადგან ვიცი არ გამოვა. სხვა ხედვა, სხვა მიზანი გვაქვს. ჩვენი ორივე შვილი — ალექსანდრე და ირაკლი — მაღალი დონის პროფესიონალები არიან, ძირითადად გრაფიკული დიზაინის და ვებ დიზაინის სფეროში მუშაობენ. მათ არაერთი საერთაშორისო პრიზი აქვთ მიღებული. ისინი მხოლოდ ისეთ სამუშაოს ასრულებენ, რაც თვითონ მოსწონთ, სხვა შემთხვევაში უარს ამბობენ. ეს ფუფუნებაა. ვერც ერთი კერძო ორგანიზაცია ასეთი არჩევანის უფლებას თავს ვერ მისცემს. ამიტომ, ყველაფერზე მეტად, მაინც შემოქმედებითი თავისუფლება გვირჩევია...

ესაუბრა თამარ შურული



სოფიო კინწურაშვილი — ნიგნების დიზაინი

ისევ ერნესტ ჰემინგუეი!

ამ ბოლო ხანს აღიარებული მწერლის — ერნესტ ჰემინგუეი — სახელი და გვარი სულ უფრო ხშირად ჩნდება გავლენიანი ჟურნალ-გაზეთების ფურცლებზე. მისი შთამომავლები ხელნაწერებს ახლებურად სტამბავენ, მკვლევარები კი მწერლის ბიოგრაფიაში წარსულის აჩრდილებს ეძებენ. როგორც გაზეთი „გარდიანი“ იტყობინება, ახლახან იელის უნივერსიტეტის თაოსნობით გამოიცა სამი ავტორის მიერ შექმნილი წიგნი „ჯაშუშები: სუკის აღმასვლა და დაცემა ამერიკაში“ (ჯონ ერლომ ჰეინსონი, ჰარვეი ქლერი, ალექსანდრე ვასილიევი). ამ სამიდან ალექსანდრე ვასილიევი



იყო ის, ვინც 1990-იან წლებში თავად ეცნობოდა სუკის არჩევებს და წიგნის ძირითადი ნაწილიც სწორედ მის ამონარიდებს ეყრდნობა. კვლევის შედეგად ირკვევა, რომ აგენტებს მწერალთან კავშირი 1941 წელს, ჩინეთში გამგზავრებისას დაუწყებიათ. თუმცა, მიუხედავად ჰემინგუეის მიერ არაერთგზის გამოთქმული მზადყოფნისა, ემსახურა საბჭოთა აგენტებისთვის, მისთვის არც ერთი დავალება არ მიუციათ და, შესაბამისად, პოლიტიკურად ღირებულები ინფორმაციაც არ მიუღიათ. ერნესტ ჰემინგუეი საბჭოთა აგენტების სიაში კოდური სიტყვით — „არგო“ — მოიხსენიებოდა. მწერალთან ჯაშუშებს 1940-იანი წლების ბოლოს გაუწყვეტიათ კავშირი.

ერნესტის შვილიშვილმა, შონ ჰემინგუეიმ კი ბაბუის პარიზული შთაბეჭდილებებით აღსავსე წიგნი „თანმდევი დღესასწაული“ ახლებურად დასტამბა. შონმა ძველ ვარიანტს მოაშორა შესავალი, ფინალი, თავები გადაადგილა და მწერლის დღემდე უცნობი ხელნაწერებიც ჩართო. „თანმდევი დღესასწაული“ პირველი წიგნი თავის დროზე ერნესტის ბოლო მეუღლემ, მერი უელსმა გამოსცა. შონის აზრით, ეს უკანასკნელი უსამართლოდ მოექცა ბაბუის მეორე ცოლს, პოლინ ფაიფერს, როცა წიგნიდან ამოიღო მნიშვნელოვანი ეპიზოდი. ერნესტი მკითხველს იმ გრძობებზე ესაუბრებოდა, რომელიც მას პირველ ცოლთან, ჰედლისთან, დაშორებისას და პოლინთან შეხვედრისას დაეუფლა. შონის მიერ გამოცემული წიგნის წინასიტყვაობა პოლინ ფაიფერისა და ერნესტ ჰემინგუეის 82 წლის შვილს პატრიკს ეკუთვნის.


„ალისა საოცრებათა ქვეყანაში“ ჯონი დეათან ერთად

კომპანია „უოლტ დისნეი“ აღიარებული მწერლის ლუის ქეროლის ყველასათვის ნაცნობი და საყვარელი ნაწარმოების — „ალისა საოცრებათა ქვეყანაში“ — ეკრანიზაციაზე მუშაობს. ვარაუდობენ, რომ სურათი მართლაც შთაბეჭდავი გამოვა. ამის საფუძველს ფილმის რეჟისორი ტიმ ბარტონი იძლევა. სპეციალურად ამ პროექტისთვის ტიმმა მართლაც შთაბეჭდავი ტიპაჟები შექმნა. ამას გარდა, როგორც პროდიუსერები აღნიშნავენ, სურათი სავსეა კომპიუტერული ანიმაციით

თაც, რომელიც ამჯერად დიდ ეკრანზე 3 ფორმატში გამოჩნდება. ფილმი — „ალისა საოცრებათა ქვეყანაში“ — ბარტონის საყვარელი მსახიობები — ჯონი დეპი და ელენა ბონემ კარტერი მონაწილეობენ. გადასაღებ მოედანზე გამოჩნდებიან ენ ჰეთუეი და მეთ ლუკასი. ალისას როლს კი ახლგაზრდა ავსტრალიელი მსახიობი მია ვასიკოვსკა შეასრულებს. ფილმის პრემიერა მომავალი წლის 5 მარტისთვისაა დაგეგმილი.

იუკიო მისიმას უცნობი წერილები

ტოკიოს აუქციონის სახლში იუკიო მისიმას ორი წერილისა და რამდენიმე ფოტოსურათის გასაყიდად მოემზადნენ. აღიარებული იაპონელი მწერლის ფურცლებს ამერიკის შეერთებულ შტატებში მიაკვლიეს, ხოლო იაპონიაში ბუკინისტ სიგერუ ნაცუმემის წყალობით მოხვდა. წერილის ადრესანტი მისიმას ამერიკელი მეგობარი, სამხატვრო მუზეუმის დირექტორი და მწერალი იან ფონ ალმანია. ორივე წერილში მისიმა წმინდა სებასტიანზე წერს, ამათგან ერთში მეგობარს მადლობას უხდის საჩუქრისთვის. ვარაუდობენ, რომ საჩუქარი ამ რომაელ წმინდანზე დაწერილი წიგნი იყო. მეორე წერილს კი თან ახლავს შავ-თეთრი სურათები. მათზე თავად მისიმა გამოსახული, რომელმაც, როგორც ჩანს, ზუსტად



მოირგო სებასტიანის როლი და ხეს ისრებით მიეჯაჭვა.

აუქციონზე მისიმას სხვა ფოტოსურათებიც გაიტანეს. ერთ-ერთი ფილმის — „პატრიოტიზმი“ (სურათი იაპონელი მწერლის ამავე სახელწოდების ნაწარმოების მიხედვითაა შექმნილი) — გადასაღებ მოედანს ალბეჭდავს. ერთ-ერთ სურათზე გამოსახულია მწერალი და, ამავე დროს, მთავარი როლის შემსრულებელი იუკიო მისიმა, რომელიც ხარაკირს იკეთებს. სხვათა შორის, 1970 წელს, მას შემდეგ, რაც წინასწარ მიხვდა საომარი გადატრიალების მცდელობის მარცხს, სწორედ ასე დაამთავრა იაპონელმა მწერალმა თავისი ცხოვრება.

მსოფლიოს საუკეთესო წიგნები

ორივე კვირის წინ ჟურნალმა — „ნიუსუიკი“ — მსოფლიოს 100 საუკეთესო ლიტერატურული ნაწარმოები გამოავლინა. სიის შედგენისას რედაქტორებმა და ჟურნალისტებმა ერთდროულად რამდენიმე გაზეთის, ჟურნალის, ბიბლიოთეკისა და მეცნიერებების კვლევებითა და გამოხ-

მაურებებით იხელმძღვანელეს. გაითვალისწინეს თითოეული წიგნის როლი კაცობრიობის ისტორიაში, ამა თუ იმ ლიტერატურული ქმნილების მიერ მსოფლიო კულტურაში შეტანილი ღვაწლი და თანამედროვე მკითხველს შორის მისი პოპულარობის ხარისხი.

რეიტინგის სათავეში ლევ ტოლსტოის „ომი და მშვიდობა“ აღმოჩნდა. რომანმა გაუსწრო ჯორჯ ორუელის „1984“-ს, ჯეიმს ჯოისის „ულისეს“, ვლადიმერ ნაბოკოვის „ლოლიტასა“ და უილიამ ფოლკნერის „ხმაური და მრისხანება“.

ასეა თუ ისე აღმოჩნდა დანტეს ნაწარმოებიც (მე-10 ადგილი), მარკესის (17), დარვი-ნის (27), მარკესის (30), ტოლკიენის (35), შექსპირის (49, 52), პრუსტის (62), ჰენრი მილერის (82), ფროიდის (86), მაო ძედუნისა (88) და ჯონ ნაინარდ კეინის (92) თხზულებები. 41-ე ადგილი დაიკავა ბიბლიამ, ხოლო ლევ ტოლსტოის კიდევ ერთი თხზულება „ანა კარენინა“ 48-ე აღმოჩნდა.

გთავაზობთ საუკეთესო წიგნების ათეულს:

1. „ომი და მშვიდობა“. ლევ ტოლსტოი
2. „1984“. ჟორჯ ორუელი
3. „ულისე“. ჯეიმს ჯოისი
4. „ლოლიტა“. ვლადიმერ ნაბოკოვი
5. „ხმაური და მრისხანება“. უილიამ ფოლკნერი
6. „უჩინარი“. რაფა ელისონი
7. „შუქურაზე“. ვირჯინია ვულფი
8. „ოლიადა და ოდისეა“. ჰომეროსი
9. „სიამაყე და თვითდარწმუნება“. ჯეინ ოსტინი
10. „ღვთაებრივი კომედია“. დანტე ალიგიერი


სალინჯერაგა სასამართლო პროცესი მოიგო

როგორც გაზეთი „უოლტ სთრით ჯურნალი“ იტყობინება, ნიუ-იორკის სასამართლომ აკრძალა რომანის — „თამაში ჭვავის ყანაში“ — გაგრძელების გამოქვეყნება. საკულტო ნაწარმოების გაგრძელების იდეა მოუვიდა ნაკლებად ცნობილ შვედ ავტორს, რომელმაც წიგნის გამოქვეყნება მსოფლიო კლასიკური ლიტერატურის ნებართვის გარეშე განიზრახა.

მოსამართლის თქმით, ნაწარმოებები ძალიან ჰგვანან ერთმანეთს — ერთი და იგივე პერსონაჟები, ადგილები... განსხვავება მხოლოდ ისაა, რომ ყველაფერი ხელმეორედ, 60 წლის შემდეგ ხდება. სხვათა შორის, ინტელექტუალური საკუთრების დაცვაზე სარჩელი თავად 90 წლის ჯერომ სელინჯერმა შეიტანა, რომელიც უკვე კარგა ხანია ამერიკის ერთ-ერთ შტატში კარჩაკეტილ ცხოვრებას ეწევა და ჟურნალისტებისგან თავი შორს უჭირავს.

ჰიბრიდული ლიტერატურა

„ნიუ იორკ თაიმსი“ იტყობინება, რომ ამერიკული გამოცემლობა — „ქუიქ ბუქს“ — 15 სექტემბერს გამოაქვეყნებს ბოვიკისა და კლასიკური ინგლისური ლიტერატურის ჰიბრიდს სახელწოდებით „გრძნობა და მგრძობელობა და ზღვის ურჩხული“. ამგვარი იდეის განხორციელებამ გამოცემლობას აპრილში არნახული კომერცი-




ული წარმატება მოუტანა, როცა ჯეინ ოსტინის სხვა რომანი ზომბებზე მონადირეთა ისტორიას დაუკავშირა („სიამაყე და თვითდარწმუნება და ზომბები“).

„გრძნობისა და მგრძობელობის“ პაროდიაში, რომლის ავტორი ბენ უინტერია, მთავარი გმირები — დები დემუდები — კუნძულზე აღმოჩნდებიან. მათ გარშემო მრავლად არიან კაციჭამია მონსტრები, რომლებიც წყალში ბუდობენ. გამოცემლობის ხელმძღვანელმა ჯონ რეკულაკმა ყოველკვირეულ „ფაბლიშარს უიქლისთვის“ მიცემულ ინტერვიუში განაცხადა, რომ ავტორი ახერხებს, ლიტერატურულად ისაზრდოს ყველაფრით — ჟიულ ვერნის წიგნით, ფილმ „ლაყუჩებითა“ და სერიალ „გადარჩენილებით“ დაწყებული მულტიფილმით — „ბობი კვადრატული შარვლის ღრუბელი“ — დამთავრებული.

პირველი წარმატებული ჰიბრიდის „სიამაყე და თვითდარწმუნება და ზომბების“ ავტორი კი, სენ გრემ სმიტი „ქუიქ ბუქსისთვის“ მორიგ წიგნს ამზადებს სახელწოდებით „აბრაამ ლინკოლნი: ვამპირებზე მონადირე“.

ბიბლიის უკველასი ხელნაწერი ინტერნეტში

ინტერნეტსივრცეში უკვე გამოჩნდა სინას კოდექსის სრული ტექსტი, რომელიც ერთ-ერთია იმ ორი უძველესი ბიბლიური ჩანაწერებიდან, რომელმაც ჩვენს დრომდე მოაღწია. სინასა და ვატიკანის კოდექსები IV საუკუნით თარიღდება. სინას კოდექსი კონსტანტინე დიდის მეფობის დროს, 325-337 წლებს ეკუთვნის და ის ბერძნულ ენაზე შედგენილი. დღევანდელი მონაცემებით, სინას კოდექსის ორიგინალი 1460 გვერდია, თუმცა მათგან დღევანდლამდე მხოლოდ 800-მა მოაღწია. სინას კოდექსი შინაარსობრივად განსხვავდება ბიბლიის კანონიკური ტექსტისგან, მაგალითად, მარკოზის სახარებაში არ არის აღწერილი ქრისტეს აღდგომის დეტალები. სინას კოდექსის გაშიფვრაზე მუშაობა ოთხ წელიწადს გაგრძელდა. ამ სამუშაოში ჩაბმულები იყვნენ ლაიფციგის საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკის, ბრიტან-



ული ბიბლიოთეკის თანამშრომლები, წმინდა ეკატერინეს მონასტრის (რომელიც სინას მთაზე მდებარეობს) ბინადარი. მეცნიერებმა მიაკვლიეს სინას მთაზე 1844 წელს აღმოჩენილი ხელნაწერის ყველა იმ ნაწილს, რომლის მიხედვითაც თითქმის შესაძლებელი გახდა სინას კოდექსის სრულად აღქმა.

ჩინელი გამოცემლობა დროს არ კარგავს

ჩინელი გამოცემლობები დროს არ კარგავენ და ელვისებური სისწრაფით აწვდიან მკითხველებს „პოპის მეფედ“ შერაცხული მომღერლის, მაიკლ ჯექსონის ბიოგრაფიებს. როგორც გაზეთი „ჩინა დელი“ იტყობინება, მისი ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამსახველი წიგნები უმოკლეს ვადაში იწერება და გამოიცემა.

ასე მაგალითად, „მთვარეული გასეირნება სამოთხეში“ ორი ავტორის მიერ 48 საათში დაიწერა. მწერლების გათენებული ღამეებისა და დაუღალავი შრომის შედეგად 130 ათასი იეროგლიფი შეიქმნა. დღესდღეობით ეს წიგნი უკვე იყიდება მაღაზიებში.

ლიტერატურული გაზეთი

რედაქტორი ირაკლი ჯავახაძე
 რედაქტორის მოადგილე უჩა შერაზადიშვილი
 ჟურნალისტები ხათუნა ალხაზიშვილი, თამარ ჟურული

ტელ.: 292196; მობ. ტელ.: (877)742277; (899)269852; e-mail: litgazeti@yahoo.com

გამომდის საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს ფინანსური მხარდაჭერით